საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №184 (2884) ოთხშაბათი, 22 ივლისი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ - 45 თეთრი.

პარლამენტის თავმჯდომარე

ფოთის ნავსადგურის ჰარმონიული განვითარებისათვის

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ჟერომ კასიერსი და ტრასეკას პროექტის კოორდინატორი მარკ გრაი.

საუბრის თემა იყო ტრანსკავკასიური დერეფანი და ფოთის პორტის როლი და მნიშვნელობა ამ გლობალურ პროექტში. სტუმრებმა პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინეს ფოთის პორტის შემდგომი განვითარების კონცეფცია, რომელიც ნავსადგურის თანდათანობით პრივატიზაციას ითვალისწინებს. როგორც შეხვედრაზე ითქვა, აღნიშნული კონცეფციის განხორციელება ხელს შეუწყობს უცხოურ ინვესტიციათა დიდი რაოდენობით მოზიდვას, რაც ნავსადგურის ჰარმონიული განვითარების პირობას წარმოადგენს.

პარლამენტის პრესსამსახური.

გვწერენ

მადლი არ იკარგება

სამურზაყანოდან დევნილმა ქართველობამ შეურაცხყოფისა და დევნა-შევიწროების მიუხედავად, უაღრესი გაჭირვების პირობებში გამონახა დრო და შესაძლებლობა, სამადლობელი წერილით მიემართა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველისათვის, და რედაქციას სთხოვა, დაებეჭდა იგი უახლოეს ნომერში.

სიამოვნებით ვასრულებთ ამ თხოვნას.

თქვენი დიდი სულიერი წინაპარი – შუა საუკუნეების მემატიანე-ისტორიკოსი, სამურზაყანოდან ხელმეორედ დევნილი მოსახლეობის სადღეისო გასაჭირს „ქართლის ცხოვრების" ფოლიანტებში ალბათ ასე მოიხსენიებდა: „ჭირი ჭირსა ზედა"! წინაპართა ფუძე – ნერჩიდან უხეშად მოწყვეტილი ანჩაბაძეებისა და ემუხვარების, ზუხბაიებისა და ზარანდიების... შელახულ პატივსა და ღირსებას თან ერთვის, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირე.

ქართველი კაცი საკუთარ სამშობლოში ნოსტალგიით დაავადდა. ასეთ ვითარებაში ყოველი სამურზაყანოელისათვის იმედის ნაპერწკალია მოძმის მიერ გაწეული უმცირესი დახმარებაც კი. ამაში კეთილი სიტყვის ღვთიური მადლიც იგულისხმება და ცხოვრების ყოფითი დეტალებიც.

თქვენ, პროფესიით ისტორიკოსმა, მშვენივრად უწყით ქართველი კაცის ხასიათი, მისი მებრძოლი სულის ცხოველმყოფელობა. ისტორიული სამურზაყანოს მოსახლეობა ბუნებით გაუტეხელია და ამ უმძიმეს ვითარებაშიც ინარჩუნებს საკუთარ კერაზე დაბრუნების იმედს. ამ იმედის გამონათება იყო თქვენი თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დევნილი მოსახლეობისადმი გაწეული ჰუმანიტარული დახმარება. გაცნობიერებული გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედებითი ინტელიგენციის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტობის სადღეისო მდგომარეობა. ვიცით, რომ არც მათ ულხინთ, ამიტომ იმ მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს შორის, ჩვენ რომ გვიწევენ დახმარებას, თქვენდამი რწმუნებული უნივერსიტეტის თანამშრომელთა გულისხმიერება განსაკუთრებით სათუთი და დასაფასებელია.

ჩვენ, სამურზაყანოდან დევნილები, კომპაქტურად ჩასახლებულნი ვართ ქ. ზუგდიდის სახელმწიფო კოლეჯის შენობაში, სადაც განთავსებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და თანადგომისათვის მადლობა მოვახსენოთ თსუ ზუგდიდის ფილიალის ხელმძღვანელობას.

ბატონო როინ, ჩვენი მადლობის სიტყვებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის მიმართ დიდი ტკივილიც ახლავს და უკეთესი მომავლის რწმენაც. ამ შეგნებით გავიმეორებთ: მართალია, ჩვენი ეროვნული ღირსება და პატივი შელახულია, მაგრამ იგი ენგურს გაღმა ალმოდებულ ჩვენს სახლებში არ ჩაფერფლილა.

სამურზაყანოდან დევნილთა სახელით:

ჯ. კიკალია, ა. ძანთარია, ლ. ლამანძია, გ. ყურუა, ნ. ბაძალუა

და სხვ. (სულ 15 ხელმოწერა).

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

მ. ნადარაიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გეოდინამიკური პროცესების კვლევის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის აეროგეოდეზიური საწარმოს დირექტორი, დამსახურებული გეოდეზისტი **მერაბ ნადარაია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

კ. თავაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ტელევიზიის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა, ნაყოფიერი ჟურნალისტური და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ტელერადიო კორპორაცია სტუდია „პუბლიცისტის" მთავარი რედაქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **კონსტანტინე (მინდია) თავაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

სიტუაცია

აბსურდული განცხადება შეპასუხებადაც არ ღირს!

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა საჭიროდაც არ თვლის ასეთ აბსურდულ განცხადებაზე შეპასუხებას," — ასე მთავრდება დღეს ბათუმიდან აჭარის პროკურორის როსტომ ჯაფარიძის მიერ ფაქსით გამოგზავნილი განცხადება.

აჭარიდან საქართველოს პროკურატურაში ყოველთვის დროულად იგზავნებოდა ესა თუ ის ინფორმაცია, მაგრამ ამგვარი ოპერატიულობა მაინც საგულისხმოა. იგი გამოიწვია „ალიას" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულმა გაუგონარმა სიცრუემ - თითქოს აჭარის პროკურორის როსტომ ჯაფარიძის შუამდგომლობით აჭარის ერთ-ერთმა მოსამართლემ სანქცია გასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მიმართ.

პროკურორმა როსტომ ჯაფარიძემ იაფფასიანი და სენსაციური უწოდა ამ წერილს. სხვაც რომ არაფერი იყოს, იურისპრუდენციაში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებულმა ადამიანმა იცის, რომ ეს საკითხი, როგორც ჯაფარიძე წერს, „აუცილებლობის შემთხვევაშიც კი არ შეიძლებოდა გადაეწყვიტა აჭარის რაიონულ, საქალაქო თუ უმაღლეს სასამართლოს".

ეს წერილი იაფფასიანობის გარდა, გაღმა შედავების კარგი ნიმუშიცაა. წერილის ავტორი თუ მისი შემკვეთები განსაკუთრებული მონდომებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავის დროზე გახმაურებული „ურეკის საქმე" გენერალურ პროკურორს დღესაც კი „ნაჯახივით ადევს კისერზე". მათი თქმით, გენერალურ პროკურორს არა აქვს ჟვანიას არატერორისტობის დამამტკიცებელი ასპროცენტიანი საბუთები.

იხ. მე - 2 გვ.

საქართველოს გენერალურ პროკურორს, იუსტიციის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ბატონ ჯ. ბაბილაშვილს

გაზეთ „ალიაში" № 126 გამოქვეყნებულია იაფფასიანი სენსაციური წერილი პარლამენტის თავმჯდომარე ზ. ჟვანიასთან დაკავშირებით. როგორც თქვენთვის ცნობილია, საკითხი ზ. ჟვანიას დაპატიმრების შესახებ, სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, არ შეიძლებოდა გადაეწყვიტა აჭარის რაიონულ, საქალაქო თუ უმაღლეს სასამართლოს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა საჭიროდაც არ თვლის ასეთ აბსურდულ განცხადებაზე შეპასუხებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
პროკურორი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი
რ. ჯაფარიძე.

განსჯა

უნდა გადადგეს თუ არა პრეზიდენტი

მკითხველს შესანიშნავად მოეხსენება, რომ საქართველოს პრეზიდენტის ლიკვიდაციას რამდენჯერმე შეეცადნენ. უზნეო ადამიანები ახლა უკვე იმის მტკიცებასაც კი ცდილობენ, თითქოს მან თვით მოუწყო საკუთარ თავს ტერაქტები.

ბუნებრივია, ასეთი მოვლენები საზოგადოებაში გარკვეულ დაძაბულობას იწვევს. წესიერ, მაგრამ საქმეში ნაკლებად ჩახედულ ადამიანს უჩნდება ეჭვი – რაშია საქმე, რატომ აკვლევინებს ედუარდ შევარდნაძე თავს, გადადგეს ბოლოს და ბოლოს და შეწყდება პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგაცო.

ჯერ კიდევ აფხაზეთში კონფლიქტის დროს, 1992-93 წლებში ცდილობდნენ აზრის დამკვიდრებას, თითქოს შევარდნაძის ფაქტორი რომ არა, ყველაფერი მოწესრიგდებოდა და სისხლისღვრაც შეწყდებოდა. ახლაც ამკვიდრებენ აზრს, რომ თუ შევარდნაძე გადადგება, ყველა პრობლემას ერთიანად მოეღება – უმუშევრობა მოისპობა, პენსიები და ხელფასები უცებ გაიზრდება, სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობა ერთ დღეში მოწესრიგდება და ასე შემდეგ.

მართლაც უზნეო უნდა იყო ადამიანი – პრეზიდენტი მით უმეტეს – თუ იცი შენი გადადგომით ამდენ სიკეთეს მოუტან საკუთარ ხალხს, ქვეყანას და არ გადადგები.

იხ. მე - 3 გვ.

ედუარდ შევარდნაძემ თავის ხალხთან ერთად მოახერხა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსა

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს თანდართული დებულება და პერსონალური შემადგენლობა.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულება და შემადგენლობა

იხ. მე - 4 გვ.

ინფორმაცია

რუსეთის ფედერაციის საბჭომ მანდატი გააგრძელა

რუსეთის ფედერაციის საბჭომ განიხილა პრეზიდენტ ბორის ელცინის წინადადება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი რფ სამშვიდობო ძალთა მანდატის გაგრძელების შესახებ. მანდატი 1998 წლის 31 ივლისამდე გაგრძელდა. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ამ თხოვნით, ფაქტობრივად, პრეზიდენტმა საბჭოს მანდატის ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე მიმართა.

იმავე დოკუმენტით, მშვიდობისმყოფელთა რაოდენობა 3000 კაცით განისაზღვრა, თუმცა, რეალურად დღეს ენგურის აუზში სულ 1600 რუსი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. მათ შორის, სადესანტო და მოტომსროლელთა ბატალიონები. კონფლიქტის ზონაში იმყოფება, აგრეთვე, 124 გაეროს სამხედრო დამკვირვებელი, რომელთაც ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ შეწყვიტეს პატრულირება და ტერიტორიის დაზვერვას მხოლოდ ჰაერიდან ახდენენ.

იქ, სადაც იყო ჩაის კულტურა...

თვითმხილველის მონაცემებით, ოჩამჩირეში არ მუშაობს არცერთი საწარმო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. ბაზარში ვერ იხილავთ ადგილობრივი წარმოების პროდუქციას. გადამყიდველებს უმთავრესად გალის რაიონის მხრიდან გადმოაქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც ძალიან ძვირად იყიდება. ადგილობრივი აფხაზი ეროვნების მოქალაქეები სტოვებენ თავიანთ სახლ-კარს და სოხუმში, გაგრაში იკავებენ ქართველების მიერ მიტოვებულ სახლებს.

რაიონში ჩაის პლანტაციები მთლიანად გაპარტახებულია, ძნელი გასარჩევია ეკალ-ბარდებისაგან. ქალაქის ქუჩებში ღამ-ღამობით ტურები დაძრწიან. დღისით კანტი-კუნტად თუ შეხვდებით ადამიანებს, ისიც მხოლოდ ხანდაზმულებს. პენსიონერებს თვეობით არ ურიგდებათ პენსიები.

ზოგიერთი ოჩამჩირელი აფხაზის თქმით, სეპარატისტულმა მთავრობამ დიდი დანაშაული ჩაიდინა, როგორც ქართველების, ასევე აფხაზების წინაშე.

სამეგრელოს მოსახლეობას - უფასო სამედიცინო მომსახურება

ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშეს" ესპანეთის ფილიალმა ზუგდიდის ქვედა ზონის 72 ათას და წალენჯიხის რაიონის 42 ათას მოსახლეს სათანადო კვალიფიცირებული დახმარება აღმოუჩინეს.

„ექიმები საზღვრების გარეშეს" ზუგდიდის ფილიალის მიზანია სამეგრელოში პირველადი ჯანდაცვის სტრუქტურის შექმნა, რომელიც ყველა ფენის მოსახლეობას გაუწევს სამედიცინო მომსახურებას.

ორგანიზაცია ეხმარება ყველას, ეროვნებისა და რასის განურჩევლად. ორგანიზაციის დახმარებით ხდება ზუგდიდის ქვედა ზონის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს განლაგებული სოფლების ამბულატორიებისთვის სათანადო სარემონტო-სამშენებლო მასალის გამოყოფა.

ბავშვები თურქეთში დაისვენებენ

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ელჩის მრჩეველის, მერი ჯანგველაძის ინიციატივით გუშინ აფხაზეთიდან დევნილი 20 ბავშვი დასასვენებლად გაემგზავრა თურქეთში, კურორტ სამსუნში.

ბავშვები ზღვის სანაპიროზე კეთილმოწყობილ კოტეჯებში დაისვენებენ. მერი ჯანგველაძის ინიციატივით მზადდება კიდევ 300 დევნილი ბავშვის გამგზავრება თურქეთის სხვადასხვა კურორტებზე.

სახალხო დამცველის თანადგომით

20 ივლისს „ობოლ ბავშვთა ახალგაზრდული ასოციაციის" პრეზიდენტის, ლია პაპიაშვილის ხელმძღვანელობით სოციალურად დაუცველი და ობოლი ბავშვები ბორჯომის ხეობაში ბაკურიანში გაემგზავრნენ. გამგზავრებამდე ლია პაპიაშვილმა დახმარებისთვის მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. სახალხო დამცველის შუამდგომლობით აპარატმა 5 ობოლ და ინვალიდ ბავშვს გაუწია რეკომენდაცია. ერთ-ერთ მათგანს, გიორგი არქანიას დავით სალარიძის დახმარებით უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს სანკტ-პეტერბურგში.

სემინარი ენერგეტიკოსებისთვის

20 ივლისიდან ამერიკის ენერგეტიკული კორპორაციის (ტვა-ს) ექსპერტები სახელმწიფო ენერგოკომპანიების „საქენერგოსა" და „საქენერგოგენერაციის" სპეციალისტებისათვის მართავენ სემინარს თემაზე: „შესყიდვების თანამედროვე პრინციპები და მეთოდები".

სემინარების მსვლელობისას უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს კორპორაციის მუშაობის პრინციპები, გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება სერვისით უზრუნველყოფის, მასალებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვის შესახებ.

საგზაო პოლიციის განცხადება

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, იმასთან დაკავშირებით, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტი აწარმოებს თბილისი-ნატახტარის გზის მონაკვეთის შეკეთებას, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა დროებით გადართულია თბილისის გასასვლელთან მტკვარზე არსებული ხიდისა და დაბა ზაჰესის გავლით.

ახალციხეს ძლიერმა სეტყვამ გადაუარა

ძლიერმა სეტყვამ გუშინ ახალციხის რაიონში მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა. 19 საათზე ძლიერ წვიმას სეტყვა მოჰყვა და 15 წუთს გრძელდებოდა. გუშინვე, ადიგენის რაიონში ძლიერმა ქარიშხალმა დააზიანა ნათესი ფართობები. ახალციხის მოსახლეობის თქმით, ასეთი ძლიერი სეტყვა რაიონში ბოლო 7-8 წლის მანძილზე არ ყოფილა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ", „გეამ".

არდადეგები: სამშობლოს ეცნობიან.

მაკა ცნობილაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა

1998 წლის 25 ივლისს, 11 საათზე, სახელმწიფო კანცელარიის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილება საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1998 წლის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და უახლესი ამოცანები.

კორუფციის წინააღმდეგ

ზოგი ბიუჯეტს ტოვებს მშრალზე, ზოგიც - საკუთარ ჯიბეს

როდესაც ერთ ღვთისმოსავი ბრძენისთვის თავი მოუბეზრებიათ შეკითხვით, „რატომ არ მოდის მესიაო"? უპასუხია, იმიტომ, რომ რაც დღეს ვართ, გუშინაც ის ვიყავითო.

სამწუხაროდ, ვერ შევედავებით...

კორუფციის ჭაობში ვსხედვართ დღეს, ისევე, როგორც ვისხედით გუშინ.

ამბობენ: ბისმარკი ასე ასწავლიდა თავის დიპლომატებს — „რადგან სრულ სიმართლეს არ მამცნობთ, რასაც მეტყვით, ის მაინც უნდა იყოს სრული სიმართლეო".

არ ვიცი, რამდენად იზიარებენ დღეს საზოგადო საქმის სათავეში მსხდომნი ამ პრინციპს, ან საქართველოს პრეზიდენტის კარგა ხნის წინათ ნათქვამს: „მოდით, კაცურად მაინც ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა". მაგრამ ის, რაც ზემოთ ვთქვი და ახლა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიკორუფციული სამსახურის (იგი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის სტრუქტურაში შარშან, ნოემბერში შეიქმნა და მისი უმთავრესი მოვალეობაა უზრუნველყოს ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალის უსაფრთხოება, კორუფციის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მასთან ბრძოლა) და გამოძიების მიერ შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით უნდა ვთქვა, სრული სიმართლეა!

კერძოდ: თანამედროვე საგადასახადო კანონმდებლობის „კაბალურობის" გამო, სახელმწიფო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ბიზნესმენებსა და კერძო მეწარმეებს უბიძგებს,მიმართონ სხვადასხვა ხერხს, რათა ნედლეული ან მზა პროდუქცია საქართველოში ფარულად შემოიტანონ, დამალონ რეალური შემოსავალი და მინიმუმამდე შეამცირონ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხები.

მაინც რა არის ეს ფარული ხერხები?

ტრანზიტის გამოყენება, მებაჟეების მოსყიდვა, მიმწოდებლებთან დოკუმენტების გაყალბება, ფასების კორექტირება, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა და ა. შ.

ერთი სიტყვით, მალვითა და პარვით საკუთარი ჯიბის გალაღება და სახელმწიფო ბიუჯეტის გაცუცურაკება, იმ ბიუჯეტისა, უკიდურესად გაჭირვებული ქვეყანა რომ იმედით ჩამოჰკიდებია.

იხ. მე - 3 გვ.

ენერგეტიკა

ვულკანიზაციის რეკორდსმენი მფლობელი

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მუშაკებმა „თელასის" წარმომადგენლებთან მოწყობილი ერთობლივი რეიდის დროს გამოარკვიეს, რომ შპს „უნიკონტის" სუპერმარკეტი ქსელზე მეორე ხაზის საშუალებით უნებართვოდ აღმოჩნდა მიერთებული. მასვე არ ჰქონდა ტექნიკური დოკუმენტაცია და, რაც განსაკუთრებით სავალალოა, მრიცხველის საშუალებით მოხმარებული ელექტროენერგიის 54 პროცენტსაც იპარავდა.

ინდივიდუალური მეწარმის კონსტანტინე მაკარიძის ბარს (დირექტორი – ზურაბ გომიაშვილი) შარშანდელი სექტემბრიდან (გახსნის დღიდან) ერთი თეთრიც არ გადაუხდია.

შემმოწმებლებმა ერთდროულად სამი დარღვევა აღმოუჩინეს ვულკანიზაციის კერძო მფლობელ ნ. მეტრეველს. მას არ ჰქონდა ტექნიკური დოკუმენტაცია, დენსაც მრიცხველის გვერდის ავლით მოიხმარდა, ქსელზედაც უნებართვოდ (გათიშვის შემდეგ) იყო მიერთებული და ენერგეტიკოსების ვალიც – 600 ლარი არ ჰქონდა გადახდილი.

ამჟამად დარღვევების სახით ამ რეკორდსმენის საქმის განხილვა „თელასმა" სასამართლოს მიანდო.

უკანასკნელ საათს

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 11,2 მილიარდი დოლარი გამოუყო რუსეთს. პირველ ტრანში მოსალოდნელზე 800 მლნ დოლარით ნაკლებია. ფონდის დირექტორები უკმაყოფილებას არ მალავენ სახელმწიფო სათათბიროს მიერ გადასახადებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო – მან სამჯერ შეამცირა მთავრობის მადა. რუსეთის მთავრობა მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი და გადაწყვეტილი აქვს ბიუჯეტის ხვრელების შევსება და სოციალური საკითხების მოგვარება.

ჩეჩნეთში გუშინ ამოიწურა ულტიმატუმის ვადა შეიარაღებული ფორმირებებისათვის. აკრძალულია ქუჩაში იარაღით გამოსვლა. საპასუხოდ, ზოგიერთმა შეიარაღებულმა ფორმირებამ შენობებიც დაიკავა – ისინი არ აპირებენ იარაღის მშვიდობიანად დადებას.

ანალიტიკოსების აზრით, ჩეჩნეთში სამოქალაქო ომი გარდაუვალია, რაც რუსეთისთვის შესაძლოა მეორე ავღანეთად იქცეს. გუშინ და წუხელ ჩეჩნეთში სიმშვიდე იყო. ჯერჯერობით მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პოზიციებს ზვერავენ.

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 21 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.2131 ლარი
გერმანული მარკა	1	0.7535 ლარი
აშშ დოლარი	1	1.3470 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2256 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0501 ლარი
რუსული რუბლი	1	0.2170 ლარი

დღეს



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

დაბლობში: ღამით +17+22; დღისით +30+35.

მთაში: ღამით +15+20; დღისით +30+35.

მაღალ მთაში: ღამით +10+15; დღისით +20+25.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +19+24; დღისით +32+37.

მთაში: ღამით +15+20; დღისით +29+34.

მაღალ მთაში: ღამით +11+16; დღისით +23+28.

თბილისში:

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

ღამით +22+24;
დღისით +35+37.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. სასწრაფოდ აღიკვეთოს საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების (მწვანე მასივები), პარკების (მათ შორის, კულტურის ძეგლთა კატეგორია), ბაღებისა და სკვერების ხელყოფა მათი საზღვრების ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიებზე.

2. დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლა საქართველოს იმ პარკებში, რომლებიც კულტურის ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება.

3. საქართველოს პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, სადაც უკანონოდ აშენდა ან შენდება მათთვის შეუფერხებელი ფუნქციის მქონე ნაგებობები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდეს ამ ნაგებობათა ლიკვიდაცია. სხვა შემთხვევებში შეიცვალოს ამ ნაგებობების ფუნქცია პარკის, ბაღისა და სკვერის სასიკეთოდ.

4. მკაცრად დაისვას იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გასცეს ბაღ-პარკების (განსაკუთრებით კულტურის ძეგლთა კატეგორიის) ტერიტორიებზე ფართობების გამოყოფის ნებართვა მშენებლობებისა და და სხვა მიზნით.

5. ქ. თბილისის მერმა ბ. შოშიტაიშვილმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები და მდგომარეობის გამოსასწორებლად დედაქალაქის გამწვანების ზონებში, პარკებში, ბაღებსა და სკვერებში სხვადასხვა მშენებლობებისა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამოს ქ. თბილისის გენერალურ გეგმას.

6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი,1998 წლის 17 ივლისი.

პარლამენტის თავმჯდომარე
პრობლემები დაუყოვნებლივ გადაიჭრება

21 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საქართველოს ინვალიდთა ლიგის წარმომადგენლები და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელები.

საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსის მიღების პროცესში შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა ინვალიდთა ლიგის მიერ ხელისუფლების წინაშე დაყენებული ყველა პრობლემა. მწვავე დისკუსიების შედეგად კოდექსში დაფიქსირდა, რომ ინვალიდთა ლიგის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო ფირმები განთავისუფლდებიან მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებისაგან. რაც შეეხება ირიბ გადასახადებს, ისინი ჩვეულებრივად ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე გადაირიცხება და კვლავ ინვალიდთა სოციალური ადაპტაციის პროგრამებს მოხმარდება. ერთგვარი დაძაბულობა საგადასახადო კოდექსში ახლახან შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია. ამ ცვლილებების თანახმად სააქციზო გადასახადმა ბენზინზე 60 პროცენტი შეადგინა. კანონით, შემოსული თანხა ხაზინასა და საგზაო ფონდს შორის ნაწილდება. მაგრამ კანონში მკაფიოდ არ არის გაშიფრული ინვალიდთა ლიგის ინტერესები და ლიგის ხელმძღვანელთა შეფასებით, არ არის მკაფიო გარანტიები.

ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა შეხვედრაზე განმარტა, რომ ინვალიდთა ინტერესები ხელყოფილი არ არის. თანხა გადაირიცხება ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე და ისევ ინვალიდებისათვის აუცილებელი პროგრამების განხორციელებისათვის არის გათვალისწინებული. და თუ მაინც არის რაიმე ტექნიკური შეფერხება, მინისტრმა განაცხადა, რომ შესაბამის ზომებს მიიღებს. საკითხისადმი ანალოგიური მიდგომა გამოხატა კონცერნ „საქავტოგზის" ხელმძღვანელობამაც.

პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას შეფასებით საქართველოში საავტომობილო გზების მოწესრიგება სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანაა, მაგრამ არც ინვალიდთა ინტერესების ხელყოფას დაუშვებენ. თუ ამ საკითხში მაინც არსებობს რაიმე სახის პრობლემა, როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას.

საქინფორმი.

სიტუაცია
აბსურდული განცხადება შეპასუხებადაც არ ღირს!

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ვინმე გიორგი კახიძის მიერ გავრცელებული ეს „ბრალდებები" თითიდან გამოწოვილი ისეთივე სიცრუეა, როგორიც აჭარის პროკურორის მიერ გაცემული სანქცია. ცხადია ერთი რამ, გენერალურ პროკურორს პირადად, პროკურატურის სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს არაერთხელ განუმარტავთ საზოგადოებისათვის ურეკის საქმის მთელი არსი. გამოძიებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის მიერ მითითებულ დროს არ ყოფილა ურეკში. საბოლოო დასკვნის გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ თ. ხარაზის დაკითხვის შემდეგ. ეს კი არ ხერხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თ. ხარაზი დეპუტატობის იმუნიტეტს ამოეფარა. ნუთუ არავინ დაფიქრებულა იმაზე, რატომ აკეთებს ამას ხარაზი? ლოგიკით რატომღაც პირიქით უნდა იყოს — მას თვითონაც უნდა აინტერესებდეს ამის დამტკიცება.

და ბოლოს, გენერალური პროკურატურა მზად არის ნებისმიერ დაინტერესებულ გამოცემას წარუდგინოს ამის დამადასტურებელი სათანადო მასალები, რათა ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და შეწყდეს დაუსაბუთებელი პუბლიკაციებით საზოგადოების დეზინფორმაცია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი.



ჩვენი საზღვრის ირიბი მცველები

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დაამტკიცა საქართველოს საზღვრის უსაფრთხოების და კანონის აღსრულების დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 1998 ფინანსურ წელიწადში 18 მილიონ დოლარს აღწევს. 20 ივლისს თბილისში ჩამოვიდა ორი მრჩეველი, რომლებიც დაიწყებენ პროგრამის რეალიზაციას. სამი ამერიკელი მრჩეველი ხანგრძლივი ვადით იმუშავებს საზღვრის უსაფრთხოების და კანონის აღსრულების დახმარების პროგრამის განხორციელებაზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს. გათვალისწინებულია დიდი რაოდენობით ტექნიკური აღჭურვილობის და დამხმარე მასალის შეძენა, ასევე ქართველ მესაზღვრეთა და სამართალდამცავთა მომზადება.

საზღვრის უსაფრთხოების და კანონის აღსრულების პროგრამის განხორციელებას უხელმძღვანელებს ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახური, რომელიც ამერიკის სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან — სახელმწიფო დეპარტამენტთან, იუსტიციის და თავდაცვის დეპარტამენტებთან, ემიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურთან, ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვასთან ერთად დახმარებას გაუწევს საქართველოს საზღვრებზე ეფექტიანი კონტროლის დაწესებაში.

საზღვრის უსაფრთხოების და კანონის აღსრულების პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ძირითადი მიმართულებებია აღჭურვილობის შესყიდვა, კადრების მოსამზადებელი პროგრამების განხორციელება საქართველოში, მცირე და გრძელვადიანი საკონსულტაციო მომსახურება.

1,15 მლნ. ეკიუ დევნილთათვის

„იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოყოს 1,15 მლნ. ეკიუ საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც იძულებულნი გახდნენ აფხაზეთის ტერიტორია გალის ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ დაეტოვებინათ. განცხადებაში, რომელიც ევროკომისიამ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ მთლიანად დასავლეთ საქართველოში, ამჟამად, 30 ათასი ლტოლვილია განთავსებული, რომლებიც, მხოლოდ უკანასკნელ დროს შეემატნენ აქ ადრე განსახლებულ დევნილებს. ეს თანხა, ნათქვამია განცხადებაში, მოხმარდება ლტოლვილთა უზრუნველყოფას სასმელი წყლით, საკვებითა და სანიტარული საშუალებებით.

წინაპართა საფლავები უხმობთ

ამ ბოლო დროს გახშირდა ლტოლვილთა ზუგდიდიდან გალში დაბრუნების ფაქტები: სოფელ რუხის № 1 საგუშაგოზე 18 ივლისს რეგისტრირებულია 217 მოქალაქე. აქედან გალის მიმართულებით წავიდა — 158. 19 ივლისს — 96, მათ შორის გალში მიმავალი — 70. ამავე დროს სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლობის თანხმობით და რუსეთის სამშვიდობო ძალების წაყრუებით გალის უსაფრთხოების ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ მიტოვებულ სახლებში ეწყობა აფხაზ ბოევიკთა შტაბები. სოფელ ზემო ბარღებში ნუგზარ წულაიას მიტოვებულ სახლში არსებობს ბოევიკთა 15-კაციანი შტაბი. ანალოგიური შტაბი მოქმედებს, აგრეთვე, სოფელ საბერიოში ღურწკაიას სახლში.

რას მერჩი, პაოს!

პირველ ოტობაიაში განთავსებული სომეხი ეროვნების ბოევიკები ავიწროებენ იქ დაბრუნებულ და ჩარჩენილ მოსახლეობას, რის გამოც ისინი იძულებული არიან გადმოვიდნენ ზუგდიდში. 19 ივლისს კი ენგურის ცენტრალურ ხიდზე გადმოსვლისას რუსი მშვიდობისმყოფლების თვალწინ მოქალაქე ქარდავას შეურაცხყოფა მიაყენეს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მილიციელმა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: „იბერიამ", „ზეამ".

საერთაშორისო შეხვედრა
არატრადიციული ენერგეტიკის განვითარების საკითხებს თბილისში განიხილავენ

„მზის ფორუმი" — ასე ეწოდება საერთაშორისო შეხვედრას, რომელიც კრწანისის მთავრობის რეზიდენციაში გაიმართება 23-24 ივლისს. იგი ეწყობა იუნესკოსთან მოქმედი მზის მსოფლიო პროგრამის ეგიდით. ფორუმის მონაწილენი განიხილავენ არატრადიციული ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

— პრობლემებს, რომლებსაც განვიხილავთ ახლანდელ შეხვედრაზე, გაუზვიადებლად შეიძლება ვუწოდოთ განმსაზღვრელი მესამე ათასწლეულის ენერგეტიკისათვის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, — მათ გლობალური ხასიათი აქვთ და მთელ მსოფლიოში დიდ ინტერესს იწვევს. დღეს აბსოლუტურად ცხადია, რომ ენერგეტიკის მომავალი არატრადიციულ წყაროთა — ქარის, მზის, მთის მდინარეების, ბიოლოგიური ნარჩენებისა და სხვათა გამოყენებაა. იუნესკოსთან შეიქმნა მზის მსოფლიო პროგრამა. ამ ორგანიზაციამ, რომელმაც მიზნად დაისახა ხელი შეეწყო არატრადიციული, ეკოლოგიურად სუფთა, ეკონომიკურად მომგებიანი ენერგიის წყაროების გამოყენებისათვის. გაერთიანდნენ მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები. თვალსაჩინო პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი. თბილისის შეხვედრა არსებითად, შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მზის მსოფლიო პროგრამის გამსვლელი სხდომა. მისი მონაწილენი იმსჯელებენ ორგანიზაციის მუშაობის შედეგებზე, განსაზღვრავენ უახლოეს პერსპექტივებს, განვიხილავთ კონკრეტულ პროექტებსა და მათი ინვესტირების შესაძლებლობებს. ამით აიხსნება კიდეც ის, რომ ფორუმში მონაწილეობენ ავტორიტეტიანი საბანკო, საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო ინვესტორები.

— საქართველო, — აღნიშნა შემდეგ ზაზა შენგელიამ, — ახლო მომავალში შეიძლება გახდეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფო არატრადიციული (განახლებული) ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის შესაბამისი რესურსების სიმდიდრის მეოხებით. საქართველოს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს ამ დარგს. მას ერთ-ერთ პრიორიტეტულად მიიჩნევს.

„მზის ფორუმზე" წარმოდგენილი პროექტების ნახევარზე მეტი უკავშირდება საქართველოს. მათ შორისაა პროექტი „ოცდამეერთე საუკუნის დაბა" ასპინძის რაიონში. ჩანაფიქრით, იქ გამოყენებული იქნება ენერგიის მხოლოდ არატრადიციული წყაროები.

საქინფორმი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი
დევნილმა დევნილს ლუკმა გაუყო

ქართლში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, ახლა ძირითადად, მხოლოდ გალის რაიონზე, რაიონიდან დევნილებზე საუბრობენ.

გალელების სატკივარი რომ ყველას სატკივარია, შიდა ქართლიდან ზუგდიდში რამდენიმე გზის ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნითაც დადასტურდა.

ქართლში ჩასახლებულმა 5000-ზე მეტმა ლტოლვილმა თავად მოიკლო კუთვნილი სურსათ-სანოვაგე და ზუგდიდში შეხიზნულ გალელებს უწილადა.

გვესაუბრება **შიდა ქართლის მხარის ლტოლვილთა და განსახლების სამმართველოს უფროსი ფელიქს ქესანაშვილი:**

— ზუგდიდს უკვე ორჯერ ვეწვიეთ. პირველად დევნილებს ჩავუტანეთ ორი ტონა ფქვილი, ტონა შაქარი, 1000 ცალი თევზის კონსერვი, ამდენივე ხელის საპონი, ნახევარი ტონა მაკარონი, ნახევარი ტონა მარილი, ცხიმი, ასანთი, სიგარეტი, სანთელი და სხვ. მეორედ ჩასვლაზე ლტოლვილებს ტანსაცმელი და ჯამ-ჭურჭელი წავუღეთ, მათ შორის, შარვლები, კაბები, პიჯაკები, პერანგები, სულ 175 კილოგრამის ოდენობის, 125 ცალი ქუდი, 210 ცალი პლასტმასის ჭურჭელი, 200 კოვზი, 200 ჩანგალი და სხვა საჭირო ნივთები.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 22 ივნისი ქ.თბილისი

საწარმოთა, საკუთრების ფორმის მიუხედავად დროებით უმოქმედო ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების კონსერვაციის დროებითი წესის შესახებ

ქვეყნის მრავალ საწარმოში ობიექტური მაკროეკონომიკური მიზეზების გამო მცირე დატვირთვით გამოიყენება არსებული ძირითადი საშუალებები, ჭიანურდება საწარმოთა დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების საექსპლოატაციოდ გადაცემა. გამოუყენებელ ქონებაზე ამორტიზაციის ანარიცხების დარიცხვა და ქონების გადასახადით დაბეგვრა, ერთი მხრივ, აუარესებს საწარმოთა ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, ამცირებს მათ ფინანსურ შესაძლებლობებს და არარეალურს ხდის შესაბამისი ბიუჯეტების შესრულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ცალკეული საწარმოებისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, წარმოების აღდგენის შესაძლებლობის მიცემისა და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების სტიმულების შექმნის მიზნით, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის „ე" პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საწარმოთა, საკუთრების ფორმის მიუხედავად, დროებით უმოქმედო ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების კონსერვაციის თანდართული დროებითი წესი.

2. საწარმოთა, საკუთრების ფორმის მიუხედავად, დროებით უმოქმედო ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების კონსერვაციის დროებითი წესი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით მოამზადოს კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩამონათვალში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ამორტიზაციის თანხა არ უნდა დაერიცხოს დადგენილი წესით კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილ ძირითად საშუალებებს, დაუდგმელ მოწყობილობებსა და დაუმთავრებელ კაპიტალურ დაბანდებებს.

4. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (მ.ჩხენკელი) საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან ერთად მოამზადოს წინადადებები სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით სამეურნეო წესით განხორციელებულ დაუმთავრებელ მშენებლობათა (რომლებიც შესაბამისად, მათ ბალანსზე ირიცხება) კონსერვაციის წესის შესახებ და სამ თვეში წარმოადგინოს განსახილველად.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში ძირითადი ფონდების დროებითი კონსერვაციის რეჟიმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 23 დეკემბრის № 934 დადგენილება.

ე. შევარდნაძე.

დროებითი წესი
საწარმოთა, საკუთრების ფორმის მიუხედავად დროებით უმოქმედო ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების კონსერვაციის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საწარმოთა დროებით უმოქმედო (გამოუყენებელი) ძირითადი საშუალებების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებების (შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის № 01, № 07 და № 08 ანგარიშებზე რიცხული ქონების, შემდგომ ტექსტში — ძირითადი საშუალებების) კონსერვაცია არის ამ საშუალებათა გამოყოფა საწარმოო პროცესიდან და კონსერვაციის (შენახვის) რეჟიმზე გადაყვანა მათი ფიზიკური მახასიათებლების შენარჩუნების უზრუნველყოფით.

კონსერვაციის (შენახვის) რეჟიმზე გადაყვანილ ძირითად საშუალებებს კონსერვაციაში ყოფნის განმავლობაში საქართველოს „საგადასახადო კოდექსის" 143-ე მუხლის „ე" პუნქტის შესაბამისად ქონების გადასახადი არ გადახდება.

2. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ამ საშუალებათა დროებით გამოუყენებლობა, აგრეთვე ის, თუ არსებობს ზმის პირობა, რომ კონსერვაციაში ყოფნის განმავლობაში არ გაუარესდება მათი ფიზიკური და ეკონომიკური მახასიათებლები და კონსერვაციის ვადის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი დაუყოვნებლივ სრული ამოქმედება.

3. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხელს არ უნდა უშლიდეს საწარმოთა რესტრუქტურიზაციას.

4. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითადი საშუალებების გადაყვანა ხორციელდება:

ა) მუნიციპალური დაქვემდებარების საწარმოებში — ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (გამგეობის, მერიის) გადაწყვეტილებით, შესაბამის მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან შეთანხმებით;

ბ) ერთ მილიონამდე ლარის ნარჩენი ღირებულების დასაკონსერვებელ ძირითად საშუალებებზე — ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით აფხაზეთისა (ევაკუირებული საწარმოების) და აჭარის მინისტრთა საბჭოებთან, აგრეთვე ქ. თბილისის მერიასთან და შესაბამის მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან შეთანხმებით;

გ) კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვან ძირითად საშუალებებზე, რომელთა ნარჩენი ღირებულება ერთ მილიონ ლარს აღემატება — საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭოს გადაწყვეტილებით;

დ) სტრატეგიული დანიშნულების საწარმოთა ქონებაზე — მოპოვებითი და მძიმე მრეწველობა, ენერგეტიკა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ტრანსპორტი (საავტომობილო ტრანსპორტის დარგში — სპეცდანიშნულების საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები), ტელეკომუნიკაციები, საკუთრების ფორმის, დაქვემდებარებისა და ღირებულების მიუხედავად — საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რომლის თაობაზე შესაბამისი განკარგულების პროექტს ამზადებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭო.

5. ამ დროებითი წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ორგანოები თავიანთ გადაწყვეტილებებს აცნობებენ საქართველოს საგადასახადო ინსპექციას და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილ უწყებათაშორის საექსპერტო საბჭოს, ხოლო ამავე პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ატყობინებს საქართველოს საგადასახადო ინსპექციას.

6. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანისა და შემდგომ — რეკონსერვაციის (კონსერვაციის რეჟიმიდან მოხსნის) ხარჯებს ეწევა თვით საწარმო.

7. საწარმოთა ქონების კონსერვაციის ეს დროებითი წესი არ ეხება სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით და მენაშენეთა მიერ სამეურნეო წესით განხორციელებულ დაუმთავრებელ მშენებლობებს, რომლებიც, შესაბამისად, მათ ბალანსზე ირიცხება.

8. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითადი საშუალებების გადაყვანა არ შეიძლება იყოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების გეგმური შემოსავლების შემცირების საფუძველი.

მუხლი 2. კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანის ორგანიზაცია

1. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანის მიზნით საწარმოში იქმნება სპეციალური კომისია მისი პირველი ხელმძღვანელის (დირექტორის, პრეზიდენტის, მენეჯერის), ტექნიკური და ეკონომიკური (კომერციული) სამსახურის უფროსების, მთავარი (უფროსი) ბუღალტრის, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (გამგეობის, მერიის) საფინანსო, ეკონომიკური და საგადასახადო სამსახურების ხელმძღვანელების შემადგენლობით. თუ კონსერვაციის რეჟიმზე ქონების გადაყვანა ხდება სახელმწიფო საკუთრების საწარმოში, კომისიაში აგრეთვე მონაწილეობს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელი.

2. კომისია ადგენს კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ძირითადი საშუალებების ნუსხას, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს: კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ძირითადი საშუალებების სრული დასახელება, მათი ადგილმდებარეობა, „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 ივნისის № 295 ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1997 წლის 18 ივლისის № 79-ს ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ" ინსტრუქციის საფუძველზე დადგენილი მონაცემები: კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ძირითადი ფონდების სტატისტიკური კოდი, საინვენტარიზაციო შიფრი, საექსპლოატაციოდ გადაცემის წელი, საბალანსო და ნარჩენი ღირებულება, აგრეთვე წინადადება კონსერვაციის ვადის შესახებ. ნუსხას თან უნდა დაერთოს კომისიის განმარტებითი ბარათი ძირითადი საშუალებების კონსერვაციაზე გადაყვანის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და კონსერვაციის ვადის დამთავრების შემდეგ ქონების ამოქმედების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოების ამუშავების მიზნით საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომებით (ბიზნეს-გეგმებისა და საინვესტიციო პროგრამების შემუშავება და სხვ.).

კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ქონების ნუსხასა და განმარტებით ბარათს ხელს უნდა აწერდეს კომისიის ყველა წევრი.

3. კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ქონების ნუსხასა და განმარტებით ბარათს კომისია შესაბამისად წარუდგენს პირველი მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ორგანოებს (დაქვემდებარებისა და ქონების ღირებულების მიხედვით), რომლებშიც საწარმოთა მიერ წარმოდგენილი მასალების განხილვისა და დასკვნის მომზადების მიზნით იქმნება სპეციალისტ-ექსპერტთა ჯგუფები. მათში შედიან ხელისუფლების ორგანოების (შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულების, მერიების, გამგეობების) ეკონომიკური, საფინანსო, სახელმწიფო ქონების მართვის, სტატისტიკის ორგანოების (სამსახურების) წარმომადგენლები. ჯგუფს ხელმძღვანელობს ეკონომიკური ორგანოს (სამსახურის) უფროსი (გამგებლის, მერის, მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე ეკონომიკის დარგში).

4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს უწყებათაშორის საექსპერტო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ეკონომიკის, ფინანსთა, სახელმწიფო ქონების მართვისა და იუსტიციის სამინისტროების, აგრეთვე სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები (ექსპერტები) საბჭოს მუშაობაში, როგორც წესი, საბჭოს წევრების სტატუსით მონაწილეობს განსახილველი საწარმოს შესაბამისი დარგობრივი სამთავრობო უწყების (სამინისტროს, დეპარტამენტის), აგრეთვე მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის წარმომადგენელი. უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარეა ეკონომიკის მინისტრი, რომელიც ამტკიცებს საბჭოს შემადგენლობას.

უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭო შეიმუშავებს თავისი საქმიანობის რეგლამენტს, რომელსაც ამტკიცებს მისი თავმჯდომარე — ეკონომიკის მინისტრი.

5. უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭო განიხილავს საწარმოს კომისიის მიერ წარდგენილ მასალას (ქონების ნუსხას და განმარტებით ბარათს) და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ან ამ დროებითი წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტს, რომელიც დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.

6. გადაწყვეტილება ძირითადი ფონდების კონსერვაციის შესახებ ერთ საწარმოში წლის განმავლობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 3. კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანის ვადები და პასუხისმგებლობა

1. კონსერვაციის რეჟიმზე ძირითად საშუალებათა გადაყვანა ხდება საექსპერტო კომისიის მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ორი წლისა.

2. ძირითადი საშუალებები ამოქმედებულად ითვლება კონსერვაციის რეჟიმის ვადის გასვლის მომენტიდან და შესაბამისად ეწყებათ ქონების გადასახადით დაბეგვრა.

3. კონსერვაციის ვადის დამთავრებამდე ძირითადი საშუალებების წარმოების პროცესში ჩართვისა და ამოქმედების შემთხვევაში ეს საშუალებები ამუშავების დროიდან ითვლება კონსერვაციის რეჟიმიდან გასულად და ქონების გადასახადით დაიბეგრება დადგენილი წესით. ვადაზე ადრე კონსერვაციის რეჟიმის შეწყვეტა საწარმოს ხელმძღვანელობამ ერთი კვირით ადრე უნდა აცნობოს კონსერვაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ადგილობრივ სამსახურს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკონსერვებული ძირითადი საშუალებების ვადამდე ამოქმედება ხდება დროებით, ერთჯერადი საწარმო შეკვეთების საფუძველზე, რომლის შემდეგ კონსერვაციის რეჟიმი დადგენილ ვადამდე კვლავ უნდა გაგრძელდეს, ამას საწარმო ერთი კვირით ადრე აცნობებს კონსერვაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და საგადასახადო ინსპექციის ადგილობრივ სამსახურს. ასეთ ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია დაერიცხებათ და ქონების გადასახადი გადახდებათ დადგენილი წესით, მათი ფაქტობრივი მუშაობის დროის გათვალისწინებით. ამასთან მათ ფაქტობრივი მუშაობის ვადით გაუგრძელდება კონსერვაციის რეჟიმზე ყოფნის დრო.

5. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ხელმძღვანელობამ ძირითად საშუალებათა ამოქმედება დადგენილი წესით არ აცნობა ამ დროებითი წესის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებულ ორგანოებს, ასეთი ფაქტის გამოვლენისას განხორციელდება ამოქმედებულ ძირითად საშუალებათა ქონების გადასახადით დაბეგვრა და საჯარიმო სანქციები გამოყენებულ იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილ ძირითად საშუალებათა ბუღალტრული და სტატისტიკური აღრიცხვა

1. კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი ძირითადი საშუალებები აისახება ბალანსის ფ. № 1-ში № 111 თავისუფალ სტრიქონში, ნარჩენი ღირებულებით, ჩანაწერით „კონსერვაციაზე მყოფი ძირითადი საშუალებები".

2. ძირითად საშუალებათა კონსერვაციის ვადა გამოირიცხება ამ საშუალებათა ექსპლოატაციაში ყოფნის საერთო ვადიდან. ამასთან კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი საშუალებები ითვლება საერთო საწარმოო სიმძლავრეებში.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

ამ დროებითი წესით კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი ძირითადი საშუალებები კონსერვაციაში ითვლება კონსერვაციაზე გადაყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსჯა

უნდა გადადგეს თუ არა პრეზიდენტი

(პირველი გვერდიდან)

ჯერ კიდევ აფხაზეთში კონფლიქტის დროს, 1992-93 წლებში ცდილობდნენ აზრის დამკვიდრებას, თითქოს შევარდნაძის ფაქტორი რომ არა, ყველაფერი მოწესრიგდებოდა და სისხლისღვრაც შეწყდებოდა. ახლაც ამკვიდრებენ აზრს, რომ თუ შევარდნაძე გადადგება, ყველა პრობლემას ერთიანად მოევლება — უმუშევრობა მოისპობა, პენსიები და ხელფასები უცებ გაიზრდება სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობა ერთ დღეში მოწესრიგდება და ასე შემდეგ.

მართლაც უზნეო უნდა იყოს ადამიანი — პრეზიდენტი მით უმეტეს — თუ იცი შენი გადადგომით ამდენ სიკეთეს მოუტან საკუთარ ხალხს, ქვეყანას და არ გადადგები.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა უნდა დაუჯეროს აკაკი ასათიანსა და ვახტანგ გოგუაძეს, პანტელეიმონ გიორგაძესა და ავთანდილ მარგიანს, მით უმეტეს იგორ გიორგაძეს — კაცი პრეზიდენტობისათვის ემზადება!

ისე, ძალიან საინტერესო კრებულია, ძალიან საინტერესო!

მათ უკან სხვებიც დგანან!

მაგრამ სანამ პრეზიდენტი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, ნება მომეცით თქვენთან ერთად გავაანალიზო, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

მოდით პირდაპირ, ჯიქურ დავსვათ კითხვა: ვინაა შევარდნაძე? ვის წარმოადგენს იგი, როგორც პრეზიდენტი?

თქვენ შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ 1990 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნული, მაგრამ მმართველობის ანაბანის უცოდინარი პოლიტიკური ძალა. სამწუხაროდ, როგორც ყველა დროში ხდება, უამრავი ფულსა და ძალაუფლებას დახარბებულიც მიეტმასნა ამ ხელისუფლებას, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ის აღმოჩნდა, რომ 1990-91 წლებში მოღვაწე ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ერთიანობაში მყოფი საზოგადოების მნიშვნელოვანი ჯგუფის გამოფხიზლება, ყური არ დაუგდო ხალხის უფრო გონიერი ნაწილის რჩევებსა და კრიტიკას და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტერთა საქმიანობის გააქტიურების კვალდაკვალ, ქვეყნის კონსოლიდირების მაგივრად, მმართველი ძალაც ორად გახლიჩა, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

1992 წელს, პოლიტიკურ ჩიხში შესულმა დროებითმა ხელისუფლებამ, რომელმაც აშკარად დაინახა ქვეყნის დაყოფა-დანაწევრების საფრთხე, გამოსავლის ძებნა დაიწყო.

ასევე პირდაპირ დავსვათ კითხვა, იყვნენ თუ არა მაშინ საქართველოში ის პირები, ვინც უკვე ჩამოვთვალე — რატომ არ იკისრეს პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე, რატომ არ განაცხადეს, რომ მათ შესწევთ უნარი იტვირთონ ქვეყნის პირველი პირის როლი და მართონ ქვეყანა, გამოიყვანონ იგი კრიზისიდან?

იმ დროს ქვეყანაში უკვე სამოქალაქო ომი დაიწყო, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა გართულებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ქვეყანა კატასტროფის ზღვარს უახლოვდებოდა და მოსალოდნელი უბედურება უეჭველად თან ჩაიტანდა ქვეყნის პირველ პირს, რომელიც მას შეეჭიდებოდა.

ერთი ხელისუფლება განდევნილი იყო ქვეყნიდან — იგი, უპირველესად, არაპროფესიონალიზმმა და მის ირგვლივ თავმოყრილმა უპასუხისმგებლო, ანგარებიანმა ჯგუფმა იმსხვერპლა.

იგივე ელოდა შემდგომ ხელისუფლებასაც — ქვეყნის გადარჩენის, მისი კრიზისიდან გამოყვანის შანსი დღითიდღე მცირდებოდა — სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ძალა იყო დაინტერესებული საქართველოს ნგრევა-დაქუცმაცებით, დასუსტებით. ექსპრეზიდენტის მომხრეთა საქმიანობა დასავლეთ საქართველოში სულ უფრო და უფრო სამიშ სახეს იღებდა.

აი, ასეთ ვითარებაში, როგორც მეხანძრე, ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე საქართველოში, ჩამოვიდა, რადგან მას, ქართველ პოლიტიკოსს, უფლება არ ჰქონდა თავისი ხალხი გაჭირვებაში მიეტოვებინა — თუ დაღუპვა გარდაუვალი იქნებოდა, მასაც ხალხის ბედი უნდა გაეზიარებინა.

მას — ედუარდ შევარდნაძეს — არ ჰქონდა უფლება ბონიდან, ვაშინგტონიდან, ან მსოფლიოს რომელიმე ცნობილი კურორტიდან (ზოგი მათგანი ხომ ქობულეთსაც ჰგავს) ედევნებინა თვალყური ქვეყნის დაქცევა-განადგურებისათვის.

ვინაა შევარდნაძე, მე მგონი მეტნაკლებად იცით, მაგრამ იქვე ვიკითხოთ, ვის წარმოადგენს იგი?

ედუარდ შევარდნაძე ქართველი ხალხის, მისი ინტერესების წარმომადგენელია.

ედუარდ შევარდნაძემ თავის ხალხთან ერთად მოახერხა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა, ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსა, საწარმოთა ნაწილმა მუშაობა დაიწყო. შეიქმნა ქართველ ბიზნესმენთა ფენა, ბაზარზე მაღალხარისხოვანი პირველი ქართული პროდუქცია გამოჩნდა, ვითარდება ვაჭრობა.

ედუარდ შევარდნაძემ და მისმა თანამებრძოლებმა შეძლეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიდ ქართველ მოაზროვნეთა — მათ შორის ნიკო ნიკოლაძის ნააზრევისა და ნაოცნებარის რეალობად ქცევა, საქართველო თანდათან იქცევა მთელი მსოფლიოსთვის საინტერესო და საჭირო სატრანსპორტო დერეფნად და ეს ყველაფერი ხალხის, სრულიად საქართველოს ხალხის თანადგომით გახდა შესაძლებელი.

სატრანსპორტო დერეფნის შესახებ; ხელისუფლების ოპონენტები ამ დერეფნის მნიშვნელობის დასაკნინებლად ხშირად წამოიძახებენ ხოლმე — „არ მინდა, ბატონო, დერეფანში ცხოვრება, იქ ორპირი ქარი იცისო“ და ჰგონიათ, რომ ძალიან გონებამახვილურად ოხუნჯობენ.

ამ ჭკუის კოლოფების საყურადღებოდ უნდა ვთქვათ: ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ნავსადგურის მშენებლობით ჩაუყარა საფუძველი დღევანდელ სატრანსპორტო დერეფანს. ვითომც დიდი პატრიოტების საყურადღებოდ მინდა ვთქვა — დახედონ საქართველოს რუკას და შეადარონ, როგორი იყო მოსახლეობის განსახლება XIX საუკუნის შუა ხანებში და როგორი გახდა იგი დღეისათვის, როგორ განსახლდა მოსახლეობა სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ. რა, ვითომ შემთხვევით მოვლენასთან გვაქვს საქმე?

ედუარდ შევარდნაძე მარტო კაცი არაა, რომელიც ვიღაცას რაღაცაში უშლის ხელს. შევარდნაძის გადადგომის მოსურნეები ხშირ შემთხვევაში არც მალავენ, რომ საქართველომ რადიკალურად უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი, რომ უარი უნდა ვთქვათ დამოუკიდებლობაზე.

სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება რადიკალურად ცვლის ქვეყნის ეკონომიკურ სურათს, ცვლის იგი მოსახლეობის განსახლებასაც და მართლაც უგონო უნდა იყოს ხელისუფალი, რომ ასეთი შანსი ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ არ გამოიყენოს.

კიდევ ბევრი დადებითი ტენდენციის წარმოჩენა შეიძლება, არაფერი მითქვამს საკანონმდებლო საქმიანობაზე, სასამართლო რეფორმაზე და ასე შემდეგ.

ნაკლი?

უამრავია!

ქვეყანას კორუფციის სენი ხრავს. ყველაზე მოკრძალებული ანგარიშით, ყველა ჯურის ხაზინის ქურდები ხალხის ქონების 800 მილიონიდან ერთ მილიარდამდე ლარს ითვისებენ, — ეს ქვეყნის ბიუჯეტის ტოლი თანხაა. ეს ნიშნავს, რომ თუ სახელმწიფო ამ თანხებს არ დაკარგავს, შესაძლებელი გახდება პენსიების, ხელფასების, დახმარებების გასამმაგება, მკვეთრად გაუმჯობესდება სამედიცინო, სოციალური განათლების, სამხედრო მშენებლობის და სხვა სფეროების დაფინანსება.

დიახ! უამრავი პრობლემა აქვს ქვეყანას. მოსაგვარებელია აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები. ზოგი უგონო პოლიტიკოსი ერთი დაკვრით ითხოვს პრობლემათა გადაწყვეტას, არადა ამ მამაცხონებულებს ავიწყდებათ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 50 წელი ელოდა აღმოსავლეთ გერმანიის შემოერთებას — დასავლეთ გერმანია როგორმე ცოტათი ძლიერი იყო საქართველოზე, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

ჩინეთი, მსოფლიოს ეს გიგანტი, 50-100 წელია აგვარებს ჰონკონგის, ტაილანდის და სხვა პრობლემებს. ჩინეთის მოსახლეობა კი მილიარდ 400 მილიონი — „ცოტათი“ მეტია საქართველოზე, მაგრამ ისინიც მიხვდნენ, რომ პრობლემათა მშვიდობიანი გზით მოგვარებას ალტერნატივა არა აქვს; იგულისხმება, რომ ეს არ ნიშნავს აუცილებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმას.

მე არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს ჩვენც 50-100 წელი უნდა ვიცადოთ. არა! ახლა სხვა დროა, სხვა ვითარებაა. მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება. ქვეყანა უახლოეს მომავალში მოაგვარებს აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებს, ოღონდ ზუსტად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯებია გადასადგმელი, ოღონდ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ჩვენთვის სასურველი მომენტის დადგომა.

რატომ ვთქვი ყოველივე?

იმიტომ, რომ შევარდნაძის გადადგომა-არგადადგომა ვერ წყვეტს პრობლემას. ედუარდ შევარდნაძე მარტო კაცი არაა, რომელიც ვიღაცას რაღაცაში უშლის ხელს. შევარდნაძის გადადგომის მოსურნეები ხშირ შემთხვევაში არც მალავენ, რომ საქართველომ რადიკალურად უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი, რომ უარი უნდა ვთქვათ დამოუკიდებლობაზე, რომ ახალ საბჭოთა კავშირში უნდა შევიდეთ და ასე შემდეგ.

ახლა მე ვკითხულობ; დავუშვათ ედუარდ შევარდნაძე დაგეთანხმათ: რას ვუშვრებით მის თანამოაზრეებს, რომლებიც მისი კურსის მხარდამჭერები და პრაქტიკულად გამტარებლები არიან? ისინიც უნდა გადადგნენ?

კარგი, ვთქვათ ისინიც გადადგნენ. რას ვუშვრებით საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც არ უნდა ახალი საბჭოთა კავშირი, ვინც მიიჩნევს, რომ ამ ხელისუფლების კურსი მისაღებია. ასეთები კი საკმაოდ ბევრნი არიან, რა ქნან მათ, ისინიც გადადგნენ? მაგრამ რისგან? — პოზიციისაგან? რა, ისევ სამოქალაქო ომში ჩავითრიოთ ქვეყანა? ისევ ქაოსი და ანარქია დავამკვიდროთ? ამით ვინც მოიგებს, წინასწარაა ცნობილი — ზოგი ხომ თქვენს რიგებშიცაა ბატონო ვახტანგ (გოგუაძე!), მილიონები რომ იშოვეს ხალხის სისხლსა და ცრემლზე — დავაბრუნოთ ისევ იმათი დრო?

შევარდნაძე თავის ხალხს არ უღალატებს, თქვენი მოთხოვნის გამო არ გადადგება, უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენს შორის ვერ ხედავს იმ პოლიტიკოსს, რომელსაც შეეძლება თუნდაც ერთი თვე მართოს ქვეყანა სერიოზული ექსცესებისა და გართულებების გარეშე. ეს ხომ დაამტკიცეს ასათიანებმა და სხვებმა და სხვებმა, როცა ჩაიბარეს ეროვნულად გამთლიანებული ქვეყანა, რაც ახალი სისტემის თანდათანობითი და უმტკივნეულო დამკვიდრების უმთავრეს პირობას წარმოადგენდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, დილეტანტ-პოლიტიკოსებმა ერთ წელიწადში მოახერხეს სამოქალაქო ომამდე მისვლა — მათგან განსხვავებით კი დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა — არა საკმარისი, არამედ ბევრი — ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

შევარდნაძე თავის ხალხს არ უღალატებს, თქვენი მოთხოვნის გამო არ გადადგება, უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენს შორის ვერ ხედავს იმ პოლიტიკოსს, რომელსაც შეეძლება თუნდაც ერთი თვე მართოს ქვეყანა სერიოზული ექსცესებისა და გართულებების გარეშე.

როცა ყველასათვის კარგად ცნობილი პირები სპეკულაციას იწყებენ სოციალური პრობლემებით, ხანდახან მგონია მარსიდან ჩამოსულებს ვუსმენ.

იწყებენ დღევანდელი ხელფასების, პენსიების, სოციალური ვითარების შედარებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულის ცხოვრებასთან.

ძალიან მოკლე მეხსიერება ჰქონიათ ამ ბატონებს, ძალიან მოკლე, ან უსაშველოდ უსინდისოები არიან.

აბა გავიხსენოთ მეორე მსოფლიო ომის წინანდელი ვითარება საბჭოთა კავშირში! აბა გავიხსენოთ 50-იანი წლები, როცა საშუალო ხელფასი საბჭოთა კავშირში 63-დან 67 მანეთამდე იყო (1950-55 წწ)., 1960-65 წლებში მან 75-87 მანეთს მიაღწია და მხოლოდ 1970 წელს გაცდა 100-მანეთიან ზღვარს. იგულისხმება, რომ მინიმალური ხელფასი 25 და 45 მანეთი იყო. პენსიები რამდენი იქნებოდა, პატივცემულო ოპონენტებო? პენსიები 9-15 მანეთს შეადგენდა. რატომ? იმიტომ, რომ ომი — 10-15 წლის დამთავრებული იყო და ქვეყანას მეტი საშუალება არ ჰქონდა — თანაც ეს იმ პირობებში, როცა ათეულობით მილიონი ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში უსასყიდლოდ ეწეოდა მონურ, უმძიმეს შრომას და ეს ყველაფერი ქვეყნის ბიუჯეტს ემატებოდა.

ჩვენთან უკვირთ 30-40-ლარიანი ხელფასები და 12-15-ლარიანი პენსიები.

ჩვენმა ქვეყანამაც ხომ გადაიტანა სამოქალაქო ომი, საყოველთაო ნგრევა და გაპარტახება? ახლა შეადარეთ საბჭოთა კავშირის აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე...

ჩვენი ქვეყანა ვერ წავა საკონცენტრაციო ბანაკებისა და ადამიანთა მონური შრომის გზით. აბა, დაფიქრდნენ პატივცემული ოპონენტები, როგორი საპასპორტო რეჟიმი იყო საბჭოთა კავშირის დროს, 60-იან წლებამდე, შეეძლო თუ არა სოფლის მცხოვრებს ქალაქში ჩამოსვლა და უმუშევართა რიგების შევსება. ჩვენ რა უნდა ვქნათ, ავუკრძალოთ სოფლის მცხოვრებთ თბილისში ან სხვა ქალაქებში ჩასვლა — ვიაროთ დიქტატისა და ტერორის გზით?

სანამ შედარებებს დავიწყებდეთ საბჭოთა კავშირთან, მის ბოლო ათწლეულების ცხოვრების დონესთან, ისიც უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა ოპონენტებმა, რომ იმ იმპერიას სწორედაც რომ ხელოვნურმა ცხოვრების დონემ, ამ დონის შეუსაბამობამ ეკონომიკის შესაძლებლობებთან, მოუღო ბოლო.

მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობა პირდაპირაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებზე — კეთილდღეობის დონე იზრდება და კვლავაც გაიზრდება. ობიექტური კაცი შეამჩნევდა, რომ პენსიები გაორმაგდა, ხელფასებმა აშკარად მოიმატა — სხვა საკითხია, რომ საკმარისი არაა, მაგრამ როგორც ოჯახის უფროსი ცდილობს მცირე შემოსავალი აყოფინოს ოჯახს, ასევეა სახელმწიფოც — რაც აქვს, იმას უნაწილებს თავის მოქალაქეებს.

რეზერვები ბევრია — ჯერ კიდევ ასამუშავებელია საწარმოთა უდიდესი ნაწილი, დასახვეწია საგადასახადო კოდექსი, გასავითარებელია ახალი დარგები, ტურიზმის ინდუსტრია თავიდანაა შესაქმნელი, კორუფციის წინააღმდეგ სერიოზული საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებია გასატარებელი, — მოკლედ საქმე უამრავია და ხალხიც ამოისუნთქავს, მატერიალურად მომძლავრდება, მაგრამ შემდგომ — გვიან იქნება რეაქციონერთათვის, გვიან იქნება პოპულისტური ლოზუნგებით სპეკულირება — ახლა თუკი ვინმეს გაბრიყვება კიდევ შესაძლებელია, შემდეგ შეიძლება აღარც მოუსმინონ, გვიან იქნება იმიტომაც, რომ საზღვარს გარედან მართული, საცოდავი, დაკარგულ თანამდებობებს გამოტირებული პოლიტიკოსები თავიანთ უცხოელ პატრონებსაც აღარ დაჭირდებათ. შემდეგ კი ნიღბჩამოხსნილ, საკუთარი ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ თავგადაკლულად მოღვაწე ადამიანებს ვიღა გაიკარებს ახლოს?

ამიტომ ჩქარობენ, ამიტომ მიდიან ტერორზე, ამიტომ გააჩაღეს იატაკქვეშა მოძრაობები, ამიტომ ემზადებიან გადატრიალებისათვის, მათი უზნეობის შემხედვარე კი საქართველოს დიდი შვილები სამარეში ტრიალებენ.

ხალხი კი, ხალხი ბრმა არაა. იგი შეიძლება ზოგჯერ მოატყუო კიდეც, მაგრამ ვაი მას, ვინც ამას შეეცდება — ხალხისა და ისტორიის სასჯელი ნამდვილად არ აცდება. ამის მაგალითებიც ჩვენმა ისტორიამ ბევრი იცის.

თეიმურაზ კვირკველია.

P. S. რაც შეეხება ბატონების — ავთანდილ მარგიანის და ვალერი კვარაცხელიას ამასწინანდელ გამოხდომას ჩემს წინააღმდეგ (იგულისხმება მათი „სახალხო-პატრიოტული გაერთიანების“ პრესკონფერენცია), შესაბამის პასუხს ახლო მომავალში მიიღებენ.

კორუფციის წინააღმდეგ

ზოგი ბიუჯეტს ტოვებს მშრალზე, ზოგიც - საკუთარ ჯიბეს

(პირველი გვერდიდან)

ანტიკორუფციული სამსახურისა და გამოძიების მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალებით ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში ხშირია საქართველოსთვის განკუთვნილი იმპორტული საქონლის მეზობელ ქვეყნებში შეზიდვა და შემდეგ ავტოტრანსპორტით კონტრაბანდული გზით შემოტანა. ამ ხერხით შარშან, 15 ნოემბერს თურმე შვიდი და წლეულს 25 იანვარს 5 ავტომანქანით, აზერბაიჯანიდან საქართველოში (ისე, რომ მებაჟეებს საქონლის განბაჟება არ მოუხდენიათ) დაახლოებით 1,2 მილიონი ლარის ღირებულების, უმთავრესად ჩინური წარმოების საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საქონელი შემოსულა (ორივე ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და საბაჟოს თანამშრომლები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში).

რატომ დაიხლართეს გზა საქონლის მეპატრონეებმა და საქართველოში არ შემოვიდნენ თბილისის აეროპორტით? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისი კანონმდებლობით უნდა გადაეხადათ საქონლის ღირებულების 34 პროცენტი, ანუ ერთ ავტომობილზე 34 ათასი ლარი. აზერბაიჯანის გავლით კი დაახლოებით 7-10 პროცენტი, ანუ 7-დან 10 ათასამდე ლარი, რომლიდანაც ნაწილი ოფიციალურად მიდის აზერბაიჯანის ბიუჯეტში, ნაწილი, რა თქმა უნდა, უკანონოდ, მებაჟის, მესაზღვრისა და „გამცილებლის“ ჯიბეში.

ეს „გამცილებლები“ ვინღა არიან? ხშირად, ისინი, ვინც უნდა ამხელდეს — სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები... იმის გამო კი, რომ ქვეყნის საზღვრები მჭიდროდ არ არის გადახურული, ტვირთები შემოვლითი გზით, საბაჟო და სასაზღვრო საგუშაგოების გვერდის ავლითაც შემოაქვთ (ასე კიდევ მეტი მოგება რჩება მეპატრონეს).

ერთი სიტყვით, უშიშროების სამინისტროში არსებული რეალური ინფორმაციით, საქართველოში, კვირაში საშუალოდ 20 ავტომანქანა კონტრაბანდული საქონელი მაინც შემოდის.

ე. ი. რა გამოდის?

წელიწადში ჩვენს ბაზარზე მხოლოდ ამგვარი „წესით“ დაახლოებით 100 მლნ ლარის აღურიცხავი საქონელი შემოდის, და არამც თუ მისი 34 პროცენტი, ერთი ლარიც არ შედის საქართველოს ბიუჯეტში.

საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთი მაგალითი:

წლეულს, 5 აპრილს საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოში 1150 ტონა გაყინული სკუმბრიას კონტრაბანდული გზით გადმოტანის ფაქტზე.

გამოძიებით დადგენილია, რომ წლეულს, 17 თებერვალს, ფოთის პორტში უკრაინის რესპუბლიკის კუთვნილ თბომავალ „ნიკოლაი შჩორსით“, ფოთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმის“ სახელზე შემოტანილია 1150 ტონა გაყინული სკუმბრია. მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკის თევზსაჭერი საზოგადოების მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერთიფიკატით კი თევზი საქართველოში წარმოებულ პროდუქციად ჩაითვალა და ამ დოკუმენტის შესაბამისად, ფოთის რეგიონულ საბაჟოში საბაჟო დეკლარაციაც გაფორმდა, რომლის მიხედვითაც 92469 ლარის საბაჟო ღირებულების სკუმბრია 0,3 პროცენტით, ანუ 2774 ლარით დაიბეგრა. მოტივი: ვინაიდან იგი შპს „სიმმა“ დაფრახტული გემით მოიპოვა, საქართველოში წარმოებული პროდუქციაა, ასე მიიჩნიეს მებაჟეებმა. ალბათ, ასე სურდათ და იმიტომ, თორემ ვიდრე წინასწარი გამოძიება დაადგენდა, ვითომ თვითონ არ იცოდნენ, რომ უკრაინის თბომავალით ფოთში შესული თევზი დაიტვირთა არა ქართული ფირმის მიერ დაფრახტული გემიდან, არამედ კალინინგრადის „ატლანტიკ თევზმრეწვის“ კუთვნილ გემ „მალტიდან“? მაგრამ... ეს რომ „ცოდნოდათ“, მაშინ 1150 ტონა სკუმბრიას „ქართულ წარმომავლობას“ ველარ დააბრალებდნენ, იგი კანონიერად უნდა გაფორმებულიყო, როგორც დსთ-ს წევრი ქვეყნის კუთვნილი საქონლის იმპორტი და საბაჟო ღირებულების 20,3 პროცენტით, ანუ 187712 ლარით უნდა დაბეგრილიყო, რასაც დამატებული ღირებულების გადასახადიც უნდა დამატებოდა. მერედა, აძლევდა კი ეს ხელს მის მეპატრონეებს? რომელთაც დღეს წინასწარი გამოძიებით ბრალად ედებათ კონტრაბანდა და გადასახადების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა?

რა თქმა უნდა, არა. თვითონ განსაჯეთ: როგორც გამოძიებით დადგინდა, შპს „სიმის“ დირექტორმა პეტრე სუვოროვმა და შპს „ლამპარის“ დირექტორმა გიორგი ზამთარაძემ სინამდვილეში თევზი უცხო ქვეყნის თევზსაჭერი ფირმისგან 888440 ლარად იყიდეს. შეძენილი თევზის მათ მიერ დაქირავებულ გემებში გადმოტვირთვა, ფოთში შემოტანა და სხვა ოპერაცია 133000 ლარი დაუჯდათ, პლიუს ბანკის საპროცენტო გადასახადი — 71 ათასი ლარი. სულ 305 820 ლარი (მათ შორის საბაჟო გადასახადი 187 712 ლარს, დღგ 92820 ლარს შეადგენს). გამოდის, რომ მოგების სახით მეპატრონეებს დარჩებოდათ დაახლოებით 49 ათასი ლარი. თუ რეალიზაციის ვადა კიდევ უფრო გაიზრდება, მათი მოგება კრედიტის პროცენტული განაკვეთის დასაფარავად იკმარებდა მხოლოდ. რა გამოდის? სხვა ქვეყანაში წარმოებული თევზის ყიდვა-გაყიდვა საგადასახადო და საბაჟო მოქმედი კანონმდებლობებით, ბიზნესის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, არახელსაყრელი და მიუღებელია...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რა დიდი მოთხოვნილებაა ჩვენთან თევზზე, ასეთი სახის ბიზნესზე უარის თქმა, გარკვეულ ეკონომიკურ დარტყმას მიაყენებს მოსახლეობას.

სუვოროვმა, ზამთარაძემ და სხვებმა გამოსავალი ნახეს და...

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გამოძიებით დადგინდა: საქართველოს ბიუჯეტმა 281 ათასი ლარის ნაცვლად 2 774 ლარი მიიღო, ე. ი. 278 ათას 300 ლარით ნაკლები.

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ანალოგიურ ფაქტებზე აღძრულ რამდენიმე საქმეზე მიმდინარე გამოძიების მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის მიზეზები და მოტივები თითქმის ანალოგიურია. რას იზამ, რაც შეიძლება მეტი მოგების სურვილი დიდი ცდუნებაა, რომელსაც ყველა ვერ ერევა. ამიტომაც, ზოგი ბიუჯეტს ტოვებს მშრალზე, ზოგიც — საკუთარ ჯიბეს.

დიახ, ბიზნესმენის მიერ კანონიერად გაფორმებული საქონელი, (თვითღირებულების მნიშვნელოვანი სხვაობის გამო), სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენციას ვერასგზით ვერ გაუწევს კონტრაბანდული თუ შეღავათებით ან შემცირებული საბაჟო ღირებულებების ჩვენებით ყალბად გაფორმებულ იმპორტირებულ საქონელს, ეს კი პატიოსანი მეწარმის გაკოტრების საუკეთესო საშუალებაა და კიდევ იმის ბიძგიც, ამ პატიოსან გზაზე დამდგარმა კაცმაც იფიქროს „გამოსავალზე“ და მიდის კიდეც სულ ახალ-ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოძებნა საბაჟო დოკუმენტების გაყალბებისა და მოგების დასამალად.

ესეც თქვენი კორუფცია.

რატომ არ დავწერე მხოლოდ დანაშაულის ფაქტზე და უფრო მეტი ადგილი მის გამომწვევ მიზეზებს დავუთმე? არა იმიტომ, რომ ვინმეს ქმედება გამემართლებინა ან პირიქით. ვფიქრობ, დადგა დრო ვაღიაროთ ის, თუ რა რატომ გვჭირს, და არა — ვიქირქილოთ იმაზე, რაცა გვჭირს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიაჩნია, რომ დღეისათვის არსებული 34-პროცენტიანი დაბეგვრის შემდეგ მეწარმეს მოგების მინიმუმიც არ რჩება. რაც, თავისთავად, საშუალო და მცირე ბიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი დამამუხრუჭებელი ფაქტორია. 10-15 პროცენტი გადასახადების დაწესების შემთხვევაში კი სახელმწიფო სულ ცოტა — 10 მლნ ლარის შემოსავალს მაინც მიიღებს. ამის დასტურად საზღვარგარეთიდან შემოტანილ მსუბუქ ავტომანქანებსა და თამბაქოს ნაწარმზე დაწესებული გადასახადების შემცირებით სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას ასახელებენ.

ერთი სიტყვით, ისინი გამოსავალს არსებული კანონმდებლობის გადასინჯვაში ხედავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ მოქმედი კანონმდებლობა ხდება უკანონო ქმედებისა და კორუფციის წამქეზებელი და სტიმულის მიმცემიო, — აცხადებენ.

კეთილი, მაგრამ...

კაცს უთხრეს: გაიქეცი, რა მანძილის გარბენასაც შეძლებ, იმდენ მიწას მოგცემთო. კარგა მანძილზე სირბილით დაოსებული კაცი წაიქცა და მეტის დაუფლებას დახარბებულმა, ხელი კიდევ წინ გაიწვდინა: აქაოდა, ესეც ჩემიაო...

ვფიქრობ, ჯერ კიდევ არის რაღაც საერთო ჩვენსა და იმ კაცის აზროვნებას შორის. იქნებ ამიტომაც დღესაც ის ვართ, რაც გუშინ ვიყავით?

არადა, ხვალ XXI საუკუნეა.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ჯანდაცვა

ადამიანთა მოდგმამ საუკუნეების მანძილზე მრავალი გამოცდა გაიარა. ამ გამოცდათა რაოდენობა განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში გაიზარდა. მათ შორისაა მეოცე საუკუნის „ჭირი“ — თერმო-ატომური აფეთქებები, და ამის შედეგად გამოწვეული სხივური დაავადებები, სიმსივნეები, რასაც ასეულათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება. საშიშროება მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში არის, მათ შორის — საქართველოში. რა მდგომარეობაა ჩვენში ამ მხრივ? ჰკითხა ჟურნალისტმა ხ. ვართანიანმა საქართველოს ონკოლოგიური ცენტრის დირექტორს პროფესორ რევაზ ვეფხვაძეს.

იზრდება ონკოლოგიის შესაძლებლობები

— რას გვეტყვით საქართველოში რადიაციით გამოწვეულ დაავადებებზე?

— ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შემდეგ, როგორც ცნობილია, რადიაცია გავრცელდა უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთში, დასავლეთ საქართველოში და სხვა ქვეყნებში. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილმა კომისიამ 1991-92 წ.წ. შეისწავლა 132 ადამიანის ჯანმრთელობა, რომლებმაც მეორე კატეგორიის დასხივება მიიღეს.

რადიაციული დასხივების მეორე შემთხვევა იყო 1991 წელს (როგორც ცნობილია, იმ დროს სატრანსპორტო მიმოსვლა მოშლილი იყო). ქუთაისის რკინიგზის სატვირთო სადგურში მოხვედრილი კონტეინერი რადიაქტიური კობალტით, რომელიც რუსეთში უნდა გადაგზავნილიყო, სატვირთო სადგურის მილიციის ოთხმა თანამშრომელმა უნებართვოდ გახსნა. მათ ამოიღეს რადიაქტიური ნივთიერება და მცირე ხნის განმავლობაში ხელში ეჭირათ: ვერ გაერკვნენ, რა იყო. შემდეგ ის ბაქანზე დადეს და შემთხვევის ადგილს მოშორდნენ. მეორე დღეს ორი მილიციონერი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და დახმარებისათვის მათ ქუთაისის რესპუბლიკურ საავადმყოფოს მიმართეს... ამის თაობაზე ქუთაისში გამომიძახეს. ავადმყოფებს რადიაციული დასხივების გამო დაწყებული ჰქონდათ ხელის მტევნების შეშუპება. სისხლი რეაქციას იძლეოდა სხივურ დაავადებაზე. დარჩენილმა ორმა მილიციონერმა დახმარებისათვის კლინიკას ორი დღის შემდეგ მიმართა. ოთხივეს განუვითარდა მწვავე სხივური დაავადება: მათ შორის დღეისათვის ერთი გარდაცვლილია, ერთს ორივე ხელის მტევანი აქვს ამპუტირებული. სამივე ავადმყოფი ინვალიდია და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

რადიაციის მესამე შემთხვევა დაფიქსირდა ლილოს სამხედრო ბაზაზე განთავსებულ სასაზღვრო ჯარების ტერიტორიაზე. რადიაქტიური ნარჩენი ლილოში რუსეთის არმიამ მიატოვა. ცხრა ქართველ ახალგაზრდას შეხება ჰქონდა რადიაქტიურ ნარჩენებთან. ეს მოხდა შარშან, მარტში. ექიმებმა დააფიქსირეს უცნობი ავადმყოფობა: წყლულები შეუხორცებელი იყო. კონსულტაციაზე დაგვიანებით მიმიწვიეს. 1997 წლის სექტემბერში დავაფიქსირე სხივური დაავადება. ახალგაზრდებმა მკურნალობის კურსი გერმანიასა და საფრანგეთში გაიარეს. დღეს მათ წყლულები შეხორცებული აქვთ, მაგრამ რეციდივები იქნება, ამას კი ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება.

— ბატონო რევაზ! რატომ აირჩიეთ მედიცინის ეს დარგი, ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?

— სამედიცინო ინსტიტუტი 1948 წელს დავამთავრე, მუშაობა დავიწყე პროფესორ გიორგი ნაზარიშვილის კათედრაზე ლაბორანტად. სტუდენტობისას დავინტერესდი რენტგენის აპარატით და მისი მუშაობის დროს მიღებული დასხივების პრობლემებით. ტექნიკაში გარკვეული ვიყავი. პროფესორი ნაზარიშვილი ქართველი რენტგენოლოგიის ფუძემდებელია და მე მასთან გავიზარდე. მისი ხელმძღვანელობით დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გავხდი პროფესორი. ვიყავი რენტგენოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. ნაზარიშვილი სამეცნიერო დაწესებულებას 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა. მის შემდეგ რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტს მე ვხელმძღვანელობდი.

— როგორ შეიქმნა ონკოლოგიის ცენტრი?

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას რენტგენოლოგია, რადიოლოგია და ონკოლოგია ერთნაირად ემსახურება. ამიტომ გადაწყდა რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტის გაერთიანება ონკოლოგიასთან და მათ ბაზაზე ონკოლოგიური ცენტრის შექმნა. ამით დაწესებულების პოტენციალი გაიზარდა, მკურნალობის შედეგიანობამაც იმატა.

— რას გვეტყვით თქვენი დარგის შესახებ?

მედიცინის ახალ დარგებს, მიმართულებებს პრაქტიკა ხვეწს და სრულყოფილს ხდის. ჩემი ავტორობით 1955 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „სხივური დაავადება, დიაგნოსტიკა, დოზიმეტრია“. მას შემდეგ სახელმძღვანელო არ გამოცემულა, ინტერესი კი დიდია. ამაზე მეტყველებს ჩვენთან დაცული ოცამდე დისერტაცია. გვაქვს სკოლა, რომელიც სხივური თერაპიის დახვეწის პრობლემებზე მუშაობს. ჩემს მიერ რუსულ ენაზე გამოცემული „თერმოდიაგნოსტიკა“ სახელმძღვანელო იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ონკოლოგიის ცენტრი დღეს მოწინავე დაწესებულებაა. ონკოლოგიურ ავადმყოფთა მომსახურება ჩვენთან მსოფლიო კვალიფიკაციის დონეზე ხორციელდება. ჩვენს ცენტრში დანერგილი სიახლეები აღიარებულია. ახლა ამერიკაში იმყოფება ჩვენი თანამშრომელი დავით გოცაძე, რომელიც იქ წარადგენს შარდის ბუშტის კიბოს მკურნალობის თბილისურ მოდიფიკაციას (ბუშტის ამოკვეთა და მისი ფორმირება ნაწლავის ამონაკვეთისაგან). მსოფლიო პრაქტიკის დონეზე მიმდინარეობს კუჭ-ნაწლავის, სარძევე ჯირკვლების და სხვა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა. ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ექვსი თანამშრომლის კოლექტიურ ნაშრომს მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

— რას გვეტყოდით ქვეყანაში შექმნილ ეკოლოგიურ ვითარებაზე?

ჩვენი საცხოვრებელი გარემო საკმარისად დაბინძურებულია. ბევრ ადგილას ის დასაშვების მაქსიმალურ ზღვარს აღწევს. ამიტომაც დიდი სამუშაო აქვს ეკოლოგიის სამინისტროს. მნიშვნელოვნად აჭუჭყიანებს გარემოს ტრანსპორტი. ამ უბანზე პრობლემები საკმაოდ დიდია. განსაკუთრებით მისახედია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. დღეს ბაზარზე დიდი რაოდენობით შემოდის ნიტრატებით დაბინძურებული კვების პროდუქტები. ეს საგანგაშოა და გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვს. ნამდვილად არ გვაქვს მოდუნების უფლება. ექსტრემალური სიტუაციიდან არავინ არის დაზღვეული.

ჩვენმა კოლექტივმა შეადგინა სახელმწიფო პროგრამა „რადიაცია“, რომლის მოქმედების ვადა 2005 წლამდეა. ვსწავლობთ რადიონუკლიდებით გარემოს დაბინძურებას და ჩიყვით დაავადების გავრცელების არეალს. თუ აქამდე დახმარებას მხოლოდ იმ ადამიანებს ვუწევდით, რომლებიც თვითონ მოგვმართავდნენ, წელს დაიწყო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მასობრივი შესწავლა, რაც ონკოლოგიური დაავადების ადრეული პროფილაქტიკის საშუალებას მოგვცემს. ამრიგად, ვიწყებთ ორგანიზებულ მუშაობას. ისე კი, თითოეულმა ადამიანმა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეამოწმოს.

— ბატონო რევაზ! დავუბრუნდეთ ატომურ ელექტროსადგურებს.

— ნებისმიერი ატომური ელექტროსადგური საშიშროებას წარმოადგენს. ამიტომაც არის შექმნილი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო „მაგატე“. მასთან თანამშრომლობა ჩვენმა ქვეყანამ 1995 წლიდან დაიწყო და იგი მუდამ მხარში გვიდგას. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციაზე მომუშავეთა რაოდენობა საქართველოში სამი ათასს აღწევდა. მათი ჯანმრთელობის შესწავლისათვის, სხივური თერაპიის დაგეგმარებისათვის კომპიუტერული ხელსაწყოები უსასყიდლოდ გადმოგვეცა. ამით საშუალება გვეძლევა გამოვიყენოთ სხივური თერაპიით მკურნალობის ახალი მეთოდები. წელს ამ მიზნით „მაგატესაგან“ კიდევ 550 ათასი დოლარის სხვადასხვა აპარატურას მივიღებთ, ხოლო მთლიანად დახმარება 2 მილიონი დოლარით არის განსაზღვრული. ამით ჩვენი შესაძლებლობები იზრდება. მოქალაქეებს კი ვურჩევთ ყოველწლიურად შეიმოწმონ ჯანმრთელობა, პანიკურად ნუ ემინიათ კიბოსი, რადგან მისი მკურნალობის შესაძლებლობები ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიაგნოზი დროულად დაისვა. ამისათვის კი აუცილებელია, რომ პროფილაქტიკური მუშაობა ქვეყანაში მაღალ დონეზე გვქონდეს.

დოკუმენტი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულება

I. ზოგადი ნაწილი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაცია სახელმწიფოს მიერ სასწავლებლის შეფასების აქტია, რომლითაც სასწავლებლის ატესტაციის შედეგების ანალიზისა და შეჯამების საფუძველზე დგინდება სასწავლო პროცესში ამ სასწავლებლის მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მდგომარეობა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხი; ამ შეფასების შედეგად განისაზღვრება სასწავლებლის სტატუსი და წყდება სასწავლებლისათვის სახელმწიფო აკრედიტაციის მოწმობის გაცემის საკითხი, რომელშიც აღინიშნება რა სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის, რა აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და რომელი სახელმწიფო სერტიფიკატის გაცემის უფლება აქვს მას.

2. უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში – საბჭო) იქმნება „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის პროცესის ორგანიზებისათვის.

3. საბჭო მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელსაც ქმნის საქართველოს პრეზიდენტი განათლების სამინისტროსთან. საბჭოს დებულებასა და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით და ამ დებულებით.

5. საბჭო მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

II. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) წინადადებათა მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სფეროში პოლიტიკის განსასაზღვრავად;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესის ორგანიზება;

გ) აკრედიტაციისათვის საჭირო ნორმატიული და სხვა ხასიათის დოკუმენტების პროექტების მომზადება;

დ) ატესტაციის შედეგების ანალიზი და აკრედიტაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ე) შემოსული პრეტენზიების განხილვა;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეიტინგის დადგენა და ყოველწლიური რეიტინგული სიის გამოქვეყნება.

III. საბჭოსა და მისი წევრების უფლებამოსილებანი

1. საბჭოსა და მის წევრებს უფლება აქვთ:

ა) გადაწყვეტილება მიიღონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ:

– სასწავლებლის აკრედიტებაზე;

– აკრედიტების შესახებ უარის თქმაზე;

– აკრედიტების გაუქმებაზე.

ბ) გადაწყვეტილება მიიღონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რიგგარეშე ატესტაციის შესახებ.

2. საბჭოს ნებისმიერ წევრს უფლება აქვს გაეცნოს საკრედიტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას.

3. საბჭო მონაწილეობას იღებს საატესტაციო კომისიის წევრების შერჩევის პროცედურაში და დარგების მიხედვით ქმნის საექსპორტო ჯგუფებს.

4. საბჭო აანალიზებს საატესტაციო კომისიის მუშაობას და შედეგებს აცნობს საქართველოს განათლების სამინისტროს.

5. საბჭო გასცემს აკრედიტაციის მოწმობას.

7. საბჭო წლიური მუშაობის შედეგებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს და განათლების სამინისტროს. მათი მოთხოვნით საბჭო წარადგენს რიგგარეშე სხდომის ანგარიშსაც.

IV. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო იქმნება განათლების, მეცნიერებისა და სხვა საზოგადოებრივ სფეროებში მოღვაწე ავტორიტეტული პირებისაგან.

2. საბჭოს წევრების რაოდენობა განისაზღვრება 31 წევრით.

3. საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს განათლების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. საბჭოს თავმჯდომარე და წევრები მტკიცდებიან 7 წლის ვადით.

5. საბჭოს თავმჯდომარე ანაწილებს საბჭოს წევრთა ფუნქციებს, მათგან ირჩევს:

ა) მოადგილეს, რომელიც განსაზღვრულ შემთხვევებში ცვლის თავმჯდომარეს;

ბ) კოორდინატორებს, რომლებიც კურირებენ განსაზღვრული დარგის უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) მდივანს, რომელიც ორგანიზებას უწევს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.

6. საბჭოს წევრებს შეიძლება უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს:

ა) პრეზიდენტის ბრძანებულებით;

ბ) პირადი განცხადებით;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

ე) ექვსი თვის განმავლობაში საბჭოს სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

7. უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი განათლების სამინისტროს წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს ახალ წევრს გამოკლებული წევრის უფლებამოსილების ვადით.

V. საბჭოს აპარატი

1. საბჭოს აქვს აპარატი. აპარატის საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს განათლების მინისტრი.

2. აპარატის თანამშრომლები ახორციელებენ საბჭოს ტექნიკურ მომსახურებას და უზრუნველყოფენ საინფორმაციო ბანკის შექმნას.

3. აპარატის თანამშრომლებს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს განათლების მინისტრი.

4. აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება ხდება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.

VI. საბჭოს რეგლამენტი

1. საბჭოს სხდომები მოიწვევა, როგორც წესი, თვეში ერთხელ.

2. საბჭოს სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს ან საბჭოს წევრთა მეოთხედს.

3. საბჭოს სხდომებს უძღვება თავმჯდომარე. იგი წინასწარ ადგენს სხდომის დღის წესრიგს და აცნობს საბჭოს წევრებს.

4. საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს თავმჯდომარისავე დავალებით ასრულებს მისი პირველი მოადგილე.

5. საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრება შეუძლიათ საბჭოს მიერ საატესტაციო კომისიაში დანიშნულ ექსპერტებს, ასევე, ნებისმიერ პირს საბჭოს გადაწყვეტილებით.

6. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3. აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. სხვა საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმის გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

7. სხდომის შედეგები ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა

თამაზ კვაჭანტირაძე – საქართველოს განათლების მინისტრი, აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე;

ნოდარ ამაღლობელი – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;

ვალერი ასათიანი – საქართველოს კულტურის მინისტრი;

გიორგი გაბაშვილი – საქართველოს განათლების სამინისტროს საინფორმაციო პროგრამების ხელმძღვანელი;

ირაკლი გაგოიძე – არასახელმწიფო სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი გამრეკელი (მეუფე გიორგი) – პროტოპრესვიტერი, საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარე;

ალექსი გერასიმოვი – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საკითხებში;

მანანა გიგინეიშვილი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

რისმაგ გორდეზიანი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

ნანი ზუზუნავა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი;

ნოდარ ვალიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე;

ალბერტ თავხელიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

ზურამ თევზაძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;

ზურა კვარაცხელია – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი;

გიორგი მაისურაძე – ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

ჰამლეტ მელაძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;

როინ მეტრეველი – სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

თედო ნინიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

თენგიზ ონიანი – საქართველოს პარლამენტის წევრი;

დავით ონოფრიშვილი – საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე;

ვლადიმერ პაპავა – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი;

ვახტანგ როდონაია – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე;

ზაზა შენგელია – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

მიხეილ ჩაჩხუნაშვილი – ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ – დირექტორი;

ელიზბარ ცისკარიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე;

თამაზ წივწივაძე – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;

რამაზ ხეცურიანი – სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს მდივანი;

რამაზ ხუროძე – სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარინა ჯანელიძე – ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ჯანო ჯანელიძე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი;

ავთანდილ ჯორბენაძე – საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

რწმენა

მართლაც, ერიჰაა!..

ღიდებული ენა, გამონათქვამები გვაქვს ქართველებს! მაგალითად, „მე მოგაფურთხებ და, შენ იწმინდეო“, ან კიდევ ასეთი: „ტაშტი გატყდა; არ გატეხილაო; ხმა რომ გავარდაო?“..

იყო დრო, და გვახსოვს ყველას: ქვეყნის პირველ გაზეთში კაცში „ეჭვს“ შეიტანდნენ და მორჩა, დასახვრეტად, ან საგიჟეთში წასაყვანად მზად იყო! და ამას გამოცდილი, „სტაჟიანი“ ჟურნალისტების ხელით აკეთებდნენ.

ახლა სხვა დროა, მაგრამ კაცის მოკვლა, ან საგიჟეთში გასტუმრება მაინც ხდება სიტყვით: სიტყვა არისო ღმერთი! ანტი-სიტყვა კი არის ანტი-ღმერთი; ანუ არის მხეცისა და სატანისა და, ეს კლავს სწორედაც ადამიანს; ეს იცის ყველა „სტაჟიანმა“ ჟურნალისტმაც...

მთავარი კი გახლავთ, რომ მარტო ადამიანს როდი ვკლავთ ამ დროს, – ერს, მკითხველს ვუმახინჯებთ ცნობიერებას და მას ვწირავთ მოსაკლავად! და სწორედ ეს რომ ავიცილოთ თავიდან, ჩვენი საპასუხო წერილიც ამ მიზანს ემსახურება.

საქმე იმაში გახლავთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისს, ამავე გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, № 158 (2858) გამოქვეყნდა ქ-ნ მზია გელენავას წერილი შეძახილით: **„ერიჰაა“**, რომელიც 20 ივნისს ჩვენგან ჩატარებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვთაებრივი მოძრაობის „ახალი სიტყვა“ **ფორუმს**, და ფორუმზე წამოჭრილ ერთ კერძო საკითხს – „ხელმოწერებს“ მიეძღვნა.

გამოქვეყნებული წერილის მიხედვით გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი გელენავა ფორუმს არ დასწრებია, თუმცა იგი იქ ბრძანდებოდა. იქნებ ვერაფერი გაიგო? – შეიძლება. მაგრამ „სტაჟიანი“ ჟურნალისტისგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ვერ გაიგო თუნდაც, „ხელმოწერები“ რომ **კაცისთვის,** „კეისრისთვის“ არისო საჭირო (და ამაზე იყო ფორუმზე საუბარი), და არა ღმერთისთვის, როგორც მან მკითხველს შესთავაზა წერილის სათაურითვე: „ახალი სიტყვა, ანუ ხელმოწერები ღმერთისთვის“.

და რადგან ამ „განწყობით“ დაიწყო, ასევე თავდაყირა დააყენა მან ღმერთის **ახალი სიტყვის** არსიც (რის ასახსნელადაც გაზეთის „მეტი სინათლე!“ 33 ნომერია მიძღვნილი!), **რესპუბლიკური ფორუმის** მიერ ღვთაებრივი **მოძრაობის** შექმნისა და ჩამოყალიბების მიზანიც, ხოლო მომწყობნი და სიტყვებში გამომსვლელები შეძახილით: „ერიჰაა“, სულ მცირე – გონებაშეზღუდულებად გამოგვაცხადა.

სანაცვლოდ, ქალბატონ გელენავას საკუთარი თავი ბრძენგახსნილად რომ წარმოეჩინა და, ნათქვამი „გაემყარებინა“, „ბრჭყალებში“ ჩასმული წინადადება შესთავაზა მკითხველს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ვითომც **ახალი სიტყვიდან**, მაგრამ „შეეშალა“ და იგი ამ გაზეთში დაბეჭდილი კერძო პირის (ლ.გ-ს) წერილიდან ამოიღო, თანაც, „სტაჟიანი“ ჟურნალისტური მეთოდით წინადადება დაჩეხა, ისე შეაკოწიწა და „აზრი“ მისცა!..

ჩვენ არ გვაქვს რწმენა, რომ ჩვენი წერილით ქალბატონ გელენავას „რაღაც“ შეაწუხებს და ღმერთის წინაშე მაინც მოინანიებს. მაგრამ იმის იმედს ვიტოვებთ, რომ მკითხველები არ შევცდებით და ახლა მაინც გავასწორებთ მცდარ წარმოდგენას **ახალ სიტყვაზეც** და მისი სახელით შექმნილ ღვთაებრივ **მოძრაობაზე**, რაც ქალბატონმა შეგვიქმნა თავისი წერილით. **ღვთაებრივი მოძრაობა** საქართველოს და ქართველი ერის გადასარჩენად შეიქმნა და, ვისაც ამ **მოვლენის** ჭეშმარიტების არსში გვსურს ჩაწვდომა, რომ არ შევცდეთ, და არ შეგვაცდინონ კვლავ, და რომ მართლაც შევძლოთ გადარჩენა, ყველას ვურჩევთ წავიკითხოთ გაზეთი „მეტი სინათლე!“, ან სულაც მოგვაკითხოთ **ღვთაებრივ მოძრაობას**.

იმედს ვიტოვებთ, ვიდრე ასეთი შეძახილებით წარვუდგებით მკითხველს, **ერს**, თავად გავერკვევით მოვლენაში და, არ დავწერთ მასზე, რაც არ გვესმის.

რაც არ ვიცით და არ გვწამს, არ ნიშნავს, რომ არ არსებობს!

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობა „ახალი სიტყვა“, მოძრაობის პრეს-სამსახურის განყოფილება.

1:. 07. 1998 წ.
22. 06. 2004 წ.

(სტილი დაცულია).

ცრუწინასწარმეტყველნი

მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში სრულიად მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ სამყაროს აღსასრულისას ქრისტეს მოსვლა იქნება მთელი სამყაროსათვის ხილული და დიდებით მოსული მაცხოვარი დასანახი იქნება ყველასთვის, ამიტომ იმის მტკიცება, რომ ქრისტე უკვე მოვიდა სულით, უხილავად, უჩუმრად, სრული გაუგებრობაა. ეს ის შემთხვევაა, რომლის საწინააღმდეგოდ თვით სახარება გვაფრთხილებს: „მაშინ, უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა თუ იქი, ნუ გწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტეს მტყუარნი და ცრუწინასწარმეტყუელნი...“ (მთ. 24, 23-24).

კიდევ ერთი თემა გაზეთისა გახლავთ შეხედულება „პეტრე-ეკლესიის დაბერების“ თაობაზე. ეკლესია მარადიულია, ის ადამიანი არ არის, რომ დაბერდეს და „ასაკის“ გამო თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი სავსეა ალოგიკური აზრებით. მაგალითად: „სმენა გვეუბნება, რომ საქმე გვაქვს სმ-ენასთან; სან-ის, მან-ის ენა არისო სმენა... „ხედვა“ ეს არის: ხე-დვა; ანუ „ხე“-დვ არს, არისო არსის არისო...“ მსგავსი ეტიმოლოგიური წიაღსვლები ამ გაზეთში მრავლადაა. სექტანტებში გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, რომ მეორედ მოსვლისას ზუსტად 144 000 კაცი გადარჩება, რედკოლეგია მართლმადიდებელ ეკლესიას მიაწერს. ეკლესია არასოდეს არ იაზრებდა ამ რიცხვს პირდაპირი მნიშვნელობით და მას სიმბოლურად განიხილავდა. გაუგებარია № 26 გაზეთის დასაწყისი: „გთავაზობთ საუბარს სასძლო კაცთან აკაკი ჯორჯაძესთან“. რას ნიშნავს „სასძლო კაცი“? ან როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები, რომელთაც გაზეთის ავტორები მეორედ მოსვლას უკავშირებენ: „ყოველივე წყდება აქ... კავკასიონზე, კავკასიონით!“ ან რა აზრი უნდა გამოვიტანოთ სიტყვებიდან; „გიორგი, დედამიწა (!) თავის სხეულზე (!) იგრძნობს ამ გაცემა-გაყიდვის ფასს“. გაზეთის გამომცემლები წერენ: „ჩვენ გვავალებს ღმერთი ამ სიტყვის ადამიანებამდე მიტანას...“ სხვა ადგილას კი გვხვდება ამგვარი სიტყვები: „ვაგრძელებთ ქალბატონ ლიას მიერ სულით (!) მიღებული ცნობების – სიტყვის „ჩაურევლად“ ბეჭდვას“. ე. ი. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ღვთისგან ეუწყებათ ჭეშმარიტება. ეკლესია ოდითგანვე განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ყოველგვარ გამოცხადებებს. ვინაიდან, გარდა ჭეშმარიტი გამოცხადებისა, არსებობს არაჭეშმარიტი, ეშმაკეული გამოცხადება. სატანას შეუძლია ნათლის ანგელოზის სახე მიიღოს და ადამიანი აცდუნოს. გაზეთ „მეტი სინათლის“ შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, საუბარი რაიმე ჭეშმარიტ გამოცხადებაზე, თუკი „გამოცხადებები“ საერთოდ აქვთ ამ გაზეთის მესვეურებს, შეუძლებელია. განა ქ-ნი ლია, რომელიც იქვე წერს: „რას ითხოვს სამყარო-ოთხყარო (!), დედამიწა, ჩემი ოჯახი, ოჯახის უთვალავი წევრი ჩემგან? ჩვენგან?“ შეიძლება კეთილი სულით შთაგონებული იყოს? ხე ნაყოფით იცნობა. როგორი ნაყოფი და რა სული მოქმედებს ამ გაზეთში, ჩანს შემდეგი სიტყვებით: „ადამიანი, რომელიც რწმენით არ შეიცვლის თავის მოსაზრებებს და ძველით განაგრძობს წირვა-ლოცვებს, ძალით „წასაყვანი“ , გამოსაყვანი იქნება იმ ეკლესიიდან!“ წირვა-ლოცვის „ძველით გაგრძელება“ ნიშნავს მართლმადიდებელ ეკლესიაში ლიტურგიაზე დასწრებას. გაზეთის მესვეურთა აზრით, ქართველებმა ეკლესიას თავი უნდა დავანებოთ და „სასძლო კაცის“, „სამყარო-ოთხყაროს“, „გიორგი-დედამიწას“ და სხვა მსგავსი იდეების ავტორებს უნდა გავყვეთ. ნუ იყოფინ!

დავასრულებთ წმ. კვიპრიანე კართაგენელისა და წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით ეკლესიის შესახებ: „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება...“; „გინდა ცხონება? – იყავი ეკლესიაში და იგი არ გაგცემს შენ. ეკლესია ზღუდეა. თუ ამ ზღუდის შიგნით იმყოფები, მგელი ვერ შეგეხება, ხოლო თუ გარეთ გახვალ, ნადირი მოგიტაცებს. ნუ განეშორები ეკლესიას, ქვეყნად მასზედ ძლიერი არაფერია. ის არის შენი იმედი, მასშია შენი ცხონება“.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი.

ხვალ რომ გვიან იყოს?

ჩემს უბანში (უბანს შეგნებულად არ ვასახელებ) ბევრ კარგ ხალხთან ერთად, მისტიკისგან გაბრუებული და გამოთაყვანებული ადამიანებიც ცხოვრობენ.

ცუდი სიტყვა წამომცდა და მერიდება, მაგრამ ასე რომ არის?

უბანში ახალი გადმოსული ვიყავი (ფართის გადიდების გამო გადმოვედით), შუაღამისას რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა.

ალილუიააა, – გაჰკიოდა ქალების გუნდი. ხმა ახლო ბინიდან ისმოდა. შიგადაშიგ მას მამაკაცების ბანი ენაცვლებოდა. მერე ისმოდა დაახლოებით ისეთი ხმაური, გრდემლზე უროს რომ ურტყამენ (ამით თურმე ღმერთს გამოიხმობენ), მერე იატაკზე ფორთხვის ხმა (გამოცხადებული ღმერთის „დანახვაზე“ თურმე თავს იატაკს ახლიან), რასაც თან ახლდა ყიჟინა, გოდება, ლოცვა... ერთი სიტყვით, ცხადი იყო, რომელიღაც რელიგიური სექტა რაღაც საზარელ რიტუალს ასრულებდა და ასე შუაღამიდან დილამდე, კვირაში რამდენჯერმე.

ვიკითხე, რა ეროვნების ხალხია-მეთქი. ყველა ერს პატივს ვცემ, მაგრამ უნდა ვაღიარო, ძალიან მინდოდა ისინი ნებისმიერი სხვა ეროვნებისა ყოფილიყვნენ, ოღონდ ქართველები არა.

სამწუხაროდ, სწორედ ქართველები აღმოჩნდნენ.

ამ ბოლო დროს რაღაც არ ისმის მათი ხმა. ამბობენ, ბინა გამოიცვალესო. მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს მე გავასახლებინე. ხმაც არ ამომიღია. რომც მომენდომებინა, აბა, რას გავხდებოდი. დარწმუნებული ვარ, თავი რომც გამომედო, მეტყოდნენ, – დემოკრატიაა, შენ ვინ გკითხავსო.

დემოკრატიაა და დამიბეჭდეთო, – ერთმა ჩემმა ნაცნობმა ამას წინათ რედაქციაში ლექსი მოიტანა, მეგობარ ქალს მივუძღვენიო. ყოველი აბზაცი შეძახილით მთავრდებოდა: ჰარე კრიშნა, ჰარე, ჰარე...

მოკლედ, საქართველო ლამის არის წალეკოს ათასი ჯურის რელიგიურმა მოძრაობამ.

სიტყვა გამიგრძელდა. ასეთი შესავალი შესაძლოა „ღვთაებრივმა მოძრაობა ახალმა სიტყვამ“ საკუთარ თავზე მიიღოს და გამინაწყენდეს, სექტანტობა დაგვებრალაო. ამიტომ სჯობს ყოველგვარი გადახვევის გარეშე უშუალოდ ამ მოძრაობაზე ვთქვა. ოღონდ სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. დავესწარი ამ „ღვთაებრივ ფორუმს“ (ჩემი სურვილით არ მისულვარ, რედაქციაში მოსაწვევი გამოგვიგზავნეს) და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რაც იქ გავიგე და მათ გაზეთში „მეტი სინათლე“ ამოვიკითხე:

თურმე მეორედ მოსვლა უკვე მომხდარა. და ეს მომხდარა ქრისტეს სიტყვის სახით. ეს სიტყვა ჩვენთან ყოფილა საქართველოში. ჩვენს შორის არის თურმე ის ადამიანი, ვისაც ეს სიტყვა მიეწოდა და მიეწოდება. ესე იგი, ქრისტე-სიტყვა თუ გვინდა აღმოვაჩინოთ, ამ ერთი ადამიანის პოვნა გვმართებსო. ხოლო თუ ვიპოვით ასეთს, რასაც მისგან მოვისმენთ, ყველაფერი უკამათოდ უნდა მივიღოთ და მისი ნათქვამის მიხედვით ვიმოქმედოთ.

იგივე მოთხოვება თურმე კაცობრიობასაც. მთელი კაცობრიობა საქართველოს მიხედვით იმოქმედებსო, როდესაც მისთვის საქართველო გ ა ხ დ ე ბ ა უფლის სიტყვის სხვა ქვეყნებისთვის მიმწოდებელი ერთი ქვეყანა, ერთი ერიო. ამას მოჰყვება თურმე იბერიის გაბრწყინება, ლაზარეს აღდგინება და ა. შ. და ა. შ.

იმ ერთი ადამიანის ძებნაში, ვისაც ქრისტეს სიტყვა მიეწოდა, ბუნებრივია ღვთაებრივ მოძრაობას ესაჭიროება თანამოაზრეები და მხარდამჭერები, ამიტომაც მათგან მოითხოვს ხელმოწერებს.

„ჩვენგან წარმოთქმული ყოველი სიტყვა სულიერ ენერგიებს წარმოქმნის და ვიფიქროთ რას მოგვცემს, რას მოგვიტანს ღმერთის სიტყვის წინააღმდეგ გალაშქრება“, – ასე წერენ თავიანთ გაზეთში.

ესე იგი, მათი თქმით ყველაფერში ღმერთის ჩაგონებით, მისი სულიერი ენერგიის წყალობით მოქმედებენ. ჰოდა, ამიტომაც აღვნიშნე, ხელმოწერები თურმე ღმერთსაც სჭირდება, რომ დააზუსტოს, ვინ ვინ არის, ვინ ირწმუნა მეორედ მოსვლა და ვინ არა-მეთქი.

რას მედავებიან? მათი ნებისმიერი მოქმედება ღმერთთან არ არის შეთანხმებული? მე რომ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა!

თუმცა, აქვე უნდა ვაღიარო: ასეთ კონტექსტში ღმერთი არ უნდა მეხსენებინა. ამით დავარღვიე ათი მცნებიდან მესამე მცნება, სადაც წერია: „არ ამოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა“.

ესე იგი, ამაოებაზე და არარაობაზე ღმერთის სახელი არ ახსენოო.

ამ ცოდვას უფლის წინაშე გულწრფელად ვინანიებ.

მაპატიოს უფალმა ასეთი შეხუმრება.

რაც შეეხება შემდგომ ბრალდებას, თითქოს ციტატა გაზეთში დაბეჭდილი კერძო პირის წერილიდან ამოვიღე, თანაც დავჩეხე, შევაკოწიწე და სხვა აზრი მივეცი, საქმე ის გახლავთ, რომ გაზეთის ოთხი ნომერი, რომელიც მათ გადმომცეს და მირჩიეს წამეკითხა, რათა უკეთესად ჩავწვდომოდი მათი მოძრაობის არსს, იწყება ასეთი წინადადებით: „ვაგრძელებთ საუბარს სასძლო კაცთან, ქართველ მწერალ აკაკი ჯორჯაძესთან“. საუბარს კი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი უძღვება.

არც არაფერი დამიჩეხავს და შემიკოწიწებია. რომც მდომებოდა, შეკოწიწებისთვის არანაირი გაჭირვება არ იყო. უბრალოდ, პატარა ციტატა მოვიტანე. ვრცელი ციტატა გნებავთ? კი, ბატონო.

ნაწყვეტი გაზეთიდან „მეტი სინათლე“:

„დროს თუ სწორად მივყვებით, ახლა, როცა ჩვენ ამ მასალას ვბეჭდავთ, სწორედ ჩინების „მოქმედების“, ამოქმედების დროა (წარმოჩინებულთა, ჩინოსანთა სულიერ-სხეულებრივი რყევის, შეტორტმანების დროა), რაც ფიზიკურში ნიშნების სახით უნდა გამჟღავნდეს, და მჟღავნდება კიდეც.

არც ის არის შემთხვევითი, რომ გაზეთი, რომელშიც ეს მასალა იბეჭდება, არის № 28!..

ესე იგი, ჩინოსან ერისგან სულში გონით საწყისთან „ფესვებში“ მიბრუნება-ჩაღრმავების დროა, ამ დროის დასაწყისია, რასაც დღეს ჩვენთან მყოფი ყველა ჭეშმარიტი ჩინოსანი უნდა ჩაერთოს.

„ჩ“ – ჩინ ასო – ნიშნითვე იწყება ოთხ მწკრივად დალაგებული ანბანის მეოთხე მწკრივი, რაც მთლიანობაში 3+1-ით უკავშირდება მეოთხე ჰიპოსტასს – მძლეველს! ანუ სულში მიმდინარე ქმნადობის შესაბამისად, სასძლო ერმა უნდა დაიწყოს სასძლოობიდან მძლეველობაში გადასვლა, რასაც დასაბამი უნდა მისცენ ერის ჩინებმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დადგა დრო ერისგან საკუთარი თავის შეცნობისა, საწყისთან, ფესვებთან მობრუნებისა, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს ჩვენგან მეორედ მოსვლის რწმენით მიღებას და აღიარებას...

„28“ გვეუბნება იმასაც, რომ სწორედ ამ რიცხვთა ჯამი გვაძლევს ათს (28-2-8-10) ეს კი ანბანურად არის: „0“-ინ, რაც ციფრობრივად ეთანხმება ასო-ნიშნებს: „ა“-ან, „რ“-რაე და თავისთავად – „ჩ“ -ჩინ... ანუ, დროით სულში ქმნადობაში შემოდიან და ერთმანეთთან კავშირდება ასო-ნიშნები: „ა, ი, რ და ჩ“, და მათგან შემდგომი წყვილები; „აი-ია“, „არ-რა“, „აჩ-ჩა“, „ირ-რი“, „იჩ-ჩი“ და „რჩ-ჩრ“. ახლით ეს არის „ა, ვ, რ და ჩ“, შესაბამისი წყვილები, რომლებშიც „ი“ იცვლება „ვ“-ვინით. მთლიანობაში კი ვღებულობთ ფორმას. „აირჩ“ (თითქოს: აირჩიეო!) და „ჩრია“ (თითქოს: ჩ-ჩინი რიარიას ატეხსო!); და აგრეთვე ახლით: „ავრჩ“ და ჩვრა“, რომლებსაც სხვადასხვა გააზრებასთან მივყავართ.

ჩვენთვის მთავარია, რომ ახლით გვეძლევა: „ჩ-რვა“! და ეს დადებითი სულიერი ენერგიების წარმომქმნელია. სხვა გააზრებით, ჩინები სასარგებლო შედეგს მოიტანენ, მათ თუ ყურადღება მიაქციეს: „-ჰერ“-ჰაეს ცნობიერების მქონე ქართველ ერს, „პ-პან“-პანებს („პეტრე-პავლეს“) რომელსაც გაუხსნიან „ყ-ყარს“ და მიიღებენ „ყანას“, რასაც შესძენენ „ჯ-ჯანს“! ანუ მათი ჩინების ჯერია ერს ყანის „მომკით“ პანები წაიყვანონ იქ, სადაც მათ არ ნებავთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ პანები (დანარჩენი 8-ის მნიშვნელობის ასო-ნიშნებით, და სულში მოქმედებით!) დაღუპავენ ჩინებს, რასაც შემდგომ ერის დაღუპვა მოჰყვება!

ეს კი გამგებმა გაიგოს...“

გამგებმა გაიგოსო.

გაიგეთ რამე? იქნებ რაიმე ენათმეცნიერულ გამოკვლევასთან გვაქვს საქმე?

სასულიერო აკადემიის ერთ-ერთ კომპეტენტურ პირს ვთხოვე ამ „ღვთაებრივი მოძრაობის“ შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა.

ჯერ დამეთანხმა, მერე კი, „მოძრაობის“ პერიოდიკას რომ გაეცნო, ასე მიპასუხა:

წარმოიდგინეთ, ადამიანების ჯგუფი შეიკრიბოს და ამტკიცოს, ადამიანს გული ფეხის თითებს შორის აქვსო, ასეთ ხალხს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია პასუხის ღირსად ჩათვლიდა?

კი, ბატონო, ნუ ჩავთვლით პასუხის ღირსად, მაგრამ იმასაც რა ვუყოთ, რომ ლამის არის წაგვლეკოს და გადაგვაგვაროს ათასნაირმა ამ „რელიგიურ-ფილოსოფიურმა“ მოძრაობებმა?

არაფერია და გავჩუმდეთ? ხვალ რომ გვიან იყოს?

მზია გელენავა.

რყევა-ტორტმანიღა გვკლებია...

წავიკითხე „მოძრაობის“ პასუხი, საპატრიარქოს პრესცენტრის გამოხმაურება, ჩვენი გაზეთის მიმომხილველის განმარტება და ვითარებაში მეტი სინათლის შესატანად მოხმობილმა „მეტი სინათლის“ ვრცელმა ციტატამ, სიმართლე გითხრათ, გულის სიღრმეში თანაგრძნობით განმაწყო სასულიერო აკადემიის იმ კომპეტენტური პირის მიმართ, რომელმაც თავაზიანად თქვა უარი, დაემტკიცებინა, რომ „ადამიანს გული ფეხის თითებს შორის აქვს“.

კარგით, ეძებეთ, ბატონო, ის ერთი ადამიანი, ვისაც ქრისტეს სიტყვა მიეწოდა, ეძებეთ ელიოზივით, ნატვრისთვალის ძებნაში რომ დალია ტანჯული სული, მაგრამ ორიოდ შეკითხვა მაქვს და, ვინძლო დამდოთ პატივი და საგაზეთოდ კი არა, ისე, მეგობრულად განმიმარტოთ: ათასნაირი სექტებით გაბრუებულ, სულელური სერიალებით ზომბირებულ ხალხს კიდევ გამოთაყვანება უნდა? ერისგან საკუთარი თავის შეცნობაც კარგია და საწყისთან, ფესვებთან მობრუნებაც, მაგრამ ჩვენ კიდევ „ჩ-ჩინის რიარია“ გვინდა? ანდა, ნეტავ, რას ნიშნავს „პანების“ მიერ „ჩინების“ დაღუპვა? აკი „წარმოჩინებულთა, ჩინოსანთა სულიერ-სხეულებრივი რყევის, შეტორტმანების დროა“? თუ არ შეირყნენ და შეტორტმანდნენ, „პანები“ დაღუპავენ?! – აი, თურმე, რას!

ავშენებულვართ და ეგ არის – კორუმპირებული ჩინები ნამდვილად დაიღუპებიან, მაგრამ მათაც რომ მოასწრონ შერყევა და შეტორტმანება და გადარჩნენ? მაშინ რაღა ეშველება იმ რამდენიმე შეურყეველ და შეუტორტმანებელ, შეურყვნელ, საკუთარ სინდისთან მართალ ჩინოსანს, დასაღუპავად სწირავთ?

შეიძლება მეც ვერ გავიგე ახალი სიტყვისა, მაგრამ ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა:

ჩვენ თუ კიდევ რყევა და ტორტმანი გვაკლია, ავშენებულვართ და ეგ არის, მაგრამ შეიძლება ამ აბდაუბდით ზოგიერთის შერყეულის გონების უფრო მეტად შეტორტმანება?

ღმერთმანი, ან მე ვერ ვხედავ მეტ სინათლეს, ანდა ამ სინათლეს ახლავს ბნელი.

მორიგე რედაქტორი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია **იაკობ ფუტკარაძის** (თავმჯდომარე), **ოთარ ბენიძის, ნიკოლოზ შაშკინისა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** (მომხსენებელი მოსამართლე) შემადგენლობით (სხდომის მდივანი დარეჯან ჩალაგავა) 1998 წლის 23 ივნისიდან ღია სხდომაზე არსებითად განიხილავდა საქმეს – **„მოქალაქეები ირაკლი ტუღუში, ლონდა სიხარულიძე, ზურაბ დიდიშვილი, ვალერიან რევიშვილი, სიმონ ხოშტარია, დავით ჯანგულაშვილი და რუსუდან ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ"**. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე საჯაროდ გამოაცხადა თავის სხდომაზე 1998 წლის 15 ივლისს.

საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ მოსარჩელეები – საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები და მათი წარმომადგენელი კობა დავითაშვილი, მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი საკონსტიტუციო სასამართლოში ბელა სირბილაძე, მოწმეები – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმეთა მმართველობის უფროსი, იუსტიციის პოლკოვნიკი რუბენ ყარმაზანაშვილი, აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ვახტანგ ტაბატაძე და ოფიცერთა ცენტრალური სახლის უფროსი მაიორი გოჩა ყარმაზანაშვილი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს იურისტი ნატო კოპალიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქკურორტმშენის" დირექტორი გურამ სვანიძე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსი გიორგი ნიშნიანიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზაზა ჯაფარიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე პოლკოვნიკი ზურაბ ლორია, საქართველოს ყოფილი პროფსაბჭოს ხელმძღვანელი ლუდვიგ ხარბედია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი თენგიზ სიგუა, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ პოლიციაში მოხელეთა კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ლევან ქუთათელაძე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, საქართველოს ყოფილი პროფსაბჭოსა და დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე პეტრე ჩხეიძე, სააქციო საზოგადოება „ტრესტ 13"-ის თავმჯდომარე თენგიზ სანიკიძე.

დავის საგანს წარმოადგენდა (1) „საქართველოს ყოფილი პროფკავშირების კულტურის სასახლის შენობის" საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოსათვის გადაცემის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128-გ განკარგულების, (2) „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილების, (3) „ჩოხატაურის რაიონის საკურორტო მეურნეობის ფუნქციონირებასა და მინერალური წყლების გამოყენების საქმეში ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 სექტემბრის №682 დადგენილების მე-4 პუნქტისა და (4) „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განთავსებისათვის შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოპასუხედ მოქალაქეების – ი. ტუღუშის, ლ. სიხარულიძის, ზ. დიდიშვილის, ვ. რევიშვილის, ს. ხოშტარიას, დ. ჯანგულაშვილისა და რ. ბოკუჩავას სასარჩელო დავაში მიჩნეულია საქართველოს პრეზიდენტი. სადავო აქტები მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის მიერ, რომელთა უფლებამონაცვლე დღესდღეობით საქართველოს პრეზიდენტია.

სასამართლო საქმე თავდაპირველად ოთხი დამოუკიდებელი კონსტიტუციური სარჩელის სახით იყო წარმოდგენილი: 1) ი. ტუღუში, ლ. სიხარულიძე, ზ. დიდიშვილი, ვ. რევიშვილი და ს. ხოშტარია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ (სარჩელის რეგისტრაციის №58); 2) ი. ტუღუში, ლ. სიხარულიძე და ზ. დიდიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ (№ 60); 3) ვ. რევიშვილი და დ. ჯანგულაშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ (№ 62);

4) ლ. სიხარულიძე და რ. ბოკუჩავა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ (№67). ოთხივე კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას ერთობლივად გადმოეცა. სასამართლო კოლეგიამ ისინი ერთ საქმედ გააერთიანა იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეები სასამართლოს მიმართავენ როგორც პროფესიული კავშირის წევრები, ყველა სარჩელში მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტია და დავის საგანი ოთხივეგან ანალოგიურია. ამასთან, იმის გამო, რომ ყოველ სარჩელში სხვადასხვა სადავო აქტებია წარმოდგენილი, სასამართლო კოლეგიამ თითოეული მათგანის შესახებ ცალ-ცალკე იმსჯელა.

მოსარჩელეებს მიაჩნიათ, რომ სადავო აქტებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მოქალაქეების – ი. ტუღუშის, ლ. სიხარულიძის, ზ. დიდიშვილის, ვ. რევიშვილისა და ს. ხოშტარიას კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თ. სიგუას 1992 წლის 11 მარტის №128გ განკარგულებით საქართველოს პროფკავშირების კუთვნილი კულტურის სასახლის შენობა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პრ. №43-ში, მისი კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე და გვერდის ავლით გადაეცა ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს.

მოქალაქეების – ი. ტუღუშის, ლ. სიხარულიძისა და ზ. დიდიშვილის კონსტიტუციური სარჩელის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 18 ივნისის №497 დადგენილებით ყოფილი ფირმა „ლილე", იმ დროისათვის პროფკავშირების კუთვნილი გაერთიანება „საქკურორტმშენი" შეყვანილი იქნა საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს სისტემაში. მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 25 მარტის №356 დადგენილებით აღნიშნული გაერთიანება დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს – საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციას, ხოლო მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 ივნისის №497 დადგენილება ჩაითვალა ძალადაკარგულად. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილებით გაერთიანება „საქკურორტმშენი" კანონმდებლობის უხეში დარღვევით კვლავ გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს და გაუქმდა მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №356 დადგენილება.

მოქალაქეების – ლ. სიხარულიძისა და რ. ბოკუჩავას კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 სექტემბრის №682 დადგენილების მე-4 პუნქტით საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების კურორტ ნაბეღლავის უძრავ-მოძრავი ქონება, ექსპერიმენტის პერიოდში, როგორც გამონაკლისი, უკანონოდ დაექვემდებარა ჩოხატაურის რაიონის გამგეობასთან არსებული მინერალური წყლებისა და საკურორტო რესურსების საწარმოო გაერთიანებას.

მოქალაქეების – ვ. რევიშვილისა და დ. ჯანგულაშვილის კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულებით თბილისის ზღვაზე პროფკავშირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ტერიტორია და შენობა-ნაგებობანი კანონიერი მფლობელის ნებართვის გარეშე ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და იქ განთავსებული იქნა კადეტთა კორპუსი. თავდაცვის სამინისტროს შენაერთები უკანონოდ ფლობენ პროფკავშირების ქონებას. წლების განმავლობაში პროფკავშირების მიერ შექმნილი ქონება გაიძარცვა. დღეისათვის აღნიშნული ტერიტორიიდან გაყვანილია კადეტთა კორპუსი და იქ განლაგებულია სპორტული ბატალიონი, ასევე, ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის პოლიციის ქვედანაყოფი; ცხოვრობენ ლტოლვილები.

მოქალაქეების – ირაკლი ტუღუშის, ლონდა სიხარულიძის, ზურაბ დიდიშვილის, ვალერიან რევიშვილის, სიმონ ხოშტარიას, დავით ჯანგულაშვილისა და რუსუდან ბოკუჩავას სარჩელებში აღნიშნულია, რომ პროფკავშირის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრების ხელშეუხებლობა ყოველ დროს იყო და არის დაცული როგორც კონსტიტუციურად, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მოსარჩელეებმა განმარტეს, რომ ისინი არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციის – პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრები, ფიზიკური პირები. ისინი, როგორც მოქალაქეები და იმავდროულად პროფესიული კავშირების წევრები, სხვა უამრავ წევრებთან ერთად წარმოადგენენ პროფესიული კავშირების ქონების თანამფლობელებს, თანამოსარგებლეებს. რადგანაც ეს ქონება არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება, მისი განკარგვის უფლება აქვთ მხოლოდ პროფკავშირების წევრებს. ქონების განკარგვა მოხდა მათი ნებართვის გარეშე. მოსარჩელეები თვლიან, რომ ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შედეგად დაირღვა მათი საკუთრების უფლება და მოითხოვენ სადავო აქტების გაუქმებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან წინააღმდეგობის გამო.

მოსარჩელეთა წარმომადგენელმა კობა დავითაშვილმა აღნიშნა, რომ სადავო აქტები გამოიცა საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდე და არ მომხდარა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მათი მოყვანა 1997 წლის 25 ნოემბრამდე, მაგრამ ეს აქტები მოქმედია და ეწინააღმდეგება საკუთრების უფლებას. კონსტიტუცია უშვებს საკუთრების შეზღუდვას, მაგრამ კანონის საფუძველზე და სათანადო ანაზღაურებით, ანუ კონსტიტუცია უარს ამბობს ნაციონალიზაციაზე. სადავო აქტები ეწინააღმდეგება ასევე 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, რომელიც აღიარებს საერთაშორისო აქტების პრიმატს საქართველოს ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივ აქტებთან მიმართებით. ასეთია 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-17 მუხლი, რომელშიც საუბარია ადამიანის უფლებაზე – ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად. პროფკავშირის ქონება იქმნება წევრთა შენატანების ხარჯზე, მისი წევრები თანამესაკუთრენი არიან და პროფკავშირის ყრილობაზე არჩეული წარმომადგენლის საშუალებით ახორციელებენ საკუთრების უფლებას. ქონების ჩამორთმევა უკანონოდ მოხდა და არა აქვს მნიშვნელობა – წარმოადგენს თუ არა დღევანდელი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება საქართველოს პროფსაბჭოს სამართალმემკვიდრეს. მოსარჩელეები არიან პროფკავშირის წევრები და შელახულია სწორედ წევრთა საკუთრების უფლება, კერძოდ, სარგებლობისა და განკარგვის უფლება (მფლობელობა კი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით ფაქტის საკითხად იქცა).

მოსარჩელეთა წარმომადგენლის აზრით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128-გ განკარგულება თავისი შინაარსის გათვალისწინებით ნორმატიულად უნდა მივიჩნიოთ. საკუთრების უფლება დროში უწყვეტია, ესაა უფლება ყველას მიმართ და აქედან გამომდინარეობს ყველას მოვალეობა – დაიცვას სხვისი საკუთრება.

მოპასუხის წარმომადგენელმა ბელა სირბილაძემ აღნიშნა – თუ მოსარჩელეები დაამტკიცებენ, რომ ეს მათი ქონებაა, მაშინ ის ცნობს სარჩელს. მისი აზრით, ეჭვს არ იწვევს, რომ სადავო ქონება პროფკავშირების საკუთრებას წარმოადგენს, მაგრამ გასარკვევია, თუ ვინ არის სამართალმემკვიდრე ამ ქონებაზე. მოსარჩელეები არ წარმოადგენენ სამართალმემკვიდრეებს ამ ქონებაზე და უფლება არა აქვთ იდაონ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128გ განკარგულება გატარებული არ არის ნორმატიული აქტების რეგისტრაციის რეესტრში და არ შეიძლება ნორმატიულად მივიჩნიოთ მხოლოდ მისი შინაარსის გამო. მოპასუხის წარმომადგენლის აზრით, სადავო აქტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს.

მოწმე თენგიზ სიგუას, რომლის ხელმოწერით გამოიცა ორი სადავო აქტი, მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ქონების ჩამორთმევა უკანონობაა. მაგრამ ის არ თვლის, რომ თავდაცვის სამინისტროსათვის კულტურის სასახლის გადაცემა დანაშაულია. 1992 წელი ძალზედ რთული პერიოდი იყო, საფუძველი ეყრებოდა ქართული არმიის ჩამოყალიბების პროცესს. მიმდინარეობდა ჯარში გაწვევა და თავდაცვის სამინისტროს გასაწვევი პუნქტებიც კი არ ჰქონდა. შეიქმნა კომისია ჯარის საჭიროებისათვის ქონების შესარჩევად. კულტურის სასახლე არ ფუნქციონირებდა სრული დატვირთვით და მივიღეთ გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ. სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" შესახებ არსებობდა პროფკავშირის ხელმძღვანელობის წერილი, რომ ისინი ვერ მოუვლიდნენ გაერთიანებას და წინადადება მისცეს მას მიემართა რესპუბლიკის მთავრობისათვის. ამის საფუძველზე, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, გაერთიანება დაექვემდებარება საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს. პროფკავშირებისათვის გაერთიანების დაბრუნების შესახებ უარის თქმა დასაბუთებული იყო იმით, რომ იმ დროს პროფკავშირი ფაქტიურად დაშლილი იყო.

მოწმე ლუდვიგ ხარბედიას აზრით, ოთხივე სადავო ქონება შექმნილია საქართველოს პროფკავშირების სახსრებით და არის საქართველოს პროფკავშირის წევრების ქონება. პროფკავშირების ქონების განკარგვის უფლება აქვს მხოლოდ პროფკავშირების ყრილობას ან, უკიდურეს შემთხვევაში, პლენუმს. გაერთიანება „საქკურორტმშენის" – ყოფილი საწარმოო გაერთიანება „ლილეს" მთავარი დამკვეთი იყო საქართველოს პროფსაბჭო.

მოწმე რუბენ ყარმაზანაშვილს მიაჩნია, რომ სადავო განკარგულება კულტურის სასახლის გადაცემის შესახებ შეესაბამება იმ დროს მოქმედ 1921 წლის კონსტიტუციას. საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველ ფორმირებებს არ გააჩნდათ ბაზები და ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სასახლის ეროვნული გვარდიისათვის გადაცემის შესახებ. ეროვნული გვარდია შემდეგ დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს. კულტურის სასახლე სჭირდება თავდაცვის სამინისტროს კულტურული ღონისძიებების მოსაწყობად. იქ მუშაობს თავდაცვის სამინისტროს ცეკვის ანსამბლი „მამული". სხვა კულტურის ცენტრი თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია. თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის კულტურის სასახლის მხოლოდ პირველი კორპუსი, მეორე და მესამე კორპუსები კი უჭირავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარს. მოწმის განმარტებით, თბილისის ზღვაზე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში განლაგებული იყო კადეტთა კორპუსი, რომელიც ამჟამად იქიდან გაყვანილია. დღეისათვის თავდაცვის სამინისტროსია რამდენიმე ოთახი, სადაც განლაგებულია სპორტისა და ტურიზმის სამმართველო, დანარჩენი დაკავებული აქვთ ლტოლვილებს და ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის პოლიციის ქვეგანყოფილებას.

მოწმე გოჩა ყარმაზანაშვილმაც მიუთითა, რომ კულტურის სასახლე სჭირდება ჯარს. ჯარი კულტურული მომსახურების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. სასახლეში ხშირად ტარდება შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები სამხედრო მოსამსახურეებისათვის.

მოწმე ვახტანგ ტაბატაძის განცხადებით, კულტურის სასახლე ეკუთვნოდა პროფკავშირს, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ჯარისკაცების აღზრდაში. საქართველოს ჯარი ახლა იქმნება და მას დახმარება ესაჭიროება. პროფკავშირს ეს შენობა არ სჭირდება, უმჯობესია დარჩეს თავდაცვის სამინისტროს. თბილისის ზღვაზე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრიდან კადეტთა კორპუსი გადაყვანილია ლესელიძის სახელობის სკოლაში.

მოწმე ზურაბ ლორიამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარი საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის სამდივნოს 1991 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით დროებითაა განთავსებული კულტურის სასახლის მე-2 და მე-3 კორპუსებში. კულტურის სასახლე არის პროფკავშირების საკუთრება და ისინი შენობაზე პრეტენზიას არ აცხადებენ.

მოწმე ნატო კოპალიანის აზრით, სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენი" საკავშირო პროფკავშირის დაქვემდებარებაში იყო და მას საქართველოს პროფსაბჭოსთან არავითარი შეხება არ ჰქონდა. ამ გაერთიანების საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლით არ დარღვეულა მოსარჩელეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, ვინაიდან დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ კონსტიტუციის მიღებამდე გამოხატა თავისი ნება და უარი განაცხადა გაერთიანებაზე. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია 1991 წლის 13 მაისის წერილში მიმართავს სამშენებლო მრავალდარგოვან ფირმა „ლილეს" (ყოფილ ტრესტ „საქკურორტმშენს"), რომ კონფედერაცია წარმოადგენს ფირმის დამკვეთს და არა სამეურნეო ხელმძღვანელს და წინადადებას აძლევს დახმარებისათვის მიმართოს მთავრობას. ამჟამად გაერთიანება „საქკურორტმშენი" არ არსებობს, მის ბაზაზე შექმნილია იმავე სახელწოდების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეყვანილი იქნა გაერთიანებაში შემავალი ობიექტები და არა მთლიანი გაერთიანება. გაერთიანების ობიექტების უმრავლესობა პრივატიზებულია.

მოწმე გურამ სვანიძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენი" იყო საკავშირო პროფკავშირის დაქვემდებარებაში და საკავშირო პროფკავშირების ფონდის საბჭოს დადგენილებით საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურ ცენტრს გადაეცა. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენ მივმართეთ საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაციის თავმჯდომარეს პეტრე ჩხეიძეს, რომ გაერთიანებისთვის სტატუსი მიენიჭებინათ, მაგრამ იმის გამო, რომ კონფედერაციას არ შეეძლო გაერთიანების შენახვა, წინადადება მოგვეცა მივემართა მთავრობისათვის. თვით იგი (მოწმე) სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" ხელმძღვანელად დაინიშნა საკავშირო პროფკავშირებთან არსებული „კურორტმშენის" ბრძანებით.

მოწმე გიორგი ნიშნიანიძის სიტყვით, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონების განსახელმწიფოებრიობა არ ხდება. არსებობდა საკავშირო და საქართველოს პროფკავშირის ქონება. საკავშირო პროფსაბჭოს ქონების თაობაზე არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ". ისინი გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად და მათი მართვა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს. „საქკურორტმშენი" არ იყო შესული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში და მისი პრივატიზება არ მომხდარა.

მოწმე პეტრე ჩხეიძის აზრით, საბჭოთა კავშირის დროს არ არსებობდა ის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამიჯვნა. პროფკავშირის ქონება ეკუთვნოდა სახელმწიფოს. გაერთიანება „საქკურორტმშენი" იმყოფებოდა საკავშირო პროფსაბჭოს დაქვემდებარებაში. მის უფროსს ამტკიცებდა საკავშირო პროფსაბჭო. „საქკურორტმშენის" ურბანიზაციისა და არქიტექტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის თაობაზე არსებობდა წინასწარი შეთანხმება.

მოწმე თენგიზ სანიკიძის განცხადებით, „საქკურორტმშენი" იმყოფებოდა ორმაგ დაქვემდებარებაში და საქართველოს პროფსაბჭოს სისტემაში შედიოდა.

მოწმე ლევან ქუთათელაძემ მიუთითა: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების შემოწმების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით შექმნილმა საუწყებათაშორისო კომისიამ, რომლის თავმჯდომარე იყო გენერალური პროკურორი, შეამოწმა მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992-1995 წლებში გამოცემული აქტების კანონიერება; სადავო აქტებიდან კომისიამ უკანონოდ ცნო სამი აქტი, მათ შორის –საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილება „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ", მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თვით პროფკავშირებმა გაუშვეს თავისი ქონება ხელიდან. რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 სადავო განკარგულებას, კომისიას მისი კანონიერების შესწავლა არ ევალებოდა.

მოწმე ზაზა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სადავო აქტებიდან სამი ნორმატიულია და შეტანილია სახელმწიფო რეესტრში. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128-გ განკარგულებას, იგი არ ყოფილა წარმოდგენილი იუსტიციის სამინისტროში და სამინისტრო ვერ იმსჯელებდა მის ნორმატიულობაზე. მოწმემ მიუთითა, რომ სამივე სადავო აქტის ნორმატიულობა სამინისტრომ განსაზღვრა მათი შინაარსის გათვალისწინებით. კერძოდ, ყველა ეს აქტი ეხება ქონებრივ ურთიერთობებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128-გ განკარგულება საჯარო სამართლის აქტია და ასევე ეხება ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა. აქედან გამომდინარე, მოწმის დასკვნით, ეს სადავო განკარგულებაც, იმ სამი სადავო აქტის მსგავსად, იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენის შემთხვევაში თავისი შინაარსის გათვალისწინებით ნორმატიულად იქნებოდა მიჩნეული.

ზ. ჯაფარიძის სიტყვით, პროფესიული კავშირების საკუთრება საკუთრების ცალკე ფორმაა და სახელმწიფოს არა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონების განკარგვის უფლება. გაერთიანება „საქკურორტმშენის" თაობაზე მიღებული სადავო აქტის – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილების შინაარსიდან გამომდინარე, არ ჩანს რომ დარღვეულია მოსარჩელეთა კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება, ამისათვის აუცილებელია მოსარჩელეებმა წარმოადგინონ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელების ავტორთა მოთხოვნებისა და მოპასუხის პოზიციის გათვალისწინებით, მოწმეთა ჩვენებების, საქმეში არსებული და საქმის განხილვის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე

დაადგინა განსახილველი საქმის გარემოებანი.

კონსტიტუციური სარჩელები შემოტანილია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე" პუნქტის, 39-ე მუხლისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

საქმის მასალების მიხედვით, სადავო აქტები ნორმატიულია, მათი გამოცემით დაირღვა მოსარჩელეთა საკუთრების უფლება და, ამდენად, ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს.

სადავო აქტები გამოცემულია 1992-1994 წლებში. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის ძალაში შესვლამდე (ე. ი. 1997 წლის 1 თებერვლამდე) მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების (მიუხედავად მათი დასახელებისა) ნორმატიული აქტებისადმი მიკუთვნების საკითხს, სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე, წყვეტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის პასუხად 1998 წლის 7 მაისს გამოგზავნილ წერილში (№02-14/235) იუსტიციის სამინისტრო იტყობინება, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილება „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ", საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 სექტემბრის №682 დადგენილება „ჩოხატაურის რაიონის საკურორტო მეურნეობის ფუნქციონირებასა და მინერალური წყლების გამოყენების საქმეში ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ" და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განთავსებისათვის შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ" შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

იუსტიციის სამინისტროს აღნიშნული წერილის მიხედვით, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128-გ განკარგულება „საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლის ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოზე გადაცემის შესახებ" ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი არ არის, ვინაიდან მინისტრთა კაბინეტის განკარგულებები არ ქვეყნდებოდა, ისინი წარმოდგენილი არ ყოფილან იუსტიციის სამინისტროში და აქედან გამომდინარე მათ შესახებ ვერ იმსჯელებდა სამინისტრო". ამ აქტის ნორმატიულობა, მისი შინაარსიდან გამომდინარე და რეესტრში შეტანილ წინა სამ აქტთან ანალოგიით, დაადასტურა სასამართლო პროცესზე მოწმედ მოწვეულმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ზაზა ჯაფარიძემ.

საქმის არსებითად განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სადავო აქტებით გადაცემული ობიექტები – კულტურის სასახლის შენობა, გაერთიანება „საქკურორტმშენი", კურორტ ნაბეღლავის უძრავ-მოძრავი ქონება და თბილისის ზღვაზე არსებული სასწავლო ცენტრის შენობა-ნაგებობები პროფესიული კავშირების საკუთრებას წარმოადგენდა. საქმის მასალების მიხედვით, ოთხივე ობიექტი პროფკავშირების ქონების სახით აღირიცხებოდა და გამოიყენებოდა; ისინი არსებული კანონმდებლობის უგულებელყოფით გადაეცა, შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, ჩოხატაურის რაიონის მინერალური წყლებისა და საკურორტო რესურსების საწარმოო გაერთიანებას (რაიონის გამგებელმა გ. ცინცაძემ თავი აარიდა სასამართლოში მოწმედ გამოცხადებას) და თავდაცვის სამინისტროს (თბილისის ზღვაზე არსებული რესპუბლიკური სასწავლო ცენტრის შენობა-ნაგებობები თავდაცვის სამინისტროს გადაეცა განსაზღვრული მიზნით – კადეტთა კორპუსის განთავსებისათვის, მაგრამ ამჟამად ობიექტი ამ დანიშნულებით არ გამოიყენება). ცალკეული ობიექტების უკანონოდ გადაცემა დაადასტურა, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტების კანონიერების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით შექმნილმა საუწყებათაშორისო კომისიამ. ამ კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს გენერალური პროკურორის ჯ. ბაბილაშვილის 1998 წლის 27 მაისის წერილში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი აღნიშნულია, რომ შემოწმების პროცესში უკანონოდ იქნა მიჩნეული მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992-1995 წლებში გამოცემული მრავალი აქტი (დადგენილება, განკარგულება), „მათ შორის პროფესიული კავშირების ქონების – სახელმწიფო სტრუქტურებისათვის გადაცემის შესახებ". 1997 წლის 4 ივლისს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1991-1995 წლებში მიღებული უკანონო აქტების გაუქმებისა და უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებში კანონიერების განუხრელად დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

„პროფესიული კავშირების შესახებ" კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიული კავშირების უფლებათა დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად". ასეთივე ნორმას შეიცავდა 1994 წლის 14 ივნისის კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ" (მუხ. 5). თვით მინისტრთა კაბინეტმაც კი მიიღო სპეციალური დადგენილება (1994 წლის 31 დეკემბერს) „საქართველოს რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საკუთრების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფის შესახებ", რომლითაც იკრძალებოდა პროფკავშირების მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მათი საკუთრების (ქონების) თვითნებური განკარგვა და დაუფლება. მაგრამ, სადავო აქტებთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია იმდროინდელი ექსტრემალური პირობები, რომლებიც მთავრობას ხშირად უბიძგებდა მუშაობა და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება.

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სოციალ-ეკონომიკური წესწყობილების შეცვლის პირობებში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის დაწყებული ახალი პროფესიული კავშირების ფორმირების პროცესი, რომლის წარმართვა და რეგულირება არსებითად შიდაპროფკავშირული (თვით პროფკავშირების) საქმეა. საკონსტიტუციო სასამართლო კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, რომლის მუშაკებიც მოსარჩელეები არიან, რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და მონაწილეობს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობაში. კერძოდ, 1995 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის დაიდო გენერალური შეთანხმება (სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს მხარეთა შრომით და სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობებს); საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით დამტკიცდა: 1997 წლის 16 ივლისს – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ წარდგენილი ბავშვთა და მოზარდა გაჯანსაღების პროგრამა (1997-2000 წ. წ.), 1998 წლის 3 ივნისს – საქართველოს შრომითი და სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი მუდმივმოქმედი სამმხრივი კომისია საქართველოს მთავრობის, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებისა და საქართველოს მეწარმეთა გაერთიანების პარიტეტული წარმომადგენლობით.

მოსარჩელეები საქართველოს მოქალაქეები, ფიზიკური პირებია, ისინი საბჭოეთის დროიდან საქართველოს პროფესიული კავშირების წევრები არიან და, საერთოდ, როგორც ყოფილი საკავშირო პროფსაბჭოთან მიმდებული, ისე საკუთრივ საქართველოს პროფკავშირული ქონების მიმართ მათ პროფკავშირების სხვა წევრებთან ერთად აქვთ საკუთრების უფლება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებით გამოიხატება. ქონების განკარგვის უფლებამოსილება ასეთ შემთხვევაში სათანადო ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით ხორციელდება.

„პროფესიული კავშირების შესახებ" საქართველოს 1997 წლის 2 აპრილის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ძალით, პროფესიული კავშირები, პროფესიული კავშირების გაერთიანებები (ასოციაციები) დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან. ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) საკუთარი წესდების შესაბამისად ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ მიერ შექმნილ ქონებას და ფულად სახსრებს. პროფესიული კავშირის ქონება და ფულადი სახსრები ხელშეუხებელია. არავის არა აქვს უფლება განკარგოს, ჩამოართვას ან გადასცეს მისი ქონება და ფულადი სახსრები შესაბამისი პროფესიული კავშირის წესდებით გათვალისწინებული კოლეგიალური (არჩევითი) ორგანოს თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა".

ანალოგიურ ნორმებს შეიცავდა, აგრეთვე ადრე მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-100 და „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ" კანონის მე-5 და მე-19 მუხლები.

სადავო აქტებით პროფკავშირებს წაერთვა გარკვეული ქონება და მის წევრებს შესაბამისად აღეკვეთა, გაუუქმდა საკუთრების უფლება. ამგვარად, დარღვეულია მოსარჩელეთა საკუთრების უფლება, რომელიც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით. ამ პუნქტის ძალით, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისებისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება" (საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ოღონდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით).

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე" პუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 23-ე მუხლის პირველი პუნქტით, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლითა და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით, 32-ე და 33-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს:

I. დაკმაყოფილდეს მოქალაქეების – ირაკლი ტუღუშის, ლონდა სიხარულიძის, ზურაბ დიდიშვილის, ვალერიან რევიშვილის, სიმონ ხოშტარიას, დავით ჯანგულაშვილისა და რუსუდან ბოკუჩავას კონსტიტუციური სარჩელები და ცნობილი იქნეს არაკონსტიტუციურად (1) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128გ განკარგულება „საქართველოს ყოფილი პროფკავშირების კულტურის სასახლის შენობის" საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ, (2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილება „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ", (3) „ჩოხატაურის რაიონის საკურორტო მეურნეობის ფუნქციონირებასა და მინერალური წყლების გამოყენების საქმეში ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 სექტემბრის №682 დადგენილების მე-4 პუნქტი და (4) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განთავსებისათვის შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ";

II. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტები (ნორმატიული აქტის ნაწილი) – (1) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128გ განკარგულება „საქართველოს ყოფილი პროფკავშირების კულტურის სასახლის შენობის" საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ, (2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №482 დადგენილება „სახელმწიფო გაერთიანება „საქკურორტმშენის" საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ", (3) „ჩოხატაურის რაიონის საკურორტო მეურნეობის ფუნქციონირებასა და მინერალური წყლების გამოყენების საქმეში ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 სექტემბრის №682 დადგენილების მე-4 პუნქტი და (4) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულება „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განთავსებისთვის შენობა-ნაგებობების გადაცემის შესახებ" იურიდიულად ძალადაკარგულია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან;

III. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;

IV. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

V. ეთხოვოს საქართველოს პროფესიულ კავშირებს გაითვალისწინონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესები იმ ობიექტების მიმართ, რომელთაც ეხება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 11 მარტის №128გ და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №251 განკარგულებები;

VI. ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოთ მოსარჩელეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;

VII. გადაწყვეტილება ოფიციალური ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

იაკობ ფუტკარაძე,
(თავმჯდომარე),
ოთარ ბენიძე,
(წევრი),
ნიკოლოზ შაშკინი,
(წევრი),
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი,
(მომხსენებელი მოსამართლე).

წინაპარი

ნაპოლეონ ქარქაშაძე

ალმასვლა

მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183.

ის ერთი კი, იმავე სართულზე, მათგან მესამე ოთახში, მათსავით იატაკზე გაშლილ გაზეთებზე იწვა, თავქვეშ წიგნები ამოედო, გრუზა შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, გაშჰოლი მზერა მაგიდის ნათურისთვის მიეპყრო... მან, ცხადია, არ იცოდა, თუ რაზე საუბრობდნენ მისგან მესამე ოთახში ჩაკეტილი ორი ბელადი და ცხადია არც ის, თუ როგორ „დაივიწყეს“ მისი გვარი.

იწვა „რევოლუციის რაინდი“ (ეს თიკუნი მოგვიანებით ლენინმა დაარქვა) და ალბათ სივრცეებზე, დიდ სივრცეებზე ფიქრობდა. იცოდა კი მან, რომ მისი ეპოქა, იქნებ ათასწლეულიც იწყებოდა. რომ მისი საუკუნის ზარმა უკვე ჩამოკრა?

იმ საღამოს ისტორიაში სტალინმა შემოაბიჯა, რათა მსოფლიოს შეჭიდებოდა. ვინ იცის, იქნებ გათვალა კიდეც მომავალი სიდიადის სიმაღლეები, ვინ იცის?!

რევოლუციის მეორე დღეს, სმოლნის სხდომათა დარბაზში ბოლშევიკური ცკ-ს წევრები შეკრებილან, მაგიდასთან დგანან ლენინი და ტროცკი.

— ამხანაგებო, — დაიწყო ლენინმა — ყოველივე ის, რასაც თავი შესწირეს წინა თაობებმა, ჩვენმა პარტიელმა ამხანაგებმა, აღსრულდა — დაეცა რუსეთის იმპერია, სოციალისტური რევოლუცია ისტორიული ფაქტია, იწყება ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ — მოქმედებს. მოგვიწევს თავგანწირული შრომა ახალი, უკლასო საზოგადოების აშენებისათვის, გილოცავთ ამხანაგებო...

მისი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. ლენინმა ცოტა ხნით იყუჩა, ადგილზე ტორტმანებდა, შემდეგ განაგრძელა:

— მე მოგახსენებთ ახალი რევოლუციური მთავრობის შემადგენლობას, ჩვენ შევქმენით სახალხო კომისართა საბჭოს, რომლის თავმჯდომარედ რეკომენდაცია გამიწიეს მე...

დარბაზში ისევ იგრიალა მქუხარე ტაშმა. ზარივით გაისმის ლენინის სიტყვები, რომელიც მთავრობის წევრებს ასახელებს. სტალინი კი ფანჯრის რაფაზე ხელჩამოდებული ზის, მისი მზერა დრო და დრო იმ მაგიდისაკენ გადაინაცვლებს, რომელთანაც ლენინი და ტროცკი დგანან. ამაოდ ელის იგი თავისი გვარის დასახელებას, ამაოდ...

„ორი ბელადი, პარტიის ორი ლიდერი, — ფიქრობს იგი, — შეუძლებელია. ერთი აუცილებლად მოაშთობს მეორეს. ძალაუფლება განუყოფელია“. იგი კარგად იცნობდა ლენინს და იცოდა, რომ ის დიდხანს ვერ მოითმენდა ტროცკის სწრაფვას პოპულიზმისაკენ. გუმანით ხვდებოდა, რომ დღევანდელი მათი ერთიანობიდან უკვე იწყებოდა მათი გათიშვაც, მხოლოდ დრო, დრო იყო საჭირო.

სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის დასახელება დამთავრდა, სტალინი... არავის უხსენებია.

„ეს შეუძლებელია, ნუთუ ლენინი წამოეგო ტროცკის ფანდებს?“

— გილოცავთ, ამხანაგებო, პირველი პროლეტარული სახელმწიფოს მთავრობის წევრობას — ლენინს უცებ სიტყვა პირზე შეაშრა; მან ფანჯარასთან მჯდარ სტალინს მოკრა თვალი. თითქოს ვიღაცამ ხელი კრაო, მთელი ტანით შეტორგმანდა.

— ამხანაგებო, გაბზარული ხმით გააგრძელა მან, — ჩვენ გამოგვრჩა ერთი მეტად მნიშვნელოვანი სახალხო კომისარიატი. იგი აუცილებელია ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოსთვის, როგორიც რუსეთია. შემომაქვს წინადადება ჩამოყალიბდეს ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატი და სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხანაგი სტალინი, ჩვენი კობა!

დარბაზი ტაშით შეხვდა ამ დასახელებას. კობა ფეხზე წამოდგა და დარბაზს გადახედა. ვერავინ გაიგო, მადლობისათვის წამოდგა, თუ სხვებს ეჩვენა...

„არარსებული, უფუნქციო კომისარიატი“ — დამცინავი ღიმილით გაიფიქრა ტროცკიმ და სტალინს შეხედა. „არა უშავს, ეს დასაწყისია“ — გაიფიქრა კობამ და ტროცკის თვალი გაუსწორა. ეს დამცინავი ღიმილიც დაუმახსოვრა კობამ...

მთავრობის წევრების დასახელება დამთავრდა. ლენინი ღიმილით გაეშურა სტალინისაკენ. თითქოს ბოდიშს უხდისო, ხელკავი გამოსდო მას და თავის კაბინეტისაკენ წაიყვანა. მეორე დღეს მსოფლიო გაზეთებით 15 სახალხო კომისრის სურათებს გაეცნო. სულ ზევით სამი სურათი იყო: მარცხნივ — რიკოვი, ცენტრში — მთავრობის თავმჯდომარე ლენინი, მის მარჯვნივ — ტროცკი. შემდეგ რიგში მოდიოდნენ დანარჩენები. საერთო სურათის ბოლოს, მარცხენა კუთხეში სტალინის მრგვალი სურათი იყო, ყველაზე პატარა სურათი...

სათანადო მანდატებით აღჭურვილი სახალხო კომისრები უმალვე გაეშურნენ თავიანთ უწყებებში. მათ არა მარტო კარგად მოწყობილი აპარტამენტები ელოდათ, არამედ პროფესიონალების უზარმაზარი არმიებიც. მდიდრულ კაბინეტებში, თანაშემწეებითა და მდივნებით გარშემორტყმული, თავს უხერხულადაც კი გრძნობდნენ.

ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარიატის მთელი ავლადიდება კი ერთ ოთახში იყო მოთავსებული, რომელშიც ორი მაგიდა და სამი სკამი იდგა. კომისრის გარდა, შტატში კიდევ ორი კაცი იყო — მოადგილე და მდივანი. სხვა კომისარიატებისაგან განსხვავებით, ეს ოთახი ლენინის კაბინეტის პირდაპირ მდებარეობდა, რომელმაც მხოლოდ სტალინს დართო ნება მასთან ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე, მოუხსენებლად შესულიყო.

ვერ შეეჩვია ლეგალურ ცხოვრებას კობა, ვერც იმას, დაცვა რომ დაჰყვებოდა. იგი ბადრაგს უფრო იყო შეჩვეული. დღემდე საკუთარი ლოგინიც არ ჰქონია. იატაკქვეშეთში ჩამოყალიბებულ ჩვევებს: სიფრთხილეს, გაუხდელად ძილს, დღესაც ვერ შეელია, სწორედ ამიტომ, ახლაც ხშირად ტანგაუხდელი ჩათვლემდა ხოლმე. 1917 წლის დეკემბერში უკვე 38 წლის გახდა. 17 წლისა მოწყდა ოჯახს და 21 წლის განმაელობაში ციხეებიც და ციმბირიც ბევრჯერ მოიარა. თითქმის არასდროს ფიქრობდა წარსულზე, ამისათვის არ ეცალა, იშვიათად გაახსენდებოდა დედა და ეკაიშეილი, რომლებიც არც ახსოვს ბოლოს როდის ნახა, ზოგჯერ ეკატერინე სვანიძის სახეც ამოტივტივდებოდა მეხსიერებაში. მიუხედავად იმისა, რომ ცოლთან ერთი წელიც არ უცხოვრია, მისი სიყვარული დღემდე გამოჰყვა, ამბობენ, დასაფლავებისას კუბოს თან ჩაჰყვაო... ძლიერი სიყვარული იცოდა, სხვებისაგან განსხვავებული სიყვარული.

ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა, ლენინი სთხოვდა თავისთან.

— კობა, სამხრეთის გუბერნიებში სიტუაცია გართულდა, თეთრგვარდიელებმა როსტოვი და ყუბანი ჩაიგდეს ხელში, ისინი ცარიცინისკენ მიიწევენ, ეს მომაკვდინებელი საფრთხეა, უნდა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება...

დაიწყო კობას ცხოვრება ლიანდაგებზე, იგი ხან როსტოვშია, ხან ცარიცინში, ხან სამარაში და ვინ იცის კიდევ სად. არა უშავს, ვაგონებსაც მიჩვეულია, თუმცა ამჯერად მას, როგორც რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს და სახალხო კომისარს, მდიდრული სალონი-ვაგონი აქვს, ადრე ნიკოლოზ მეორის ბიძას, დიდ მთავარს კონსტანტინეს რომ ეკუთვნოდა. ვერც ამ სიმდიდრეს შეეჩვია...

პურია საჭირო პეტროგრადისა და მოსკოვისათვის, ერთდროულად უხდება ბრძოლა თეთრგვარდიელებთან, ათასი ჯურის ბანდიტებსა და „საბოტაჟნიკებთან“. ძნელია ეს ბრძოლა, მტკიცე და ულმობელ გადაწყვეტილებებს მოითხოვს და კობაც უყოყმანოდ იღებს ამ გადაწყვეტილებებს...

„რას მიქვია რამოდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე, თუ ამით ასეულ ათასობით სიცოცხლე გადარჩება“. ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა, რკინისებური ლოგიკა, რომელიც სტალინის შემდგომი საქმიანობის დევიზად იქცა.

კობა ერთადერთია სამხედრო საბჭოს წევრებს შორის, ვინც იგნორირებას უკეთებს ტროცკის, როგორც რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს და თავის მოხსენებებს პირდაპირ ლენინს უგზავნის.

ტროცკი არ იყო ის კაცი, რომელიც ამას მოითმენდა, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ლენინი უძღვება, ტროცკი კატეგორიულად მოითხოვს სტალინის რევოლუციურ სამხედრო ტრიბუნალზე გადაცემას.

— მე პასუხს ვერ ვაგებ სტალინის მოქმედებაზე, მისი საკითხი ტრიბუნალმა უნდა შეისწავლოს, იგი იგნორირებას უკეთებს რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, — მკაცრად განაცხადა მან.

სტალინმა საბუთების კითხვას თავი დაანება და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე არა მაქვს დრო, რომ თქვენთან უაზრო შეთანხმებებზე დავხარჯო, — და ისევ საბუთების თვალიერებას შეუდგა.

სხდომაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ტროცკი საპასუხოდ მოემზადა, ამ დროს გაისმა ლენინის ლაღლაღა ხმა...

— ლევ დავითის ძევ, ხომ გაიგონეთ: სტალინს არა აქვს დრო იმისათვის, რომ თქვენთან იკამათოს. მისი საქმიანობის კურსში მე ვარ და მგონი ეს საკმარისია...

ეს მარტო სტალინის მხარდაჭერა არ იყო, ყველა მიხვდა, რომ ლენინი უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა სახელმწიფოში მეორე კაცს, ძლიერთა ბრძოლაში კი გამარჯვებულიც სუსტდება, ეს სტალინმა კარგად იცოდა...

* * *

სამხრეთის ფრონტი, ჯავშნიან მატარებელს ორი სამგზავრო ვაგონი აქვს მიბმული, აქედან ერთი სტალინისაა. ვაგონში სამი განყოფილებაა: საძინებელი, სასადილო და კაბინეტი, ბოლოში სამზარეულო და სხვა სათავსოებია. აუტანელი სიცხის მიუხედავად ვერავინ ბედავს შილიფად ჩაცმას. სტალინი სასადილო დანაყოფში, მაგიდაზე გაშლილ დოკუმენტებს ეცნობა, რაღაცას აჯამებს, მას მაღალყელიანი შავი პერანგი აცვია, რომელიც მხოლოდ ზედა ღილზეა ჩახსნილი. მაგიდის მეორე მხარეს, ახალგაზრდა 17-18 წლის შავგვრემანი გოგონა გარინდული მისჯდომია საბეჭდ მანქანას.

— მაშ ასე, ნადიუშა, დაბეჭდეთ: „მოსკოვი, კრემლი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს: დღეს გამოვაგზავნეთ სამი ეშელონი ხორბალი, რომელიც ობსტრუქციონისტებს გადამალული ჰქონდათ, დამნაშავენი დახვრეტილნი არიან. ხვალ კიდევ გამოვაგზავნით ორ ეშელონს, გთხოვთ დააჩქარებინოთ ცარიელი ვაგონების დაბრუნება. სტალინი“. გოგონამ დაბეჭდილი ტექსტი მანქანიდან ამოიღო და ხელმოსაწერად გადასცა.

— იოსებ ბესარიონის ძევ, დღეს კიდევ ვიმუშავებთ? — ხმადაბლა იკითხა მან.

— დღეს, ალბათ, არა, უკვე გვიანაა, წადი, დაისვენე, თუ დამჭირდი, დაგიძახებ.

— მე გოგონებთან გავალ, თქვენთვის ჩაისა და პურს მოვიტან...

— პურიც იშოვეს? არ მეგონა, თუ გვექნებოდა.

— დიახ, სერგეიმ მოიტანა ორი ცალი, აქედან ერთი თეთრია.

— მართალი გითხრა, მომშივდა, თუ ერთ ნაჭერ შავ პურს ჩემთვისაც გაიმეტებთ, მადლობელი ვიქნები.

— ახლავე მოგართმევთ, მგონი კვერცხიც უნდა გვქონდეს.

— აი, კვერცხი კი შენ მიირთვი. მე როგორმე გავძლებ.

— არა, არა, იოსებ ბესარიონის ძევ, თქვენ ძალიან გახდით, ასე დიდხანს ვერ გაძლებთ, — მორცხვად წარმოთქვა ახალგაზრდა ქალმა.

— გმადლობთ, ნადიუშა, მაშინ ასე მოვიქცეთ: კვერცხი შუაზე გაჭერით, რომ იტყვიან, ძმურად გავიყოთ.

კარები გაიღო, წვერგაუპარსავი კაცი შემოვიდა ქაღალდით ხელში.

— იოსებ ბესარიონის ძევ, კიდევ აღმოვაჩინეთ გადამალული ხორბალი, თაველის ქვეშ ორმო ჰქონიათ.

— ვინ არიან — მკაცრად იკითხა მან.

— აქაური გლეხებია, სულ ოთხი ოჯახი.

— პური რამდენია.

— 16 ტომარა, იქნება 50 ფუთამდე.

— კარგად აწონეთ და სავინს ჩააბარეთ.

— მამაკაცები უკვე დავხვრიტეთ, ქალებს და ბავშვებს რა ვუყოთ?

— რატომ იჩქარეთ! თუ ასე გაგრძელდა, გაისად მთესველი აღარ გვეყოლება. ჩაფიქრდა: „ნუთუ განკარგულებაა საჭირო იმისათვის, რომ ქალები და ბავშვები არ დახვრიტონ“?

— ქალები და ბავშვები გაუშვით და მსგავს შემთხვევაში, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, მე შემითანხმდით.

„ კლასობრივი მტერი... ვინ მოიფიქრა ეს სისულელე. თუმცა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის შესანიშნავი მექანიზმია — კლასობრივი მტერი“, თავისთვის კიდევ ერთხელ წარმოთქვა და საწოლ კუპეს მიაშურა.

(გაგრძელება იქნება).

„ლენინური კოჰორტა“.

ალიარება

რუსეთელ ლაურეატთა შორის

ჩრდილოეთ კავკასიაში, ბაქსანის ხეობაში მსოფლიოში სახელგანთქმული დუბნის ბირთვული კვლევის ინსტიტუტის ასევე სახელგანთქმული ნეიტრინოს ობსერვატორია მდებარეობს. ეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება აღჭურვილია იალბუზის ძირას ღრმა შტოლნებში ჩამალული უნიკალური ტელესკოპით „სეიჯით“ (ქართულად „სიბრძნეს“ ნიშნავს). კვლევას აქ ერთობლივად ეწეოდნენ რუსეთი და აშშ გორ-ჩერნომირდინის კომისიის ფარგლებში. ბევრი დოკუმენტი რუსეთის პრემიერის ხელმოწერით იყო განმტკიცებული. კვლევის საგანი კი მზის ნეიტრინოების ნაკადები გახლდათ, რაც იძლევა არა მარტო მზეზე მომხდარი თუ მიმდინარე პროცესების შეცნობასთან მიახლოების, არამედ, გამოყენებითი თვალსაზრისით, თერმობირთვული რეაქტორის ათვისების საშუალებას.

გასაკვირი ის არის, რომ რუსეთის უმაღლესი ინსტანციების ჩინოვნიკებმა ბაქსანის ობსერვატორიას უარო, ლამის აბსურდული პრეტენზიები წაუყენეს. ტელესკოპს რომ ლაპარაკი შეძლებოდა, სენტეციას მოჰყვებოდა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ სამყარო კი არა, ადამიანის სიბრიყვეც უსაზღვროა — აი, ასეთი ისტორია გამოვიდა.

საქმე ის არის, რომ „სეიჯზე“ ექსპერიმენტებისათვის აუცილებელია იშვიათი ელემენტი გალიუმი, — ვერცხლზე ძვირი, მაგრამ ოქროზე იაფი — რაღაც საშუალო მათ შორის; რუსეთელ ფიზიკოსებს სულ 60 ტონა გალიუმი ჰქონიათ, რაც სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა; და აი, მოულოდნელად გამოცხვა სპეციალური განკარგულება და გალიუმი სახელმწიფო რეზერვიდან სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცა მსოფლიო ბაზარზე საქონლის რეალიზების დავალებით. სულ 6 მილიონი დოლარის ამონაგებს მოელოდნენ. გალიუმის გამოსაზიდად მიწისქვეშა შტოლნებში ნიღბიანი გაურკვეველი ტიპები შეიჭრებოდნენ ხოლმე, ფიზიკოსები კი რკინის კართა უკან ჩაიკეტებოდნენ და იქიდან იმუქრებოდნენ — თავი დაგვანებეთ, თორემ მეცნიერების დასაცავად მთელ ბაქსანის ხეობას წამოვშლითო.

6 მილიონი დოლარი რუსეთისათვის სასაცილო, შეურაცხმყოფელი თანხაა. უგალიუმოდ ტელესკოპის დატოვება კი მის სიკვდილს მოასწავებდა, გამოკვლევები შეუძლებელი გახდებოდა. თორმეტმა ნობელის პრემიის ლაურეატმა წერილი მისწერა ჩერნომირდინს, ხმა აიმაღლა გაზეთმა „იზვესტიამაც“. შედეგად ჩინოვნიკები შეეშვნენ ლაბორატორიას...

ახლახან მეცნიერებასა და ტექნიკაში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გამოაცხადეს. შესანიშნავი ნაშრომები აღინიშნა მაღალი ჯილდოთი. დაჯილდოებულთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფიზიკოსთა სახელების შეხვედრა, რომლებიც ბაქსანის ნეიტრინოს ობსერვატორიაში მუშაობენ.

მათ რიცხვში, ვისაც ეს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, შედიან აკადემიკოსები ალექსანდრ ჩუდაკოვი, გიორგი ზაცეპინი, ვიქტორ მატვეევი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე და ექსპერიმენტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ გავრინი. ეს ერთი რიგის მსოფლიო სახელები გახლავთ. შევნიშნავთ, რომ ვიქტორ მატვეევი, ისე როგორც სხვა არაერთი რუსეთელი ფიზიკოსი, ბატონ ალეკოს მოწაფეა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი ადრე დაჯილდოებული იყო (კოლეგებთან ერთად) სსრ კავშირის სახელმწიფო და ლენინური პრემიებით.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ოდენობა 20 ათასი დოლარია. ეს დაახლოებით იმდენია, რაც საბჭოურ ხანაში იყო ლენინური პრემია — 10 ათასი რუბლი (ახალი ნომინაციით); ოღონდ საქმე მარტო ფული როდია. ლაურეატები ამ ცნობას გაოცებისა და სულიერი ამაღლების განცდით შეხვდნენ— რაც უნდა იყოს, სახელმწიფოს არ დავიწყებია მეცნიერება...

საპასუხოდ — თერმობირთვული რეაქტორები, ახალი თაობის ელექტრონიკა და ბევრი სხვა რამეც...

მოამზადა
თამაზ ეგანოიძემ.

ღვაწლი

რუსთავის პირველი მთავარი არქიტექტორი

შოთა ბალაშვილს მეორე მსოფლიო ომმა თბილისის საავიაციო ქარხანაში მოუსწრო, სადაც წინასადიპლომო პრაქტიკაზე იმყოფებოდა. არმიაში გაწვევიდან დაზღვეული იყო, მაგრამ მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში. 1946 წელს ვალმოხდილი დაბრუნდა შინ. ახალბედა არქიტექტორი პროფესიულ საქმიანობას თბილისის მთავარი არქიტექტორის სამმართველოში შეუდგა, მალე მშენებლობის დარგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწედ დანიშნეს.

ღრმა პროფესიული განსწავლულობა, დაკისრებული საქმისადმი შესაშური პასუხისმგებლობა, მიზანსწრაფულობა იმთავითვე გამოარჩევდა ბატონ შოთას პიროვნებას.

1948 წლის ივნისში ფერფლიდან ფენიქსივით აღმდგარ რუსთავს ქალაქის სტატუსი მიენიჭა, ხოლო საქართველოს მინისტრთა საბჭოს არქიტექტურული სამმართველოს 1949 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით შოთა ბალაშვილი ქალაქ რუსთავის მთავარ არქიტექტორად დაინიშნა. ამ დროიდან იწყება მისი შემოქმედებითი თანამშრომლობა სსი „საქქალაქმშენსახპროექტთან“ (ამჟამინდელი სს საქქალაქმშენპროექტი).

ახალგაზრდა სპეციალისტი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მართლაც საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის აღსრულებას. დაიწყო იმით, რომ ქალაქის მთელ ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლი დააწესა, აშენებულ ობიექტთა ექსპლოატაციაში მიღების მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიაც ჩამოაყალიბა. დაამუშავა და აამოქმედა ახალი ობიექტების სამოქმედოდ გადაცემის ოპერატიული სამუშაო პროგრამა. ამ ღონისძიებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქში ფართოდ გაშლილი სამრეწველო, საცხოვრებელი, სამოქალაქო ობიექტების მშენებლობის პირობებში შედეგიც თვალსაჩინო მოჰყვა. ამ ღონისძიებებს ბატონი შოთა ბალაშვილი რუსთავის მშენებლობაში ჩაბმული საპროექტო ორგანიზაციების „საქქალაქმშენსახპროექტის“, „საქსახპროექტის“, „საქსახწყალპროექტის“, „საქგიპრომეზის“ წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით ატარებდა.

რუსთავის განაშენიანების პირველი გენერალური გეგმა 1945 წელს შეადგინეს ცნობილმა არქიტექტორებმა მ. ნეპრინცევმა, ი. ჩხენკელმა და დ. მელიქიშვილმა. ამ გეგმის პრაქტიკული ხორცშესხმისთვის ზრუნვა სწორედ შოთა ბალაშვილს და მის კოლეგებს მოუწიათ.

ორმოცდაათიან წლებში უკვე მასობრივად მიმდინარეობდა მეტალურგთა და ქიმიკოსთა ოჯახების ჩასახლება ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში. 1956 წელს დამთავრდა არქიტექტორ მ. ნეპრინცევის პროექტით მეტალურგთა კულტურის სახლის, 1957 წელს კი, არქიტექტორ დ. მელიქიშვილის პროექტით, სტადიონის, სხვა ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

შოთა ბალაშვილი ასევე ენერგიულად და აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. როგორც საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, მრავალი წლის მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა კავშირის სარევიზიო კომისიას, სხვადასხვა სექციებს, იყო გამგეობის წევრი. ბატონ შოთას ძალისხმევითა და მზრუნველობით დაარსდა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ჩამოყალიბდა რუსთავის სახალხო უნივერსიტეტი და სხვ.

რუსთავის მთავარი არქიტექტორის დიდი ღვაწლის ნაყოფია ისიც, რომ 1958 წელს, ქალაქ მოსკოვში, არქიტექტორთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესზე რუსთავის დაგეგმარების პროექტს მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა წილად. ამ კონგრესისათვის მოსკოვში „სტროიიზდატმა“ გამოსცა მდიდრულად ილუსტრირებული ერცელი მონოგრაფია ბოსტან-ქალაქზე შედგენილი ბატონ შოთა ბალაშვილის მიერ; მისივე სცენარით გადაიღეს რუსთავის ისტორიისა და აღორძინების ამსახველი ფერადი ფილმი, რომელიც ნაჩვენები იყო კონგრესის მუშაობის დღეებში.

საქართველოს ისტორიული ქალაქის, რუსთავის აღორძინების საქმეში მის პირველ მთავარ არქიტექტორს გვერდით ედგნენ კოლეგები „საქქალაქმშენსახპროექტიდან“, სხვა საპროექტო ინსტიტუტებიდან და სამშენებლო ორგანიზაციებიდან.

კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა შემოქმედებითი კავშირი რუსთავის მთავარ არქიტექტორსა და საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“ შორის, მას შემდეგ, რაც ამ დაწესებულებას საქართველოს მთავრობის 1963 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით რესპუბლიკის ყველა ქალაქის და რაიონის პროექტირება დაეკისრა.

სწრაფად მზარდი რუსთავისთვის, 60-იანი წლების დასაწყისში, უკვე მოძველებული აღმოჩნდა არსებული გენერალური გეგმა, „საქქალაქმშენპროექტში“ 60-იანი წლების შუალ დში დაიწყო და 1968 წელს დამთ ერდა რუსთავის ახალი გენერალ რი გეგმა. პროექტმა საუკეთეს შეფასება დაიმსახურა. მისი ავტ რები არიან არქიტექტორები ლ. ს მბაძე, შ. ბალაშვილი, დ. მელიქიშ ვილი, ვ. ფაფერაშვილი, ლ. გომა და თ. წერეთელი. იმავე 1968 წელ რუსთავის მეტალურგთა კულტურ სახლში შოთა ბალაშვილის თაოსნ ბით ჩატარდა ქალაქის მშენებლობი და განვითარების ამსახველი გრ ნდიოზული გამოფენა, მიძღვნილი ქ ლაქის დაარსების 20 წლისთავის დმი. საბჭოთა კავშირის 1969 წლ მიღწევათა გამოფენაზე ქ. მოსკოვშ რუსთავზე წარდგენილმა ექსპოზიცია მოწონება, ხოლო მისმა ავტორმა — „საქქალაქმშენსახპროექტმა“ ბრი ჯაოს მედალი დაიმსახურა.

ბატონი შოთა ბალაშვილი იმის გ რდა, რომ რუსთავის გენერალურ გეგმის ერთ-ერთი შემქმნელია, ქ ლაქში აშენებული მრავალი შენო ბის ავტორიც გახლავთ.

ბატონ შოთას სხვა სამუშაოზე გ დასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტ რუსთავთან კავშირი, მისი ევზომ ნ ამაგარი ქალაქი უყურ ღლებოდ არასოდეს დ უტოვებია. საქართველო ხელოვნების ისტორი ინსტიტუტის დავალებ 1974-1977 წლებში მან რ სთავის შესახებ მოამ ლა მასალები და იგი „ ქართველოს ენციკლოპ დიას“ გადასცა. მისი ნ შრომი „რუსთავის დ გეგმარებისა და განაშ ნიანების პრინციპებ 1978 წელს გამოიცა. წ გნის გამოსვლა ბატონ შოთას 60 წლის იუბილ დაემთხვა.

შოთა ბალაშვილი არაერთგზ გამოსულა პოპულარული მოხსენ ბებითა და ლექციებით საწარმ ებში, არმიის ნაწილებში, მშენ ბლობებზე, სკოლებში, ის ყველგ პროპაგანდას უწევდა ქ. რუსთავ აღდგენის, განვითარებისა და მშ ნებლობის პრაქტიკას.

რუსთავიდან წამოსვლის შემდეგ (1968 წელი) ბატონი შოთა მიიწვ ეს „საქქალაქმშენსახპროექტში“, ს დაც თბილისის სახელმწიფო უნივ რსიტეტის ახალი კომპლექსის დ პროექტებაში მონაწილეობდა; 197 წლიდან საქართველოს სახმშენ ქალაქთა დაგეგმარება-განაშენიან ბის განყოფილების მთავარ სპეც ალისტად, შემდეგ კი „თბილზნიი პში“ ასევე მთავარ სპეციალისტ მოღვაწეობდა.

ასეთია შოთა ბალაშვილის მო ვაწეობის ამსახველი ფრაგმენტებ იგი ორი ათეული წლის განმავლ ბაში დაუღალავად იღვწოდა ქ. რ სთავის მთავარი არქიტექტორის პატიო, საპასუხისმგებლო პოსტზე თავისი მოქალაქეობრივი, პრო სიული თუ ადამიანური ხიბლით ყვ ლას პატივისცემა დაიმსახურა.

ვახტანგ დავითაი
საქართველოს არქიტექტორთ
კავშირის თავმჯდომარ

გურამ მირიანაშვილ
„საქქალაქმშენპროექტის“
მთავარი არქიტექტორ

სადისკუსიო კლუბი „პრესა“

უვიცობა თუ გამიზნული სიცრუე?

გაზეთ „რეზონანსის“ ა.წ. 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებულია „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის, თსუ ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ თანამშრომლის რამაზ გოხელაშვილის ინტერვიუ სათაურით „შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ფრინველები იხოცება“.

ინტერვიუ ეხება სანავთობო დერეფანს და მასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებს, მდგრად განვითარებას და სხვა მრავალ საკითხს. რამდენად სწორად არის გაშუქებული ეს საკითხები, ჩვენი წერილის საგანს არ წარმოადგენს. ჩვენ შევეხებით ინტერვიუს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოს ზოოლოგების საქმიანობას.

ინტერვიუ ტრადიციულად არის აგებული. იგი იწყება იმით, რომ მკითხველს აცნობენ, როდის შეიქმნა დასახელებული ცენტრი და რა მიზნებს ისახავს იგი. საკვირველია ის, რომ ამ კითხვაზე პასუხში, სხვათა შორის, თითქოს და გაკვრით, ნათქვამია ისეთი რამ, რაც მხოლოდ უვიცობად ან გამიზნულ სიცრუედ უნდა ჩაითვალოს და მიმართულია ქართული მეცნიერების დისკრედიტაციისაკენ.

ბატონი აღმასრულებელი დირექტორი სიტყვა-სიტყვით ამცნობს საზოგადოებას: „ზოოლოგიის ინსტიტუტი არსებობდა, მაგრამ ცხოველთა ინვენტარიზაცია სახეობებისა და რეგიონების მიხედვით არ ჩატარებულა. ამ მიმართებით საკვლევ სამუშაოებს კვლავ ვაწარმოებთ“. აი, სასწაული! თურმე ზოოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც 57-ე წელიწადია რაც არსებობს საქართველოში, არაფერს აკეთებდა და „ცენტრი“, რომელიც გუშინ ჩამოყალიბდა, წყვეტს ისეთ საკითხებს, რომელიც ზოოლოგთა არმიამ ვერ გადაწყვიტა („ამ მიმართებით საკვლევ სამუშაოებს კვლავ ვაწარმოებთ“ — ნეტავ რა საკვლევი სამუშაოებია ცენტრის მიერ ჩატარებული?).

მკითხველი „აღმასრულებელი დირექტორის“ დეზინფორმაციის მსხვერპლი რომ არ გახდეს, ორი სიტყვით შევეხებით ქართული ზოოლოგიური სკოლის საქმიანობას. ოღონდ მანამდე გამოვთქვამთ ჩვენს გაკვირვებას, რომ კორესპონდენტი არ დაეჭვდა ბატონ რ. გოხელაშვილის უაპელაციო განცხადებამ ქართველი ზოოლოგების უუნარობის შესახებ.

ცნობები საქართველოს ფაუნის შესახებ შეიძლება ვიპოვოთ ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ წიგნში. შემდეგ საქართველოს და მთელი კავკასიის ფაუნა შეისწავლებოდა კავკასიის მუზეუმის (შემდგომში საქართველოს მუზეუმის), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და, რა თქმა უნდა, ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ფაუნის შესწავლის საქმეში ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტ-ზოოლოგებმა. 57-ე წელიწადია არსებობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი. მის კედლებში წლების მანძილზე მუშაობდნენ ცნობილი სპეციალისტები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ საქართველოს ფაუნის ინვენტარიზაცია, ცალკეულ სახეობათა გავრცელების, ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა იყო. ამჟამად ინსტიტუტში მუშაობს მრავალი კვალიფიციური სპეციალისტი, მათ შორის მეცნიერებათა 8 დოქტორი, 40-ზე მეტი კანდიდატი.

ქართველმა ზოოლოგებმა შეისწავლეს ცხოველთა თითქმის ყველა ჯგუფი და განსაკუთრებით სრულად — ხერხემლიანი ცხოველები. წლების მანძილზე გამოიცა ინსტიტუტის შრომათა !9 ტომი, საქართველოს ცხოველთა სამყაროს 4 ტომი, 30-მდე სხვადასხვა კრებული, მრავალი მონოგრაფია, ცხოველთა ცალკეული ჯგუფების ატლასები, სარკვევები და ა.შ. ნაშრომები ქვეყნდებოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ ნაშრომებს შორის არის ისეთი გამოკვლევები, რომლებმაც სამეცნიერო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ყველა ეს ნაშრომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მისაწვდომია, რადგან დაცულია მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში.

გარდა ამისა, არის ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემა, რომლის შესახებ უნდა იცოდეს ველური ბუნების ყოველმა დამცველმა. ეს არის საქართველოს წითელი წიგნი. მის შედგენაში დიდი წვლილი შეიტანეს ზოოლოგიის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებმა. წითელი წიგნის შედგენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ საქართველოს მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო სათანადოდ არ ყოფილიყო შესწავლილი, არ ყოფილიყო ჩატარებული ინვენტარიზაცია, როგორც ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, „სახეობების და რეგიონების მიხედვით“, თითქოს არსებობს კიდევ რაღაც სხვანაირი ინვენტარიზაცია! ამჟამად მომზადებულია საჭირო მასალები წითელი წიგნის ახალი გამოცემისათვის და ინსტიტუტის თანამშრომლები მზად არიან ჩაერთონ ამ სამუშაოში.

საკვირველია, რომ ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც პრეტენზია აქვს ჩვენი ველური ბუნების დაცვაზე, უგულებელყოფს ყოველივე იმას, რაც უკვე გაკეთებულია საქართველოს ფაუნის შესწავლის დარგში. როგორ შეიძლება თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ამჟამად ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელმა, რომელიც ერთი პერიოდი ზოოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტიც იყო, არ იცოდეს ის, რა იყო გაკეთებული მანამდე, სანამ იგი არ მოევლინა ამ ქვეყანას, საქართველოს ბუნება განადგურებისაგან რომ გადაარჩინოს!?

ჩვენ ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდით ვიღაცის მიერ აკადემიური ინსტიტუტის შეურაცხყოფას (რა არ ხდება ქვეყანაზე!), მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა მარტო ქართული ზოოლოგიური მეცნიერების, არამედ მთლიანად საქართველოს დისკრედიტაციასთან. მკითხველს არწმუნებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში არაფერი კეთდებოდა ცხოველთა სამყაროს შესწავლის დარგში. ე.ი. ამ თვალსაზრისით ქვეყანა უსუსური და ჩამორჩენილია და მხოლოდ ახლა, როდესაც ჩამოყალიბდა „ცენტრი“, გაჩნდა საქართველოს ცხოველთა სამყაროს შესწავლის პერსპექტივები.

ასეთი ტენდენცია მეორე მხრივაც არის სახიფათო, რადგან მსოფლიოს ისე წარმოუდგენს საქართველოს, როგორც ეს მას არ ეკუთვნის.

თუ ბატონი აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია მხოლოდ უცოდინარობით აიხსნება, მაშინ, ეს არც ისე დიდი დანაშაულია. ამ შემთხვევაში ჩვენც, მის ყოფილ ლექტორებსაც, მიგვიძღვის ბრალი, რომ საკმარისი ინფორმაცია, საკმარისი ცოდნა ვერ მივეცით ჩვენს ყოფილ სტუდენტს.

მაგრამ თუ საქმე გვაქვს გამიზნულ სიცრუესთან? ეს ხომ სავალალო მოვლენაა! სხვადასხვა ფონდები აფინანსებენ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც პერსპექტიულ ხასიათს ატარებენ. ამას კი სჭირდება დასაბუთება. თუ აღმასრულებელი დირექტორი თვლის, რომ ქართული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, მეცნიერთა დიდი ჯგუფის დისკრედიტაციით იგი მოახერხებს გრანტის მიღებას გარკვეული სამუშაოების შესრულებისათვის — ეს ამორალური პოზიციაა. ჩვენ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს იმაზე, თუ რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია მიიღებს დაფინანსებას საქართველოს ველური ბუნების დაცვის ხაზით. პირიქით ჩვენ მივეს ლმებით ამას. მაგრამ არ შ იძლება უვარგისი მეთოდებ კარგი საქმის კეთება.

ამჟამად ბევრს ლაპარაკ ბენ პროფესიონალიზმის შეს ხებ. ეს ლაპარაკი ხშირად მხ ლოდ ლაპარაკად რჩება. ს ნამდვილეში ყოველ ნაბიჯ ვხედავთ დილეტანტიზმის ა ზევებას. იგივე ცენტრი, რომ ლსაც რ. გოხელაშვილი ხე მძღვანელობს, არ არის და მპლექტებული სპეციალისტებ აქ არიან. დამწყები ახალგ ზრდები, რომელთაც მეცნიერ ლი კვლევის არავითარი გამ ცდილება არა აქვთ. თუ ამ ახ ლგაზრდებში არ გამომუშავ პროფესიონალიზმისადმი სერ ოზული დამოკიდებულება, მ მავალში ჩვენ სპეციალისტებ გარეშე დავრჩებით.

ინტერვიუ სხვა უზუსტობას შეიცავს. როდესაც ლაპარაკ ორნითოლოგიურ ექსპედიცი ზე, რომელშიც ორი ინგლის ლი სპეციალისტი მონაწილე ბდა, არ არის ნათქვამი თუ რ ექსპედიცია იყო, ვინ ხელმძ ვანელობდა მას. ამავე დროს დ სახელებული არიან ექსპედიცი მხოლოდ ის წევრები, რომელ დასახელებაც „მოისურვა“ ბ ტონმა რ. გოხელაშვილმა. რა დასჭირდა მას ეს „ნახევარი“ ს მართლე?

ველური ბუნების შენარჩუნ ბის ცენტრს შეუძლია მრავალ სასარგებლო საქმე გააკეთო მას უკვე აქვს ერთგვარი გ მოცდილება და მისი საქმიანობ დადებით მხარეებს ჩვენ ყოვ ლთვის ვაღიარებთ, მაგრამ რ გოხელაშვილის სიტყვები „ამ მ მართებით საკვლევ სამუშაო კვლავ ვაწარმოებთ“, მოწმობ ზედმეტ პრეტენზიულობას, რ დგან, ფაქტობრივად, მათი ს მუშაო მხოლოდ დასაწყის ფ ზაშია. თუ ცენტრს რეალური წ ლილის შეტანა უნდა ველურ ბუნების შესწავლისა და დაცვ საქმეში, ის კი არ უნდა უ რისპირდებოდეს დარგის სპ ციალისტებს, არამედ ცდილ ბდეს მიიზიდოს ისინი, სერი ზულად დაეუფლოს დარგს, რო მელსაც მიიჩნევს თავისი მოღ ვაწეობის საფუძვლად.

საქართველოს მეცნიერებ
თა აკადემიის ზოოლოგი
ინსტიტუტის სამეცნიერ
საბჭოს სახელ
ირაკლი ელია
დირექტორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით ხელში

ქრონიკული უსახსრობის გამო შავი ზღვის ფლოტი ბარტერზე გადადის.

ლეკვი ლომისა სწორია, მაგრამ არა — პაპის ტახტზე

ისტორიული სენსაცია თუ მკრეხელობა? გაზეთი „სანდი ტელეგრაფი" წერს პეტერ სტენფორდის წიგნზე, რომელიც ეძღვნება კათოლიკური ეკლესიისათვის წარმოუდგენელი ვერსიის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც X საუკუნეში წმიდა ტახტი რამდენიმე წლის მანძილზე ქალის ხელთ იყო. აი, უკვე ათას წელიწადზე მეტია, ეკლესია უარყოფს ამ ვერსიას და უწოდებს მას იმ შეთქმულების შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია, შეარყიოს საუკუნოვანი ბალავარი. მაგრამ, ავტორს თავის წიგნში მოჰყავს მრავალი დამამტკიცებელი საბუთი, რომლებიც მოწმობენ, რომ პაპის ტახტზე მართლა იყო ქალი — ეროვნებით ინგლისელი ჯოანა.

ასლან მასხადოვი: „კავკასიაში კავკასიურად უნდა იცხოვრო"

ჩეჩნეთი იმედოვნებს, რომ „გარე სამყაროსთან კავშირს" საქართველოს მეშვეობით დაამყარებს. „არავის არ ვუმალავთ, რომ საქართველოს, ჩვენი ძმების მეშვეობით გვსურს, რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით, კავშირი დავამყაროთ გარე სამყაროსთან", — განაცხადა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა გროზნოში გამართულ კონფერენციაზე — „ჩეჩნეთი და რუსეთი: ურთიერთობის პრობლემის გადაჭრა" — გამოსვლისას. მისი აზრით, ეს არის ერთადერთი გზა იმისა, რომ ჩეჩნეთმა აშენოს საკუთარი სახელმწიფო.

როგორც მასხადოვმა თქვა, ჩეჩნეთის დაკავშირებას „გარე სამყაროსთან", ხელი უნდა შეუწყოს ამჟამად მშენებარე საავტომობილო გზამ, კავკასიის ქედზე ჩეჩნეთიდან საქართველოში რომ გაივლის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩეჩნეთი „ამყარებს უგულითადეს, მეგობრულ ურთიერთობას საქართველოსთან და აზერბაიჯანთან". რაც შეეხება ურთიერთობას სომხეთთან, რომელიც, როგორც ჩეჩნეთის პრეზიდენტმა განაცხადა, „ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის საყრდენი პუნქტია", სომხებმა, „უნდა შეიგნონ, რომ კავკასიაში კავკასიურად უნდა იცხოვრო".

ინფლაცია პრაქტიკულად ნულზეა გაჩერებული

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს მორიგი სტატისტიკური ცნობის თანახმად, სეზონურ შესწორებათა გათვალისწინებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი ივლისში სულ 0,1 პროცენტით გაიზარდა.

სპეციალისტებს ინფლაციის გაყინვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნიათ ენერგოშემცველების ფასების კლება, რაც უკვე ნახევარი წელიწადია, გრძელდება. მაგალითად, ბენზინის ღირებულება შეერთებულ შტატებში ივნისის მანძილზე შემცირდა 0,9 პროცენტით, ხოლო წლის პირველ ნახევარში წელიწადზე გაანგარიშებით — 21,1 პროცენტით. ინფლაციური წნეხის თავიდან აცილება განაპირობა, აგრეთვე, აზიის სავალუტო-საფინანსო კრიზისის შედეგებმა. მთელი რიგი ქვეყნების ვალუტების დევალვაციამ ჩამოაგდო იმ პროდუქტის ფასი, რომლებიც ამერიკაში იყიდება. შესაბამისად, ამერიკელი მწარმოებლები, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, იძულებული გახდნენ, შეეკავებინათ თავიანთი ფასდებები. ამის შედეგად, მაგალითად, ივნისში გაიაფდა ახალი ავტომობილები, კომპიუტერები, ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ანგელოზები მორწმუნეებს სულიერის გარდა მატერიალურ დახმარებასაც უწევენ

ისე ჩანს, ანგელოზები ჩამოვიდნენ ციდან და გადაწყვიტეს, ამერიკის ქალაქ უილინგს სწვეოდნენ. როგორც ამერიკის გაზეთი „იუ-ეს-ეი თუდეი" იუწყება, ეროვნული დროშის კოსტიუმებში გამოწყობილი ორი ნიღბოსანი შეიჭრა ერთ-ერთ ადგილობრივ ეკლესიაში და პირდაპირ წინამძღვრისაკენ გაეშურა თუნუქის ქილებით ხელში. „ჩვენ უფლისაგან მოვლენილი ანგელოზები ვართ", — განაცხადეს მათ და მყისვე გაუჩინარდნენ. იქამდე კი წინამძღვარს დაუტოვეს ქილები, რომლებიც ვერცხლის დოლარებით სავსე აღმოჩნდა. ყოველი ქილის ფსკერზე იდო საკრედიტო ბარათი წარწერით, „გაიღიმეთ, თქვენ იესოს უყვარხართ". როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ანგელოზების ერთადერთი კეთილი საქმე როდი ყოფილა. იმავე დღეს, „ციური" სტუმრები კიდევ ათამდე ადგილობრივ ეკლესიაში იყვნენ ასეთივე მისიით, წერს გაზეთი.

მეცნიერები მორიგ გამოცანაზე თავს იტეხენ

სამხრეთ ავსტრალიის შტატში, ადელაიდის ჩრდილოეთის 800 კილომეტრზე, უდაბნოში, აღმოჩენილია ადამიანის გიგანტური გამოსახულება. ეს არის „მსოფლიოში უდიდესი ხელოვნების ნაწარმოები", რომლის სიგრძე 4 კილომეტრს შეადგენს. მეცნიერთა ვარაუდით, „სურათზე" გამოსახულია ავსტრალიელი აბორიგენი, რომელსაც ხელში რაღაც შუბისმაგვარი უპყრია.

არგენტინა: ავტოსკოლაა თუ „ზრმების შკოლა"?

ფულს ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი შეუძლია. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცეს არგენტინის სამართალდამცველმა ორგანოებმა, წერს ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი". ქალაქ ელ-მატანზაში მოეწყო ოპერაცია იმ ქრთამისმოყვარული პოლიციელების გამოსავლენად, რომლებიც მძღოლის უფლებებს აფორმებდნენ. ვინმე ხულიო სეზარ პერესმა, დაახლოებით 200 ამერიკული დოლარი ქრთამის ფასად უპრობლემოდ მიიღო მძღოლის უფლებები. ნაცნობი სიტუაციაა, და, ერთი შეხედვით, საკმაოდ ბანალური, მაგრამ — სულაც არა. საქმე ის არის, რომ პერესი, რომელიც პოლიციელებმა გამოიყენეს ოპერაციაში, დაბადებიდან... უსინათლოა.

კოკო, ალბათ, ჩუმჩუმად სვამდა კიდეც

ლაიონ კინგ უოტერ პარკში, რომელიც მოქალაქეთა გართობისა და თავშექცევის უსაყვარლესი ადგილია (მექსიკის ქალაქ აკაპულკოს მახლობლად), მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს თამბაქოს მწეველი შიმპანზე. მაიმუნი, რომელსაც ესოდენ დამღუპველი ჩვევა აქვს, აგერ უკვე რამდენიმე წელიწადიაართობს პარკის დამთვალიერებლებს და ნაფაზს ნაფაზზე ურტყამს. მწეველი მაიმუნის გვერდით სურათის გადაღებაზე ამ ბოლო დრომდე რიგი იდგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შიმპანზემ გალიის 16 წლის დამლაგებელი დაკბინა, ბევრნი შიშით უვლიან გვერდს ლეგენდარული მაიმუნის ვოლიერს. სიმონ ესკობარ პოლანკო შიმპანზეს გალიაში შევიდა თავისი ყოველდღიური მოვალეობის შესასრულებლად. კოკო, სწორედ ასე ჰქვია შიმპანზეს, ყმაწვილს ეცა, წააქცია და კბენა დაუწყო. მცველებმა ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან სიმონი გამძვინვარებულ მაიმუნს. საბრალო ყმაწვილი, რომელსაც ოცზე მეტი ჭრილობა ჰქონდა, კლინიკაში გააქანეს, წერს გაზეთი.

ვინ თქვა, კოლუმბიაში ნარკომაფიამ გაიმარჯვაო

ბოგოტიდან 700 კილომეტრზე კოლუმბიის პოლიციამ კონფისკაციაჰყო ქვეყნის ისტორიის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის კოკაინი, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ქალაქ კარტახენის ნარკოტიკებთან ბრძოლის რაზმმა ნავსადგურში კოკაინის მთელი საწყობი აღმოაჩინა. ჩხრეკის დროს საწყობიდან გამოიტანეს შვიდ ტონაზე მეტი ნარკოტიკი. 100 მილიონი დოლარის ღირებულების კოკაინი შეფუთული და ჩაწყობილი იყო ლითონის კონტეინერებში, რომელსაც „მაღალხარისხოვანი ნეილონის" წარწერა ჰქონდა. პოლიციის ვარაუდით, ტვირთი შეერთებულ შტატებში უნდა გაეგზავნათ.

„ვიაგრას" მეტისმეტი ხმარება მთელ სხეულს ახევებს

ისრაელის ჯანდაცვის სამინისტრომ ნებადართულად გამოაცხადა ქვეყანაში იმპოტენციის საწინააღმდეგო წამლის „ვიაგრას" ხმარება. აქამდე ეს პრეპარატი აფთიაქებში ფარმაცევტული სამმართველოს არაოფიციალური სანქციით იყიდებოდა. ამჟამად ერთი აბის ღირებულება 62,5 შეკელი — დაახლოებით 17 დოლარია (აშშ-ში 30 ცალი ღირს 250 დოლარი, ევროპაში — 900).

სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად ისრაელში რეგისტრირებულია 300 ათასი იმპოტენტი, ანუ „ვიაგრას" პოტენციური მომხმარებელი.

გაზეთები წერენ, რომ „სასწაულებრივი წამლის" ექიმის ნებადაურთველად მიღება არ შეიძლება, რადგან იგი ვნებს გულით ავადმყოფებს, აგრეთვე... უბრალოდ ჯანმრთელ მამაკაცებსაც. „ვიაგრას" უზომო გამოყენების შედეგად მსოფლიოში „საბრძოლო პოსტზე" უკვე დაიღუპა ათობით კაცი, მათ შორის რამდენიმე — ისრაელში.

ტეხასს გრიგალმა გადაუარა



ბუნების ჭირვეულობა მოსვენებას არ აძლევს ტეხასის (აშშ) მცხოვრებთ. 40-გრადუსიანი სიცხე, რომელმაც 23 კაცის სიცოცხლე შეიწირა, შეცვალა კოკისპირულმა წვიმებმა და ძლიერმა ქარმა. გრიგალმა სახურავები ახადა სახლებს.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

მსოფლიო ახალგაზრდობის თამაშების ექო

დიდ ოლიმპიადებზე გამარჯვებების საწინდარი

როგორც ცნობილია, 11-19 ივლისს მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი თამაშები გაიმართა. საქართველოს წარმომადგენლები პროგრამით გათვალისწინებული სპორტის 15 სახეობიდან მხოლოდ თერთმეტში მონაწილეობდნენ. ამის მიუხედავად, საერთო გუნდურ ჩათვლაში 131 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზე გავიდნენ.

— მსოფლიო ახალგაზრდობის თამაშები გახლდათ გრანდიოზული ღონისძიება, რომლის მსგავსიც რუსეთის დედაქალაქს 1980 წლის ოლიმპიადის შემდეგ არ ახსოვს. — გვითხრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, — მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი რამდენიმე წელიწადი არწმუნებდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, კერძოდ, ხუან ანტონიო სამარანჩს, რომ ამ ღონისძიების გამართვა სოკ-ის პატრონაჟით მომავალი ოლიმპიური ჩემპიონების დასაფრთიანებლად აუცილებელიაო და მართალიც გამოდგა. მოსკოვმა ჩინებული მასპინძლობა გაუწია სტუმრებს. მოწესრიგებული დაგვხვდა ყველა სპორტული ბაზა. არაფერი სჯობდა განახლებული ლუჟნიკების ხილვას. სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის აშენებულ ოლიმპიურ სოფელს ხომ ნულარ იკითხავთ — ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. არადა, აქ შვიდი ათასამდე სპორტსმენი და მწვრთნელი ცხოვრობდა. მათ შორის ჩვენი სპორტული დელეგაციის წევრებიც, რომლებსაც მზრუნველობას არ აკლებდნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ჩოლარია და სამმართველოს უფროსი ამირან აბესაძე, სეოკ-ის განყოფილების გამგე თამაზ თევზაძე, ოლიმპიური რეზერვების სკოლის დირექტორი მერაბ მეტრეველი, საქმიო სამსახურის წარმომადგენლები — ირაკლი ბიბილეიშვილი და ზურაბ კახაბრიშვილი.

ჩვენმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმაც იყოჩაღეს: მათს ანგარიშზეა 17 მედალი — 2 ოქროსი, 4 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოსი. მართალია, ეს ჯილდოები მოჭიდავეებისა და ჩოგბურთელების მიერ არის მოპოვებული, მაგრამ არც სხვა სახეობების წარმომადგენლები გამოსულან ურიგოდ. თითოეულმა მათგანმა პირადი შედეგები გააუმჯობესა. ამიტომაც, მცირე ოლიმპიადის მონაწილეებთან შეხვედრისას როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ეს წარმატებები გახლავთ ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა თაობის ნიჭისა და უნარის წარმოჩენა, დიდ ოლიმპიადებზე გამარჯვებების საწინდარი. საგულისხმოა, რომ ჩვენი სპორტსმენების მოსკოვის თამაშებზე გამგზავრება ჩაგვეშლებოდა, რომ არა ქვეყნის პრეზიდენტის უშუალო დახმარება და მხარდაჭერა.

გვასახელეს არა მარტო იმ სპორტსმენებმა, რომლებიც თამაშების პროგრამით ასპარეზობდნენ, არამედ მათაც, ვინც საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობდა. ერთადერთი მკლავჭიდელი ლაშა ჩანადირი პარალელურად მსოფლიო პირველობაშიც ჩაება. მარჯვენა ხელით ოქროს მედალი დაიმსახურა მძიმე წონაში, ხოლო ცაციათი — ვერცხლი. რომ არა მსაჯების აშკარა მიკერძოება, ლაშა იქაც გაიმარჯვებდა. რაც შეეხება 11 წლის გორელ მოჭადრაკეს დავით მალალაშვილს, 12 წლის მოჭადრაკეთა პირველობაზე მანაც ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედლები ერგოთ სამბისტებს — თემურ ნეფარიძეს, ლევან ანთაძეს და მიხეილ ჩხეიძეს, ბრინჯაოსი — თამაზ ნეფარიძეს და დავით ტატიშვილს.

ახალგაზრდა სპორტსმენთა ჩინებული თაობა მოდის. მათ კი სათანადო დახმარება სჭირდებათ, თუ გვინდა დიდ ოლიმპიადებზეც ვამრავლოთ წარმატებები.

სტუმარი

მეგობრობა გრძელდება

იასუხირო იამასიტა ისევ საქართველოშია! დიახ, სწორედ ის, სწორუპოვარი ძიუდოისტი, იაპონიის ეროვნული ნაკრების თავკაცი. იგი ამჯერად მეგირდებთან ერთად გვეწვია ერთობლივი ვარჯიშების მოსაწყობად.

გუშინ ქართველ სპორტსმენთა დიდმა მეგობარმა პრესკონფერენცია გამართა და კიდევ ერთხელ გადაგვიშალა გული.

ალექსანდრე
კოტორაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

აი, ასეთი მწამს... შერიგება, ანუ ისწავლეთ დროის გაყვანის ტაქტიკა

გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზმა, შეკრებილთა სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ისტორიულ მოვლენას უმასპინძლა. ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ ქვეყნის უმაღლესი სპორტული ორგანოს კოლეგიისა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრები პარლამენტის შესაბამისი კომიტეტისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სფფ-ს მორიგი ყრილობის ვადის დასაზუსტებლად შეხმატკბილებულ დუეტად წარმოგვიდგნენ. ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ მაინც.

„დიდი შერიგების" აუცილებლობაზე საუბრობდნენ ორატორებიც — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე **კახი ასათიანი**, სფფ-ს გენერალური მდივანი **დავით კვინიკაძე**, აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **თენგიზ ბოლქვაძე**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჯანო ბაგრატიონი**, პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე **მანუჩარ მაჩაიძე**, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორი **ომარ გოგიაშვილი**, პარლამენტარები **შუქრი დევნოზაშვილი** და **ლაშა მინდელი**.

სურვილი, იცოცხლეთ, მისასალმებელია, მაგრამ გამომსვლელთა ნაწილის გულწრფელობისა რა მოგახსენოთ. აი, თუნდაც ასეთი ფაქტი: შეხვედრაზე ქართული ფეხბურთის „მამების" მიერ ყრილობის ვადად 23 ოქტომბრის დასახელებამ დამსწრე საზოგადოებრიობის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მართლაც, კიდევ სამი თვე ფედერაცია უთავკაცოდ უნდა იყოს? ოპონენტთა დელიკატური თხოვნა — იქნებ გაეთვალისწინებინათ პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარის ნოდარ ამაღლობელის შემოთავაზებული თარიღი — სექტემბრის პირველი ნახევარი და საშუალედო ვარიანტზე შეთანხმებულიყვნენ, სფფ-ს ხელმძღვანელებმა ასეთი არგუმენტებით უარყვეს: ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილება შეუცვლელია, იგი მიღებულია საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის დაჟინებული თხოვნით, რომელსაც, თურმე, ყრილობასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ხელს შეუშლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წლევანდელი ციკლისათვის გუნდის სრულყოფილად მომზადებაში (?!).

სწორედ ასეთი ლოგიკის გამო მიგვაჩნია საეჭვოდ გუშინდელი თავყრილობის კონსენსუსისადმი სწრაფად მონათელა. გარემოებანი ხანდახან ერთმანეთთან მებრძოლ მხარეთა ლიდერებსაც კი აიძულებთ ერთად ყოფნას და, ასე განსაჯეთ, საარაკო მოლხენასაც, მაგრამ ხშირად შედეგი რომ არ მოაქვს ასეთ მოჩვენებითობას?

ასეა თუ ისე, გუშინ სფფ-მ უხილავი ომის კიდევ ერთი რაუნდი მოიგო. საინტერესოა, ნუთუ 23 ოქტომბერს მართლა გაიმართება ფედერაციის ყრილობა.

გია პლატონიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის
ფოტო.



გზა დაულოცოთ!

დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, 19 საათზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი „დინამო" (თბილისი) — „ვლაზნია" (შკოდერი, ალბანეთი).

დღესვე ფოთში გაიმართება უეფას თასის გათამაშების წინასწარი წრის სასტარტო რაუნდი „კოლხეთი" — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია).

წარმატებას ვუსურვებთ ქართველ ფეხბურთელებს.

რეტრო

არც ქართველები დავიწყებია

1988 წელს სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებმა, როგორც გახსოვს, ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა (ფინალური მატჩი 0:2 წააგო ჰოლანდიის ნაკრებთან). სწორედ ეს ნაკრები — მაშინდელი ვერცხლის პრიზიორი — 23 სექტემბერს მოსკოვში რუსეთის ახლანდელ ნაკრებს შეხვდება. ფაქტობრივად ეს იქნება 80-იანი წლების სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნის, მსოფლიოს საუკეთესო მეკარის, სახელგანთქმული მოსკოველი სპარტაკელის რინატ დასაევის გამოსათხოვარი მატჩი — ამით იგი მოთამაშის კარიერას დაემშვიდობება, თუმცა უმაღლეს დონეზე კარგა ხანია არ თამაშობს.

წლევანდელ გაზაფხულზე რინატი, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" დახმარებით, მოსკოვს დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც თითქმის ათი წელი გახლდათ „გადაკარგული". ამჟამად იგი მწვრთნელად მუშაობს მშობლიურ „სპარტაკში". ამბობენ, რომ როგორც მეკარემ, ჩინებული სპორტული ფორმა აღიდგინა. 23 სექტემბერს ამაში უნდა დარწმუნდნენ არა მარტო ქომაგები, არამედ საბჭოური ფეხბურთის 25 ვარსკვლავი: ალექსანდრე ჩივაძე, ანატოლი დემიანენკო, თენგიზ სულაქველიძე, ვაგიზ ხიდიატულინი, ალექსანდრ ზავაროვი, ოლეგ პროტასოვი, ფიოდორ ჩერენკოვი, ვასილ რაცი, სერგეი ალეინიკოვი, ოლეგ ბლოხინი, ლეონიდ ბურიაკი, ვიქტორ ჩანოვი, იური გავრილოვი, რამაზ შენგელია, სერგეი ლარიონოვი, სერგეი ბალტაჩა, ხორენ ოჰანესიანი, პაველ იაკოვენკო, ალექსეი მიხაილიჩენკო, გენადი ლიტოვჩენკო, ოლეგ კუზნეცოვი და ივან იარემჩუკი. ლეგენდარულმა მეკარემ დღეისათვის ყველა აქ ჩამოთვლილი ფეხბურთელი „ლუჟნიკებში" მიიწვია. მინდორზე გამოუსვლელი არც ერთი არ დარჩება. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელთა სკამზე ჩამოსხდებიან ვალერი ლობანოვსკი და ნიკიტა სიმონიანი.

„ლუჟნიკებში" თამაშის შემდეგ ფეხბურთის ვარსკვლავები რინატის სამშობლოში, ასტრახანში გაემგზავრებიან, სადაც 26 სექტემბერს ადგილობრივ „ვოლგარგაზპრომს" ეთამაშებიან; ოდესღაც სწორედ აქ დაიწყო რინატ დასაევის სპორტული კარიერა.

მოამზადა
თამაზ ილმელმა.

ფაქტი

„ლოკომოტივის" ალმასვლა



გასულ, მე-9 ეროვნულ ჩემპიონატში გამოცდილი მწვრთნელის, თემურ მახარაძის გუნდში მოსვლის შემდეგ, რკინიგზელმა ფეხბურთელებმა პირდაპირ სასწაული მოახდინეს: ექვსი ტურის შემდეგ გუნდს სულ 2 ქულა ჰქონდა და გასავარდნად იყო განწირული, მაგრამ...

თემურ მახარაძემ გუნდი აღმასვლისაკენ შემოაბრუნა, სეზონის ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოლა და საპატიო მე-6 ადგილი მოიპოვა, რაც დებიუტანტისთვის, რა თქმა უნდა, ჩინებული შედეგია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ტურში, თემურ მახარაძის ყოფილ გუნდთან „მერანთან", ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე „შოთაევიჩის" „ლოკომოტივმა" ბრწყინვალედ ითამაშა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. თემურ მახარაძემ დაამტკიცა, რომ პროფესიონალია. ეს იყო მისთვის „ოქროს" 3 ქულა, რომელმაც გუნდს საპატიო მე-6 ადგილი მოუტანა და გადაუსწრო „მერანს". „ლოკომოტივის" აღმასვლაში ლომის წილი დაიდეს გუნდის უფროსმა, ლეგენდარულმა მეკარემ სერგო კოტრიკაძემ, მეორე მწვრთნელმა, ცნობილმა ფეხბურთელმა მერაბ ხუცურაულმა, ყოფილმა პრეზიდენტმა რობინზონ ქინქლაძემ, გუნდის ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა, აწ განსვენებულმა შოთა მაისურაძემ და კლუბის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა აკაკი ჩხაიძემ.

გაზეთ „ალიას" წლევანდელ გამოკითხვაში, როგორც ცნობილია, ჟურნალისტებმა საქართველოს საუკეთესო მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის შემდეგ № 2 ნომრად დაასახელეს თემურ მახარაძე.

მე-10, საიუბილეო ჩემპიონატისთვის, თემურ მახარაძე ახალ გეგმებს სახავს. იგი კვლავ ევროპისკენ იყურება (გახსოვთ, ალბათ, შარშან „მერანი" „ინტერტოტოზე" თამაშობდა). გუნდი შეკრებას ბორჯომში გაივლის. ბატონი აკაკი ჩხაიძე ყველაფერს აკეთებს რკინიგზელთა მომავალი წარმატებებისათვის, იგი ხომ წარსულში თავად თამაშობდა ფეხბურთს და საკმაოდ კარგადაც. მას სჯერა, რომ თემურ მახარაძის თავკაცობით „ლოკომოტივი" საწადელს მიაღწევს და ახალ სეზონში, რომლის სტარტამდე ორიოდე კვირა რჩება, სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს.

საქართველოს რკინიგზელთა და ფეხბურთის ქომაგთა სახელით წარმატებები მინდა ვუსურვო რკინიგზელ ფეხბურთელებს.

ვაჟა ჟიაურელი,
საქართველოს რკინიგზის
დეპარტამენტის პრესცენტრის
კორესპონდენტი.

ყოველი მხრიდან

რეიტინგი საგრძნობლად შეიცვალა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა თავისი მორიგი რეიტინგი. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებმა მასში არსებითი ცვლილებები შეიტანა.

ბრაზილიელებმა ფინალში სასტიკი დამარცხების მიუხედავად (0:3) შეინარჩუნეს პირველი ადგილი.

მაისის შემდეგ ყველაზე დიდი ნახტომი წინ გააკეთა ჰოლანდიის ნაკრებმა. ჩემპიონატზე მეოთხე ადგილის დაკავებით ის 25-ე პოზიციიდან მერვეზე ამოიჩნდა. 15 საფეხურით ამაღლდა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი — საფრანგეთი — მეჩვიდმეტედან ის მეორე ადგილზე დამკვიდრდა, ხოლო მესამე პრიზიორი — ხორვატია მეცხრამეტედან მეოთხეზე.

საგრძნობლად გამოისწორეს რეიტინგი და პირველ ათეულში დაბრუნდნენ იტალიელები (მე-14 — მე-9), წინ წაიწიეს რუმინელებმა (22-13), დანიელებმა (27-18), ავსტრიელებმა (31-23) და კამერუნელებმა (49-40). სამაგიეროდ, უკუსვლით იარეს კოლუმბიამ (10-17), აშშ (11-19) და იაპონიამ (12-22). ხოლო მათგან, ვინც ჩემპიონატის დასკვნით ტურნირზე ვერ გამოვიდა, ასევე უკუხტომა გამოუვიდათ რუსებს (16-28), ეკვადორელებს (26-41) და ბოლივიელებს (33-54).

ჩემპიონატის ფინალისტებიდან პირველ „ორმოცეულში" ვერ მოხვდა მხოლოდ ნიგერია (64), თუმცა 10 საფეხურით მაღლა აიწია.

საქართველომ, მართალია, წინ იარა (52-44), მაგრამ „დიდი ფეხბურთიდან", სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შორსაა, თუმცა რეიტინგის მიხედვით მაინც უსწრებს უკრაინას (66), ბელორუსიას (102), სომხეთს (110), მოლდავეთს (133) და ა. შ.

ახლა ოლიმპიადას უმიზნებენ

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წარმატებულმა მასპინძლობამ, თანაც მათი ნაკრების უდიდესმა, შეიძლება ითქვას, არნახულმა გამარჯვებამ, ფრანგები ახლა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გუნებაზეც დააყენა და ამიტომაც გადაწყვიტეს, თავიანთთან, პარიზში მიიწვიონ 2008 წლის ოლიმპიადა. სწორედ ასეთი აზრი გამოთქვა პარიზის მერმა ჟან ტიბერიმ. მისი შეხედულებით, მსოფლიო საფეხბურთო ასპარეზობის დროს მიღებული გამოცდილება მომავალშიც კარგად გამოადგებათ.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

№184. ოთხშაბათი, 22 ივლისი, 1998 წელი.

ბოროტებაა სახელი შენი...

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე ნევროლოგიის ინსტიტუტის ეზოში უცნობმა პიროვნებამ თხრილში გადააგდო მდედრობითი სქესის დაახლოებით 6-7 თვის ჩვილი ბავშვის გვამი.

მკვლელობა „გურიაში“

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს, გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ოზურგეთის პოლიციის განყოფილების მუშაკებმა, სოფელ ობოხვაურში დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში მცხოვრები შალვა ბერიკაშვილი. მან ოზურგეთში, სასტუმრო „გურიაში“, ურთიერთშელაპარაკებისას დანით მოკლა თბილისელი თემურ ასათიანი.

გამტაცებლები მიიმალნენ

სოფელ ღოყაშესთან, სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში მცხოვრებმა სიჭინავამ, წალენჯიხელმა გარიელ პაპავამ და მესამე პირმა (რომლის მონაცემები დგინდება) ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს სოფელ დიდიჭყონში მცხოვრები ი.ა.–ს ავტომანქანა „ვაზ-2106“.

პოლიციის თანამშრომლებმა დაადგინეს გამტაცებლის ადგილსამყოფელი სოფელ ახუთში. მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სამართალდამცავებს, საპასუხო სროლის შედეგად, გამტაცებლებმა მიატოვეს ავტომანქანა და მიიმალნენ. მანქანაში პოლიციამ აღმოაჩინა ავტომატი „აკ“ მჭიდითა და 17 ვაზნით, ხელყუმბარა „ფ-1“, ავტომატ „აკმ“-ს რამდენიმე ვაზნა და ნიღაბი.

აბა, ცხელ-ცხელი ლიცენზიები...

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების სამსახურის უფროსის დავით ჯაფარიძის მიმართ. მან, 1997 წელს ექვსჯერ გასცა საქართველოში არარეგისტრირებული სალეჭი რეზინის იმპორტის ერთჯერადი ლიცენზიები.

ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, წარედგინა ჯანმრთელობის დაცვის ფარმაკოლოგიური კომიტეტის თავჯდომარეს ნიკოლოზ გონგაძეს, რომლის მიმართვის საფუძველზე შეიცვალა სალეჭი რეზინის სასაქონლო ნომენკლატურული კოდი. დადგინდა ისიც, რომ 1997 წლის იანვრიდან 1998 წლის ივნისამდე, შპს „აილტკორპორეიშნის“ და შპს „ქევი ჯორჯიას“ მიერ საქართველოში შემოტანილი სალეჭი რეზინი „ორბიტი“, „დიროლი“, „ვრიგლი“ და „სტიმოროლი“ ნაცვლად ღირებულების 34,7 პროცენტისა, იბეგრებოდა 5,3 პროცენტის საბაჟო დაბეგვრის განაკვეთით, რითაც სახელმწიფოს 781504 ლარის ზარალი მიადგა.

ხორციელდება ოპერატიული ღონისძიება სხვა დამნაშავე პირთა დასადგენად და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ თამაზ ებანოიძის ინტერვიუში პროფესორ ემზარ ბალაძესთან, სათაურით „არაფერი განსაკუთრებული“ პირველი სვეტის ბოლოდან მე-11 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „... თუმცა ყოველთვის იოლად არ გამოდის...“.

გვწერენ

მადლობა და ორიოდე სიტყვაც!..

ულრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს ყველაზე პოპულარულ გაზეთს ჟურნალისტ ზურაბ ოიკაშვილის სტატიის გამოქვეყნების გამო, რომელიც ჩემს 90 წლისთავს და საყვარელ სამშობლოში – საქართველოში ჩემი მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშუქებას მიეძღვნა.

დიდ პატივისცემად მივიჩნევ იმასაც, რომ ამ სტატიის დასაწყისი და ჩემი ერთი ფოტო გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა. დიდი მადლობა! (იხ. „სრ“ №169).

ბატონ ზურაბთან საუბრის დროს ჩემი აღზრდილების ჩამოთვლისას მცირედი უზუსტობა დავუშვი და ამგვარად გამომრჩა ჩემი რამდენიმე ისეთი საუკეთესო სტუდენტის გვარი, რომლებიც ჭეშმარიტად ღირსი არიან თქვენი მართლაც პატივსაცემი გაზეთის ფურცლებზე მოხსენიებისა. სწორედ ამიტომ მინდა მცირედი დამატების შეთავაზება მკითხველისათვის. ამგვარად სრულად შეივსება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩემს მიერ აღზრდილი დირიჟორების სიაც, გამიქარწყლდება სინდისის ქენჯნაც, მომეცემა დაწყნარების საშუალებაც და „განაწყენებული“ მოსწავლეების გახარების შესაძლებლობაც.

გაგაცნობთ ინტერვიუში გამორჩენილთა ვინაობას: სანკტ-პეტერბურგის მარიის თეატრის დირიჟორი ლ. შაბანოვი; მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის დირიჟორი ვ. ბასილაძე; რუსეთსა და ევროპაში კარგად ცნობილი ვ. მაჭავარიანი, ამჟამად საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი; ბათუმის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი დ. მუქერია; თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარი დირიჟორი ნ. დავითაშვილი და ამავე თეატრის დირიჟორები მ. კობახიძე და თ. ფერაძე; საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ვ. შუბლაძე; დაღესტნის კამერული ორკესტრის დირიჟორი ა. ხრჟანოვსკი; თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ვ. გურევიჩი და დოცენტი შ. შილაკაძე; მოსწავლეთა ორკესტრის ხელმძღვანელი ჰ. ბაბლუმიანი; სხვადასხვა დროს აღვზარდე ორი აფხაზი დირიჟორი ლ. ჯერგენია და ა. ხაგბა, რომელთა ახლანდელი მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცი. ჩემთან გაიარა კურსი ძალზე ნიჭიერმა, პირველმა ქართველმა დირიჟორმა ქალმა ნ. ქვანიამ, მაგრამ იგი რატომღაც უმოქმედოდ არის!

კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას ყურადღებისა და დაფასებისათვის.

ოდისეი დიმიტრიადი.

1998 წლის 19 ივლისი.

თბილისი.

განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 ივნისის № 317 და 1998 წლის 18 მარტის № 156 ბრძანებულების „ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტური ასიგნებების ოპტიმალურად გამოყენებისა და ადგილობრივი საწარმოების მაქსიმალურად ამოქმედების ხელშემწყობ ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ თანახმად თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებენ ერთობლივ ტენდერს სასურსათო პროდუქციის შემდეგ სახეობებზე:

1. თევზის კონსერვები (ტომატში ან ზეთში) 250 გრ. პირობ. ქილა
2. ბოსტნეულის კონსერვები
3. ხილის ჩირი
4. მაკარონის ნაწარმი
5. ტომატ-პასტა
6. თამბაქოს ნაწარმი
7. პურის ფქვილი
8. ცხოველური ცხიმები
9. ზეთი
10. კარაქი
11. მარგარინი
12. ჩაი
13. დაფნის ფოთოლი
14. წიწაკა დაფქვილი
15. ძმარი
16. შაქარი
17. კისელი

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა 1998 წ. 12 აგვისტომდე სატენდერო კომისიის სამუშაო ჯგუფს უნდა წარუდგინონ დახურულ კონვერტში: – განაცხადი ტენდერში მონაწილეობისათვის

– პრეტენდენტის რეკვიზიტები (სრული დასახელება, მისამართი, საფოსტო ინდექსი, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, ბანკის ანგარიში)

– იურიდიული სტატუსის სარეგისტრაციო დოკუმენტის ასლი

– იმ პირის მონაცემები, რომელსაც აქვს უფლება იმოქმედოს პრეტენდენტის სახელით და აქვს იურიდიული საბუთების ხელმოწერის უფლება

– საწარმოს სიმძლავრე, საწესდებო კაპიტალი, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა

– ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობა

– ბანკის ცნობა ორგანიზაციის საფინანსო მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული უკანასკნელი საბალანსო ანგარიში

– ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური პირობების ხელსაწყოებით და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა

– უწყვეტი ენერგოუზრუნველყოფა

– პროდუქციის სავარაუდო ფასი

– ცნობა ტენდერში მონაწილეობისათვის ფიქსირებული გადასახადის შეტანის თაობაზე – 100 ლარი

– პროდუქციის წარმოებაზე გაცემული ლიცენზია

– პროდუქციის ხარისხის სერთიფიკატი

დაინტერესებულთათვის სატენდერო კონსულტაციები იწარმოებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სატენდერო სამუშაო ჯგუფში. მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 53 ა, IV სართული.

ტელ: 25-01-57, 98-99-33, 29-34-82.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პურპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტში IV სართულზე.

ტ. 93-15-07, 33-27-23.

სასამართლო

ან ასე ან ისე

საერთოდ, პროცესი 11 საათზე იწყება. გუშინ კი ჯემალ ლეონიძე მოსამართლის სკამზე მხოლოდ 12 საათსა და 15 წუთზე დაჯდა. როგორც ჩანს, ამდენი ლოდინით ნერვები მასაც დააწყდა და მაშინვე იკითხა:

– ბუხრიკიძე, რა ხდება?

– წნევა მაქვს, ბატონო ჯემალ, 160/110-ზე. სიცხე მაქვს – 37,6.

– საექიმო კომისიას მიაჩნია, რომ თქვენ შეგიძლიათ პროცესში მონაწილეობა. აგერაა ცნობა.

– საექიმო კომისიამ გამსინჯა დილას, მე კი ახლა ვარ ცუდად.

სხვათა შორის, პ. ბუხრიკიძეს ექიმი ლ. სიმონიშვილი თან მოჰყვა სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტიდან. მოსამართლემ ჯავრი მასზე იყარა.

– ქალბატონო, სწორია ის, რაც ამ ცნობაში წერია?

– დიახ, სწორია.

– მაშ, რაღ დაგვაგვიანეთ, ამდენ ხანს რატომ გვალოდინეთ?

– მდგომარეობა ცოტა შეიცვალა, მაგრამ განსასჯელს პროცესზე დასწრება მაინც შეუძლია.

ამის თქმა იყო და, ჯემალ ლეონიძემ პროცესი გახსნა.

თავის დროზე პავლე ბუხრიკიძე იკვეხნიდა: – ცხოვრებაში ფრჩხილიც არ წამომტკენია, ქვებს ხელითა ვფშვნიდიო. ერთ დროს მთაშიც იმიტომ წავიდა საქონლის მოსამრავლებლად, რომ ლონე ერჩოდა. ახლა? რა ხდება, მართლაც, ახლა?

უკვე განსასჯელთა ახლობლებიც დაიღალნენ: – რას ერჩიან სხვებს? რაღ აწვალებენ ყველას? ეს ბუხრიკიძე, – თუ მოსარჩენია, მოარჩინონ და, თუ გასაძევებელია, – გააძევონ და ამით დაამთავრონ ყველაფერიო.

რა ჩვენი საქმეა, მაგრამ თუ სასამართლო კოლეგიამ ან ერთი გზა არ აირჩია, ან მეორე, დაგვიანება კი არა, პროცესის ჩაშლაც ხშირ-ხშირად გველის!

ისევ ელვის სისწრაფით

თემურ ქურდიანი ყველაზე გვიან დააკავეს. მისი საქმე ცალკე იყო გამოყოფილი და ძირითად საქმეს მხოლოდ ბოლო ხანს შეუერთეს. ძირითადი საქმის მასალების გაცნობის შემდეგ სასამართლო კოლეგია, ცხადია, თემურ ქურდიანის 19 ტომს მიუტრიალდა.

ამ ტომებში ძირითადი საქმიდან ამოღებული მასალებია. ამიტომ ჯემალ ლეონიძემ მათი გადაფურცვლა უფრო კოსმოსური, ვალოდია ქირიას ტერმინით, „მეგრული“ (და არა „მეგობრული“, როგორც წინა ნომერში დაიბეჭდა) ტემპით წარმართა, ვიდრე ძირითადი საქმისა.

თითოეული ტომის დამთავრებისას თემურ ქურდიანი კითხულობდა:

– ბატონო ჯემალ, ჩემი გვარი ნახსენებია სადმე?

– არა.

– მაშ, რას მედავებით?

– იმას, რაც საბრალდებო დასკვნაშია.

– იქ ყველაფერი გაყალბებულია.

– მაშინ ყურადღებით მოუსმინეთ პროკურორს. იგი საბრალდებო სიტყვაში სიმართლეს იტყვის.

ისე, ნათქვამია, – ერთი თხისკენ და ერთი მგლისკენო.

თემურ ქურდიანის საქმის 19 ტომში იმდენი „ზედმეტი“ მასალაა, რომ ხასიათი წაგიხდება. რა უნდოდა, მაგალითად, იქ ედპ-ს წესდებას ან 1983 წელში გია ჭანტურიას დაპატიმრების დოკუმენტაციას?

ასეთ ლაფსუსებს თემურ ქურდიანის ადვოკატი ვალოდია ქირია, ცხადია, ხელიდან არ უშვებს და სასამართლო კოლეგიას ახალ-ახალ თავსატეხს უჩენს.

ბონდო გულიაშვილი.

მოუსმინეთ საბრალდებო სიტყვას

წერილი რედაქციას

ადამიანთა ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მოყვასისათვის მადლობის თქმას სიტყვით ველარ ახერხებ. მართლაც, როგორ უნდა გამოხატო მადლიერება იმ ადამიანისადმი, ვინც ქალიშვილი გადაგირჩინა და ამ ქვეყანაზე მეორედ მოავლინა...

თბილისის პირველი საავადმყოფოს პროფესორის, მედიკო-ბიოლოგიურ და სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ ზურაბ ცხაკაიას მადლიანი მარჯვენის წყალობით ჩემი ქალიშვილი გადარჩა, მას ღვიძლზე უნიკალური და ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა. ოპერაციის დროს ბატონ ზურაბს ეხმარებოდნენ დოცენტი ლადო ჭიპაშვილი, ქირურგი შმაგი ქურდაძე, ანესთეზიოლოგი ნინო ეძგვერაძე.

ბატონ ზურაბ ცხაკაიას და პირველი საავადმყოფოს მთელი კოლექტივის რუდუნებით ოპერაციის შემდგომი გამოჯანმრთელების პერიოდი საოცარი შედეგით დამთავრდა. განსაკუთრებით გულისხმიერებას იჩენდნენ კარდიოლოგი გ. ქიქილაშვილი, ექთანი თ. კეკელიძე, ნ. ბიწაძე და სხვები.

დღეს ჩემი ქალიშვილი ჯანმრთელი და ბედნიერია. ეს კი პირველი საავადმყოფოს, პირადად ბატონ ზურაბ ცხაკაიას პროფესიონალიზმისა და დასტაქრობის უტყუარი ალღოს შედეგია.

ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ, თქვენი გაზეთით საშუალება მომცეთ იმ დიდი სიკეთისათვის, რაც ჩემი ქალიშვილის, მთელი ოჯახისთვის გააკეთა ამ ხალხმა, საჯაროდ გადავუხადო მადლობა.

ასეთი ღირსეული პროფესიონალი და პატიოსანი მამულიშვილებით არის ჩვენი სამშობლო ძლიერი. ღმერთმა უცოცხლოს და უმრავლოს ასეთი ადამიანები საქართველოს.

გივი არდიას ოჯახი.

ბაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსი“
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული, ტელ: 93-26-99.

ხსოვნა

ალექსანდრე გუგულაშვილი

სრულიად ახალგაზრდა ასაკში უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ნიჭიერი ბიზნესმენი, დიდი ქველმოქმედი და მეცენატი ალექსანდრე გუგულაშვილი.

დაიბადა 1962 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში. საშუალო განათლება ქ. გურჯაანის № 1 საშუალო სკოლაში მიიღო. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ საცხოვრებლად რუსეთში, ქ. ლუბერცში დარჩა. სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო უხტომსკის სახელობის ქარხანაში ელექტროშემდუღებლად. მუყაითი ახალგაზრდა შრომას სწავლასაც უთავსებდა და სამოქალაქო ინჟინრის და იურისტის სპეციალობებს დაეუფლა. ალექსანდრე გუგულაშვილს შრომაც და ცოდნაც სათანადოდ დაუფასდა და უხტომსკის სახელობის ქარხნის გენერალურ დირექტორად გადაიყვანეს, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ა. გუგულაშვილს რუსეთში მოღვაწეობის პერიოდში არც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კონტაქტი საქართველოსთან და მშობლიურ კახეთთან. მის მიერ საქართველოში, კახეთში, გურჯაანში გაწეულ ქველმოქმედებათა ნუსხა ძალიან დიდია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ისეთი ღონისძიებების დაფინანსებაში, როგორიცაა ალავერდის ტაძრის და სოფელ მუკუზნის სარესტავრაციო, ქ. გურჯაანის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აღდგენითი სამუშაოები, განათლების, კულტურის, სპორტის ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება, სადაც მიღწეულმა წარმატებებმა უცხოეთის ქვეყნებში ღირსეულად წარმოაჩინა საქართველო და გურჯაანის რაიონი და ა.შ.

კვლავ მრავალი საქმის გაკეთებს აპირებდა... განგებამ არ დააცადა. ტრაგიკულად დასრულდა ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცის სიცოცხლე.

უსაზღვროა ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების გულისტკივილი. ნათელში ამყოფოს უფალმა, მსუბუქი იყოს მისთვის მადლიანი ქართული მიწა, რომელსაც თავგამოდებით ეთაყვანებოდა მთელი სიცოცხლე.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვისაც ოდესმე რაიმე საერთო ჰქონია ამ ღვთისნიერ კაცთან.

კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი, გურჯაანის რაიონის გამგეობა, თელავის რაიონის გამგეობა.

საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს პარლამენტის წევრის

გრიგოლ (გია) მერაბის ძე ჭკუასელის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზესტაფონის რაიონის გამგეობა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „ზესტაფონის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ყოფილი პარლამენტარი, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პირველი მოადგილე, საზოგადოება „ზესტაფონის“ გამგეობის წევრი

ანზორ თავართქილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „მერკური-92“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ურთიერთობების მინისტრის მოადგილის

ანზორ თავართქილაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მედეა, ელიზბარ ლომინაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ თავართქილაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის დიდი ქომაგი და ქველმოქმედი

ალექსანდრე (ალეკო) ოთარის ძე გუგულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ზვიადი, შვილები თეა, დათო, დედამთილი ელიკო, მამამთილი გრიგოლ მანჯგალაძეები, და ლალი, ძმა ვახტანგ კეზევაძეები ოჯახებით, დეიდა ანა ვარსიმაშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა (თიკო) კეზევაძე-მანჯგალაძე

პანაშვიდი: 23 და 24 VII 5 საათზე გამოსვენება 25 VII 3 საათზე. აკაკი წერეთლის გამზირი № 79.

ახალი დაფარვის ზონები

საქართველოს უდიდესი
ფიჭური კომპანია!

მაგთი GSM-ის
აბონენტთა
საყურადღებოდ!

მომსახურების ყველაზე დიდი ზონა საქართველოში !

თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, მარნეული, მცხეთა, გორი, დუშეთი, ქარელი,
ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, სენაკი, ხობი, ხონი, აბაშა,
ფოთი, ლანჩხუთი, ბათუმი და მათი შემაერთებელი ტრასები

თბილისის შემოგარენი:

კოჯორი, წყნეთი, ბეთანია, კიკეთი, წყლულეთი, ტაბახმელა, ოქროყანა, წავკისი.

პირველი მობილური კავშირი კახეთში!

ახმეტა, თელავი, ყვარელი, გურჯაანი, ლაგოდეხი, დედოფლისწარო
და მათი მიმდებარე რაიონები.

უახლოეს დღეებში დაემატება !

ქობულეთი, სუფსა, ზუგდიდი, სიღნაღი.

მაგთი GSM
მუდმივი კავშირის სამყარო!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ბოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება —
ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი 20.